

სახელწიფი რუზი ნიჭილია

ა ბ გ დ ე ვ ზ

თ ყ რ ს ტ წ

ჭ ც ქ ჯ ლ მ ნ
 ი კ ზ ს ჟ ე თ
 წ ჯ ჳ ჴ ჵ ჶ ჷ
 ჸ ჹ ჺ ჻ ჼ ჽ ჾ
 ი ს ტ ჳ ი ი ს თ ჳ ი ს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ტარიელ ჩუბინი-შვილის წიგნი „ამირანის გორა“ წარმოადგენს შემოკლებულ ვარიანტს გამოკვლევისა, რომელშიც შექამებულია 1955—61 წლებში მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე მიკვლეულ ერთ-ერთ უძველეს ნასოფლარზე ჩატარებული არქეოლოგიური საველე მუშაობის ძირითადი შედეგები.

წინამდებარე წიგნში-ავტორი შეეცადა დაედგინა, რომ ამ მხარეში, ისევე როგორც მთელ სამხრეთ-ამიერკავკასიაში, ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში უკვე განვითარებულა მეტალურგია, რომელიც ზრდიდა მტკვრისა და არაქსის შუამდინარეთში მცხოვრები ტომების ისტორიულ მნიშვნელობას და ხელს უწყობდა ამ ტომების მიერ შექმნილი კულტურის გავრცელებას.

წიგნში წარმოდგენილი არქეოლოგიური ძეგლები მესაძლებლობას იძლევა ახლებურად გაშუქდეს სამხრეთ საქართველოს, მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების შორეული წარსული.

წინასიტყვაობა

დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთისა და, საერთოდ, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რაიონების უდიდესი როლი ქართული კულტურის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში საყოველთაოდ არის ცნობილი. განვითარებულ შუასაუკუნეებში ეს მხარე ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი და კულტურულად დაწინაურებული პროვინცია იყო. აქვე საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ-პოლიტიკურსა და კულტურულ მოძრაობას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების გაერთიანებაში; უძველეს ხანაში კი ამ ტერიტორიაზე მრავალი საუკუნის მანძილზე ჩანან ქართველ ტომთა სხვადასხვა დიდი თუ მცირე გაერთიანებები.

ზედმეტი იქნებოდა სამხრეთ საქართველოს მიწაწყალზე შემორჩენილი უამრავი და მრავალფეროვანი ისტორიული და კულტურული ძეგლების ჩამოთვლა; ისინი დიდი ხანია მოექცნენ მკვლევართა ყურადღების სფეროში და მათ აღნუსხვაა და შესწავლას არა ერთი და ორი ნაშრომი მიეძღვნა. სამწუხაროდ, სხვაგვარი მდგომარეობაა ამ მხარის არქეოლოგიური შესწავლის საქმეში. სხვადასხვა გარემოებათა გამო, დიდი ხნის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა შემთხვევით აღმოჩენებზე იყო დამყარებული და ეჭვთ. თაყაიშვილისა და მისი თანამედროვე მეცნიერების მიერ მოპოვებულ-შეკრებილი მასალებით სარდლობდა.

მეცხრე წელია, რაც სისტემატურად წარმოებს არქეოლოგიური საკვლევადიებო სამუშაოები მესხეთ-ჯავახეთში. ინტერესი ამ მხარის სიძველეებისადმი ძირითადად გამოწვეული იყო ბრინჯაოს კულტურის გენეზისის ირგვლივ აღძრული საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით, რისთვისაც თავდაპირველად დაიწყო კიდევ მესხეთ-ჯავახეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლების რუკის შედგენა. ეს სამუშაო წამოწყებულია 1953 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიერ, ხოლო შემდეგ მასთან ერთად თანამშრომლობს ვარძიის ყოფილი მუზეუმ-ნაკრძალი (1954 — 55 წლები) და პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (1956 — 57 წლები). ჩატარებული მუშაობის შედეგად მესხეთ-ჯავახეთში აღმოჩენილი და დაზვერილი იყო მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი, ამათგან მხოლოდ ზადენგორაზე (1956 წ.) და ლო-

დობანაზე (1961 წ.) ძეგლის ფუქსაციასთან დაკავშირებული მცირედი გათხრათი სამუშაოები ჩატარდა.

სისტემატურა არქეოლოგიური გათხრები მესხეთ-ჯავახეთში დაიწყო მხოლოდ 1958 წელს, როდესაც საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველომ ახალციხის „ამირანის გორაზე“ დაცვითი ხასიათის სამუშაოების ჩატარება იკისრა.

1960 წელს ხსენებულ სამმართველოსთან ერთად გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ინსტიტუტიც, რომელიც 1961 წელს სავსელ სამუშაოებს უკვე ფართო ხასიათს აძლევს.

ოთხი წლის მანძილზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ახალციხის „ამირანის გორაზე“ აღმოჩენილ იქნა ძვ. წ. III ათასწლეულის ფრიად მნამწვლელოვანი ძეგლები.

1956—57 წლებში შვედროვილი დაზვერვითი მასალები ამჟამად თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კაბინეტში გამართულ დროებით გამოფენაზეა ექსპონირებული, ხოლო 1958 წელს წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებული ძეგლები გამოფენილია ივ. ჯავახიშვილის სახ. ახალციხის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში. 1959—61 წლების მანძილზე გათხრილი მასალა დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუდმივ არქეოლოგიურ გამოფენაზე.

როგორც ეს ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მასალათა მცირე ნაწილი, რომელიც ახალციხის ამირანის გორიდან მომდინარეობს, უკვე ერთგვარად ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, მაგრამ ამ უპარტესად მნიშვნელოვანი ძეგლის მეტნაკლები სისრულით გაცნობის შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ ყველა ძირითადი შედეგის გამოქვეყნება.

წინამდებარე წიგნი ემყარება ახალციხის ამირანის გორის ძვ. წ. III ათასწლეულის მასალების პირველად შესწავლას.

ამ ძეგლის შესახებ ჩვენი მეცნიერული წარმოდგენა წლების მანძილზე მუშავდებოდა. ველზე მუშაობისას ძეგლის შესწავლაში მონაწილეობდა ექსპედიციის ყველა თანამშრომელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ უძველესი ნასახლარის გათხრისა და ფუქსაციის საქმეში დიდი დახმარება გავეცილა ექსპედიციის კონსულტანტმა არქიტექტორმა, დოცენტმა ლეო რჩეულიშვილმა. ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილედ სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ალექსანდრე რამიშვილი, კიაზო ფიცხელაური, ოთარ ღამბაშიძე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: მეცნიერ-თანამშრომლები: ქეთევან ბერძენიშვილი, ალექსანდრე რამიშვილი, კოტე ვაჩიეშვილი, გივი სოხაშვილი, გურანდა ფხაკაძე, შიო დედაბრიშვილი; ასპირანტები: ელგუჯა გოგაძე და იულონ გავომიძე; უფროსი

ლაბორანტები: კიაზო კვიციანაძე, მალსაზ ბარამიძე; რესტავრატორ-ლაბორანტები: ლილი ასათიანი, ოლა კიროვა-ბედუქაძე; ლაბორანტ-პრაქტიკანტება იყვნენ (სტუდენტები): ბესარიონ ჭორბენაძე, რუსუდან ფიფია, მანანა გაბუნია, ნინო იაშვილი, იგორ ბაბანოვი, ზურაბ ყვანია, ლილი ფარცხალაძე, ლამარა შენგელია, ზეინაბ ჩხენკელი და გურანდა დავითაშვილი; არქიტექტორ-მსატერები: რევაზ იაშვილი, გიორგი ზამთარაძე, ჭემალ ჭაფარიძე და ანა ზვერცე-გურამ აბრამიშვილი, ტარიელ ჩიგოგიძე, ოთარ კალანდარაშვილი და ანზორ მიქიაშვილი; კინო-ოპერატორები: იური პინაევი, გიორგი ბალახაძე და ალექსანდრე სემიონოვი; ფოტოგრაფები: გიორგი ზამთარაძე, გურამ აბრამიშვილი, ლევ სკლიფასოვსკი და შიო დედაბრიშვილი; ტოპოგრაფები: ალექსანდრე პოპოვი, პავლე სიზიხი და შოთა ხელაძე.

აღნიშნულ პირთა გარდა, საექსპედიციო მუშაობაში ჩვენთან თანამშრომლობდნენ სხვა დაწესებულებებიდან ასალციხეში მოვლენილი სპეციალისტები, ანთროპოლოგები: მალსაზ აბდუშელიშვილი, გივი ჭამბერიძე, სალომე ასიტაშვილი და ელენორა ჯავახიშვილი; მეტალურგი ვაჟა ხიმშიაშვილი და ეთნოგრაფი ჭეირან გაბიევი; მოპოვებულ მასალების დამუშავებაში, მათ განსაზღვრასა და აღდგენა-რესტავრაციულ სამუშაოებში გვეხმარებოდნენ: ბოტანიკოსი დ. ოჩიაური, პალეონტოლოგი ნ. ბურჩაყ-აბრამოვიჩი, ანალიტიკოსები: ნ. დვალი, მ. ბენდიაშვილი, მ. მამისაშვილი, პეტროგრაფები — ქ. ჩუბინიშვილი და მ. ხუჭუა; მხატვრები კ. კვესი, ნ. თოფურიძე და ვ. კანდელაკი; რესტავრატორ-კერამიკოსი — ო. ბედუქაძე და თ. ჯავახიშვილი.

ზემოჩამოთვლილ პირებსა და ყველა მათ, რომლებმაც წიგნის გამოქვეყნების საქმეში დახმარება გაგვიწიეს, ავტორი დიდ მადლობას უძღვნის.

თ ა ვ ი კ ი რ ვ ა ლ ი

მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

1. არქეოლოგიური დაზვერვაჲი მესხეთ-ჯავახეთოჲი

ახალციხის ამირანის გორა, რომელიც აღმოჩნდა 1955 წელს მესხეთ-ჯავახეთში წარმოებული არქეოლოგიური დაზვერვების დროს, მხოლოდ ერთი იმ ძეგლაგანია, რომელიც ამ რაიონში მცხოვრებ მოსახლეთა ერთ-ერთ უძველეს ადგილსამყოფელს წარმოადგენს.

ჩვენი მუშაობის ძირითადი მიზანი იყო გავცნობოდით მთელ მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებულ უძველეს წიაღისეულ არქეოლოგიურ ნაშთებს, რისთვისაც წლების მანძილზე არაერთხელ გვიხდებოდა საქართველოს ამ ძველი და უმნიშვნელოვანესი ორი პროვინციის — მესხეთისა და ჯავახეთის არქეოლოგიური მოხილვა¹.

ისტორიული მესხეთი ანუ სამცხე იწყებოდა აღმოსავლეთით ტაშისკარადან და აღწევდა არსიანის მთამდე. ჩრდილოეთით მას საზღვრავდა „მთა დიდოსი“ (აქარა-იმერეთისა), რომელიც ითვლებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საზღვრად. სამხრეთით ის აღწევდა ხერთვისამდე.

სამცხეს სამხრეთ-დასავლეთით არსიანის მთამდე და სამხრეთით არტანამდე მდებარეობდა ჯავახეთი².

ახალქალაქის რაიონი წარმოადგენს თითქმის ბრტყელ ზეგანს, რომელიც ტერაქულად არის აღმართული ახალციხის რაიონის მიმართებით. ეს უკანასკნელი კი უსწორო რელიეფით ხასიათდება და დასერილია დიდი და პატარა ქედებით, რომლებიც მიემართებიან აქარის. ჩილდირისა და ქართლ-იმერეთის მთებიდან.

ახალციხის ქვაბულის ძირი შედგენილია მდინარეების ქვაბლიანის, ფოცხოვის ქვედა დინების დაბლობებითა და მდინარე მტკვრის დაბლობით. მასში შემავალ ხეობებში მომდინარე წყალი (მაგალითად, ქვაბლიანი, ფოცხოვი, ოძრხე, ურაველი) მეტად ღრმად არის გაწოლილი და გარშემო ადგილმდებარეობა მათგან მკვეთრადაა აღმართული ორივე მხარეს. ამ მხარეში ჰავა ხასიათდება მკაცრი ზამთრით, მეტად ცხელი ზაფხულით, სინოტივის მკვეთრი ცვალებადო-

პითა და საერთოდ ჰაერის მნიშვნელოვანი სიმშრალით. ახალქალაქის რაიონის ზეგანი კლიმატური პირობებით ახალციხის რაიონისაგან მკვეთრად განსხვავდება. აქ უმაღლეს და უმდაბლეს ტემპერატურათა სხვაობა 55°—60°-მდე აღის, რაც საქართველოს სხვა ადგილებისათვის არ არის დამახასიათებელი.

წინაფეოდალურ ხანაში სამცხის პოლიტიკურ ცენტრად ოძრხე (დღევანდელი აბასთუმანი) ჩანს. თვით სამცხეს ქართველი მემკვიდრე ზოგჯერ „ქუეყანას ოძრხისას“ უწოდებს. ჭავჭავთის პოლიტიკური ცენტრი კი ამ პერიოდში ციხე-ქალაქი წუნდაა¹.

სამხრეთ საქართველოსა და კერძოდ, მეღბეთ-ჭავჭავთის ყოფა-ცხოვრებასა და სიძველეთა შესახებ საერთოდ ბევრი რამ დაწერილა. მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით მესხეთ-ჭავჭავთის ძეგლები, ისევე როგორც სხვა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებიც, მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქნა შესწავლილი².

ჩვენს მიერ მესხეთ-ჭავჭავთში 1953 წლიდან წარმოებული დასვერვები პირველად ყველა ცნობილი არქეოლოგიური ძეგლის მოხილვით დაიწყო. უპირველეს ყოვლისა, გაეცანით სამუზეუმო ფონდებში დაცულ ზოგ მასალას. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ვარძიის ყოფ. მუზეუმ-ნაერქალასა და ახალციხის მუზეუმში დაცული ადრეული ხანის მასალები, რომელთაგან უმეტესობა არქეოლოგიურ ლიტერატურაში მანამდე გამოუქვეყნებელი იყო³.

1941 წელს ბორჯომის ხეობაში არქეოლოგიური დასვერვების ჩატარებასთან დაკავშირებით, პროფ. გ. ნიორაძემ გამოთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ ამ მხარეში უთუოდ უნდა აღმოჩნდეს პალეოლითური და ნეოლითური ძეგლები⁴. და აი, 1960 წელს, მდ. მტკვრისა და მის შენაკად ხეობებში წარმოებული დასვერვების დროს ჩვენი ექსპედიციის სადაზვერვო რაზმმა ჭავჭავთში ქვის ხანის სამ ძეგლს მიაკვლია⁵. ორი მათგანი მდებარეობს ქ. ახალქალაქთან. ეს აშელის ხანის სადგომებია, საიდანაც ანაკრეფი მასალა თარიღდება 70—60 ათასი წლით. უფრო გვიანდელია კუმურდოსთან ნაპოვნი ქვის იარაღი, რომელიც მუსტიეს ხანის გვიან საფეხურს ეკუთვნის.

ქვის ხანის ძეგლები, რომლებიც ჭავჭავთის პლატოზე იქნა აღმოჩენილი, განლაგებულია მდინარისპირა ზოლში ან ტბათა საგუბარა აუზის ირგვლივ. ნედლი მასალა ბაზალტის სახით, სასმელი წყლის სიბზლოვე და მდიდარი ფაუნისტური ვარემოცვა უნდა ყოფილიყო ის მთავარი მონაცემები, რამაც შეაპრობა ადამიანის დამკვიდრება ჭავჭავთის პლატოზე ადრეულ მეოთხეულში⁶.

მომდევნო პერიოდის ძეგლების ძიება სხვა შემთხვევაშიაც გარკვეულ „გეგმის მიხედვით, ისტორიული სააღმომიკვლევო გზების მიმართულებისა და გზათა შეწყობის გათვალისწინებით, ძველი ისტორიული ცნობების ცოდნითა და კულტურის მთავარი ამოცანების ყველა მასალისადმი ჭეშოვანი ყურადღე-

ბის მიპყრობით¹⁰ უნდა ყოფილიყო წარმოებული. არქეოლოგიურად სრულად უცნობ მხარეში ერთიანი სადაზვერვო გეგმის შემუშავებისათვის პირველ რიგში შესასწავლი იყო ყველა ის ძირითადი მარშრუტი, რომელიც მტკვრის ხეობის გაყოლებით ნიალას ველის მიდამოებიდან ქ. ახალციხემდე, ახალციხიდან დასავლეთით ფოცხოვის, ქვაბლიანისა და ოძრხეს ხეობების აყოლებით და ბოლოს, ტაბაწყურის ტბიდან ახალქალაქზე გამოვლით ხერთვისამდე აღწევდა. მაგრამ ამის პარალელურად არაერთგზის ხდებოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიკრორაიონის დაწვრილებითი მიმოხილვაც, სადაც წარმოებულ ძიებას უკვე მეტი შედეგიანობაც უნდა ჰქონოდა. ამ შემთხვევებში ჩვენთვის ღირდად საყურადღებო მონაცემებს გვაწვდიდა მესხეთ-ჯავახეთის გეოგრაფიული ნომენკლატურა, თქმულებები, რომელთა ნაწილი ზოგჯერ ამა თუ იმ ძველ სამოსახლოს უკავშირდება და სხვ.

მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე მიკვლეულ 40-ზე მეტი სამოსახლოდან 18 მაინც ძვ. წ. III ათასწლეულის არქეოლოგიურ მასალას შეიცავს.

ამ მხარეში უფრო ადრეული ხანის ძეგლები, გარდა ზემოხსენებული პალეოლითური სადგომებისა, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ ყოფილა. აქ უძველეს მასალათა შორის შეიძლება მოვიხსენიოთ ბორჯომის მუზეუმში დაცული ბაზალტის ერთი ცული, რომელიც ტაბაწყურის ტბის მიდამოებში ადრევე ყოფილა ნაპოვნი¹¹.

ეს იარაღი ყურადღებას იპყრობს დამუშავების არქაული ტექნიკით, და ოთქოს ამ ნიშნით ადრეულ ნეოლითურ ცულებსაც მოგვაგონებს. მაგრამ მხოლოდ ამ ნიშნის მიხედვით ქვის ამ იარაღის ქრონოლოგიურად გამოყოფა ჩვენთვის ცნობილ დანარჩენ ცულებსაგან, რომლებიც მესხეთ-ჯავახეთშია აღმოჩენილი, ძალიან საფრთხილო საქმეა. იგივე უნდა ითქვას სოფ. ზველში სხვადასხვა დროს მოპოვებული ორი საინტერესო ნივთის შესახებ. ერთი მათგანია ქვის თიხი¹², მეორე კი არქაული იერის მქონე თიხის ტოლჩა, უკანასკნელი თავისი ფორმით მკვეთრად გამოირჩევა ძვ. წ. III ათასწლეულის პრიალა ზედაპირის მქონე კერამიკისაგან.

მიუხედავად აღნიშნული თავისებურებებისა, ჯერ კიდევ მაინც ძნელია დაზვერვების გზით თუ ადრევე შემთხვევით აღმოჩენილი მასალების მიხედვით გადაპრით ვთქვათ, რომ მესხეთ-ჯავახეთში ძვ. წ. III ათასწლეულზე უშუალო წინშავალი ხანის რაიმე მასალები ჩვენ უკვე აღმოჩენილი ვვაქვს. მაგრამ ეს სრულიადაც არ გამოირიცხავს აქ უფრო ძველი მასალების აღმოჩენის შესაძლებლობასაც.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთ ჯგუფად — კომპლექსებად წარმოდგენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა. ასეთია, მაგალითად სოფ. თმოგვის მახლობლად მდებარე ე. წ. ვერთაყანა (ანუ როგორც ზოგიერთი ფიქ-

რობს ბევრი „ბერთაყანა“¹⁵), ან კიდევ ურავლის ხეობაში ელიას მთის აღმოსავლეთ ფერდობის გაყოლებაზე მიკვლეული მრავალფენიანი ძეგლი „ლოდობანა“ და „დაწყობილი ყანები“. ეს უკანასკნელი ისევე, როგორც ვერთაყანაც, ამფითეატრის მსგავსად დიდ ფართობზე ძველად ნაყეთებ ტერასებს შეიცავს¹⁶. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მრავალფენიანი ძეგლი სამოსახლოების ირგვლივ წარმოდგენილია სხვადასხვა დროისა და კატეგორიის ისეთი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც თითქოს მიგვიჩვენებენ ადრეული ხანის კულტურის ერთიან უწყვეტ განვითარებაზე.

უფრო მოგვიანო ძეგლი ჩანს ქვაბლიანის ხეობაში სოფ. ბენარას მახლობლად არსებული ე. წ. ზ ა დ ე ნ გ ო რ ა ც, სადაც ძვ. წ. III და II ათასწლეულთა მასალებთან ერთად თავს იჩენს აგრეთვე ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენებიც.

მაგრამ საკუთრივ ძვ. წ. III ათასწლეულისადმი მიკუთვნებულ, უძველესი ფენების შემცველ სხვა ძეგლთა შორის უკვე პირველ დაზვერვებისთანავე ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება ორმა ძეგლმა მიიპყრო — ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი ა და ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს ა მ ი რ ა ნ ი ს გ ო რ ე ბ მ ა, რომელთა შესახებ ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

2. ახალქალაქის ამირანის გორა

ჯავახეთის ამირანის გორას პირველად იხსენიებს ვახუშტი. იგი წერს: „აქ ახალქალაქს ზეით არს ამირანის გორა მტერის სამხრის კედელზედ“¹⁵.

საქართველოში ამირანის სახელთან დაკავშირებული ჩანს კიდევ ერთი ადგილი — ე. წ. ამირანის ქოხი, რომელიც მყინვარწყვერის მახლობლად ე. წ. ბეთლემში მდებარეობს¹⁶.

ძვ. წ. III საუკუნის პოეტი აპოლონ როდოსელი თავის პოემაში „არგონავტიკა“ მიგვიჩვენებს, რომ საბერძნეთიდან ჩამოსული მოგზაურები პრომეთესთან ერთად უკვე იცნობენ ამირანის სახელს¹⁷.

პროფ. შ. ნუცუბიძის მოსაზრებით პოემის სათანადო ადგილიდან ჩანს, რომ ქუთაისის დაბლობზე კავკასიონიდან, ა მ ი რ ა ნ ტ ი ს მთიდან, ჩამომდინარე ფაზისი თანდათან ფართოვდება და შავ ზღვას უერთდება. ამ ავტორის აზრით პოეტი სიტყვას — ამირანტოს ისევე, როგორც „კირკაიოსს“ ადგილების აღმნიშვნელ საკუთარ სახელებად ხმარობს, თუმცა „ამირანის მთის“ სახელი თვითონ ამირანის შესახებ თქმულებაში არ შემონახულა, მაგრამ, როგორც ყველასათვის თითქოს სრულიად ნათელია, ამირანი კავკასიის მთებზე უნდა ყოფილიყო მიჯაჭვული. ამავე ავტორის მტკიცებით ყაზბეგის მცხოვრებნი ახლაც

მიუთითებენ ამირანის მიჯაჭვის ადგილს, რომელსაც „ამირანის მთას“ ეძახიან¹⁸.

მაგრამ მესხეთსა და ჭავჭავთში გავრცელებული თქმულების მიხედვით ამირანი მიჯაჭვეული ყოფილა მისივე სახელობის გორის ქვეშ, რომლის კარი სამ (თუ ერთ) წელიწადში ერთხელ იღება და მერე ისევ იხურება¹⁹.

ჯერ კიდევ 1898 წელს ივ. როსტომაშვილის მიერ გამოცემულ ამირანის თქმულების ჭავჭავთური ვარიანტიდან ჩანს, რომ ძველი ქართველობა ამირანის კლდეზე მიჯაჭვის ამბავს უკავშირებს ახალქალაქის მახლობლად მდებარე გორას²⁰.

უძველესი თქმულები მთავარი პერსონაჟების მოქმედების შესახებ კავკასიის სამხრეთ რაიონებში მიგვიტოთებს აგრეთვე VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი, რომლის აზრით ამირანის ნაცულად არტავაზად წოდებული სომეხთა მეფე მაისისის²¹ (არარატის) მთის გამოქვაბულშია დამწყვდეული²². ივ. ჭავჭავაძის მიერ ამირანის თქმულების სომხურ ვერსიას ძველი გადმოცემის მერმინდელ დამახინჯებად მიიჩნევს. იგი აღნიშნავდა, რომ ბერძენთა და ქართველთა თქმულებები მიჯაჭვეული გმირია დასჯისა და მიჯაჭვეულობის ადგილად კავკასიონის მთას ასახელებენ, ხოლო სომხურ თქმულებაში კი გმირის ეინაობაც შეცვლილია და დასჯის ადგილიც მაშინდელ სომხეთში გადატანილი ჩანს²³.

მიუხედავად ამისა, როგორც ამას თვით ივ. ჭავჭავაძის აღგენს, სომხური თქმულები ეპიზოდის, რომელიც წარმართულ დროიდან მოდის, იმაზე მიგვიტოთებს, რომ ამ თქმულების მთავარი გმირია დასჯა, მკვლელების დამოკიდებულება გმირისადმი და ყურშის ამბავი ნამდვილად უნდა წარმოადგენდეს ამირანის ეპოსის მთავარ და უძველეს ნაწილებს²⁴.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჭავჭავთში და მესხეთშიც, თქმულების ჩაწერილ ყველა ვარიანტში წარმოდგენილია ამ ეპოსის უძველესი ნაწილები, რომელთა გამოცნობაც ახლა მეტნაკლებად ადვილი ხდება. აღსანიშნავია, რომ აქ ამირანის თქმულებისათვის დამახასიათებელია მონადირეთა ეპოსის ჩვეულებრივი მოტივი, რომლის მიხედვით მონადირე სულაკალმახი (სულაკალმახი) სიკვდილის წინ შვილის დაბადებას ელის²⁵. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ეპიზოდიც, რომლის მიხედვით გმირს ქალისადმი სიძულვილი ჩანს²⁶. ამ ამბის ისტორიული ფესვები, როგორც ფიქრობენ, უნდა ვეძიოთ ამ თქმულების წარმოშობის წინა ხანაში, როდესაც მატრიარქალურმა წყობილებამ დაპყრობა თავისი სოციალური მნიშვნელობა და შინაარსი²⁷.

ამირანის თქმულების უძველესი შემორჩენილი ეპიზოდები პროფ. შ. ამირანაშვილის აზრით, წარმოშვა იმ ტომების რელიგიურ-მითოლოგიურმა შემოქმედებამ, რომლებიც თავიდანვე მთიან ქვეყანაში ბინადრობდნენ²⁸.

მართლაც „ამირანი“ ლითონის წარმოების ხანის ეპოსია, სადაც პოეტურად ასახულია ადამიანთა მიერ საწარმოო მიზნებისათვის ცეცხლის გამოყენება. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნეში ცნობილია, თითქოს ამირანის მსგავსად დასჯილი პრომეთე არა რკინის, არამედ სპილენძის ჯაჭვით ყოფილა მიჯაჭვული²⁹. აქვე შეიძლება გავიხსენოთ აფხაზური თქმულება პირველი მკედელის შესახებ. ამ თქმულებით მკედელი კვერის მაგივრად მუშტს ხმარობდა, ხოლო გრდემლის მაგივრად მუხლს. იგი მხოლოდ და მხოლოდ სპილენძის ნივთებს ამზადებდა³⁰. ცხადია, რომ „ამირანისა“ და მისი მსგავსი თქმულებანი ასახავენ ერთ-ერთ ისეთ ისტორიულ ვითარებას, რომელსაც მაშინ საკაცობრიო მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომაც მრავალ ძველ ხალხს იგი თავის ცნობიერებაშიც აღუნუსხავს³¹. ამ ისტორიულ ვითარებას ეხება თქმულების ძირითადი სიუჟეტი, სადაც მოთხრობილია რკინის შემოღების პერიოდის შესახებ. ეს უკვე ის ხანაა, როდესაც ძველად შემოღებული ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და. რაც მთავარია, ცეცხლის გამოყენების შემდეგ წარმოებაში დიდი გარდატეხა ხდება, რამაც შესაძლებელი გახდა რკინის იარაღის დამზადება³². კახურ ხალხურ თქმულებაში ჩანს, თუ როგორ შეცვალა რკინის იარაღის შემოღებამ წარმოების ძველი წესები. როგორც ირკვევა, ამ თქმულების მიხედვით მკედელს ახალი იარაღის— გრდემლისა და კვერის შემოღება ღვთისაგან აკრძალული ჰქონდა³³. ამიტომაც არის, რომ ყველა თქმულებაში ღმერთების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მოტივი განასახიერებს ამირანის ბრძოლას ზეციური ცეცხლის მოპოვებისათვის. რომელიც მოელვარე ყამარის სახით არის განსახიერებულ³⁴. ამასთანავე საგულისხმოა, რომ სოფ. ბალანთაში ჩაწერილი ვარიანტით საკუთრივ ამირანის ატრიბუტია მისი მოკლე ხმალი, რომელიც ამ გმირის დაბადებისთანავე ჩნდება და მის დავაჟკაცებასთან ერთად იზრდება³⁵.

ჯერ კიდევ ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის გამოთქმულ მოსაზრებებიდან ჩანს, რომ „ამირანი“ და მისი წინამორბედი ძეგლები (მათ შორის „გილგამეშიც“) ერთი მთლიანი საწარმოო განვითარების საფეხურთა ანარეკლია³⁶. აქ, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ახლოს დგას ერთმანეთთან მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული „გილგამეშის“ და ამირანის თქმულების ზოგიერთი სიუჟეტიც³⁷.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ საგულისხმოდ გვეჩვენება ის ცნობა, თითქოს, ახალქალაქის მახლობლად არსებული მთის „ამირანის“ სახელი დაკავშირებულია ამ მთის მწვერვალზე მდგარ ამირანის კერპთან. რომელსაც ივ. გვარამაძის სიტყვით. წარმართ-ქართველები თაყვანსა სცემდნენ³⁸.

საესებით შესაძლოა, რომ საკუთრივ „ამირანის გორა“ ამ ძეგლისათვის

მართლაც შედარებით გვიან შეჩვენული სახელია, მაგრამ აქ ჩვენთვის მინც უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ არქეოლოგიური ძეგლის კულტურული ფენების ხასიათსა და მათ თარიღს.

ეს მთა³⁹ მდებარეობს ასალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან 700 მეტრის მანძილზე (ტაბ. II), თუმცა რგი ვულკანური წარმოშობისაა, მაგრამ გარეგნულად თითქოს ხელოვნურს ჰგავს: მთას სფეროსებური — სემეტრიულად მომრგვალებული ფორმა აქვს. საკუთრივ მწვერვალი წარმოადგენს დიდ ფართობზე მოსწორებულ მოედანს. გორა 300 მეტრის სიმაღლისაა. მისი მწვერვალი ზღვის დონიდან 2000 მეტრზე უფრო მაღლა მდებარეობს.

იმ ადგილას, სადაც გადმოცემით ამირანის კერპი მდგარა, უკანასკნელ დრომდე დულაბით ნაგები ციხის გალავნის საძირკველი და პატარა ეკლესიის უმნიშვნელო ნაშთები ყოფილა შემორჩენილი⁴⁰. სადღესოდ ეს ქრისტიანული ხანის ძეგლები უკვე თითქმის მთლიანად გაშკრალია.

ივ. როსტომაშვილის ცნობით, მას ამ გორის ერთ-ერთ ფერდობზე ძველ ნათხარში, მოთეთრო-მოყვითალო თიხის ფენაში მიწის ზედაპირიდან 0,5 მ. სიღრმეზე თიხის ჭურჭლის ნატეხები, ორ რიგად ნაწყობი თიხის კეცი და ქვის იარაღი აღმოუჩინა⁴¹. აღნიშნული მასალები, რომლებიც უკვე დაკარგულია ჩვენთვის, დაუთარილებელი დარჩა.

1956 წლიდან ჯავახეთში წარმოებული დაზვერებისას სისტემატურად ხდებოდა ამირანის გორის ზედაპირული მასალებისა და ადრევე შემთხვევით აღმოჩენილი ძეგლების აღნუსხვა. ამასთანავე დადგინდა, რომ როგორც მთის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე, ისე ამ ფერდობის გადაღმაც ჩანს ძველი ტერასები და იქვე არსებული კულტურული ფენები. ერთ შემთხვევაში აქ ქვის ნაგებობის ნაშთიც აღმოჩნდა.

1958 წელს ამირანის გორაზე მიწის სამუშაოების წარმოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ქვის სამარხი, რომელშიც თიხის სამი ჭურჭელი ილა.

სადღესოდ არსებული მასალების მიხედვით დადგენილია, რომ ასალქალაქის ამირანის გორაზე ერთიმეორის ქვეშ მოქცეულია ორი პერიოდის კულტურული ფენები და მათი თანადროული სამარხებიც. ამთგან მოგვიანო ძეგლები ეკუთვნის ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დამდეგს, უფრო ადრეული კი ძვ. წ. III ათასწლეულს⁴². თუმცა ამ ძეგლის არქეოლოგიური თხრა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ჩანს, რომ მისი შესწავლით ბევრი ახალი და საყურადღებო რამ აღმოჩნდება. ეს სამოსახლო ბორცვი ეკუთვნის იმ ძეგლების ჯგუფს, სადაც ერთსადაიმევე სამოსახლოზე შეიმჩნევა აქ მკვიდრი ტომების ცხოვრების სხვადასხვა ხანაში მკვეთრი აღმავლობა; პირველი ასეთი აღმავლობა შეინიშნება მელითონეობის განვითარების ადრეულ პერიოდში, როდესაც მრავალდება ლითონის ჩამოსხმით მიღებულა სპილენძის იარაღის სერიული ნა-

წარმა (ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი); მეორე პერიოდში კი ხდება ასლად აღმოჩენილი რკინის ფართო ააჯანება, რასაც გვაროვნული ცხოვრების საფუძვლების უკვე საბოლოო რღვევა მოჰყვება (ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული და I ათასწლეულის დასაწყისი). მელოთნეობის განვითარების ამ ორ ეტაპზე სამიწათმოქმედო კულტურის დონე მნიშვნელოვნად მაღლდება იქ. სადაც საამისოდ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებიც იყო. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას სამხრეთ საქართველოს იმ რაიონების მიმართ, სადაც შიდა ქართლის მსგავსად ბარისთვის დამახასიათებელი მეურნეობა ადვილად ვითარდებოდა.

მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრი ტომების ცხოვრების აღმავლობის ამსახველი კიდევ ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია ე. წ. ახალციხის ამირანის გორა, რომლის გათხრის შემდეგ რიგი საკითხების გაშუქებაც უკვე თითქოს ხერხდება.


8. ახალციხის ამირანის გორა

ახალციხის ამირანის გორას ახლა მესხეთში თავშან-თაფას სახელით იცნობენ⁴³. იგი მდებარეობს მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირას ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ. მანძილზე (ტაბ. I₂,ა). ძეგლი მოქცეულია ფოცხოვის ხეობის სწორედ იმ მონაკვეთზე, რომლის ჩრდილო-დასავლეთით გაერთიანებულია მესხეთის სამი დიდი ხეობა (ფოცხოვი, ქვაბლიანი და ოძრხე). აქვე გადის ერთ-ერთი გზა, რომელიც სამხრეთ საქართველოს იმერეთთან აკავშირებს. ამირანის გორა ამაღლებს ქედის სამხრეთ განშტოებათა ჯგუფში შედის და აპარა-ახალციხის მთიანეთის სისტემას ეკუთვნის. იგი თუმცა მესხეთის დანარჩენ მთა-გორაკებსა ჰგავს, მაგრამ, მას მაინც ამ მიდამოებში გაბატონებული ადგილი უჭირავს (ტაბ. I₃). მთას დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ჩაუდის ღრმა ხევი (წირას ხევი). გორის მწვერვალი ზღვის დონიდან 1061 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს (სურ. 1). საკუთრივ სერი მიმართულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და სიგრძით დაახლოებით 800 მეტრია. იგი წარმოდგენილია ტუფოგენური ქვიშაქვით და მერგელოვანი ქანებით.

აღნიშნული მთის სამხრეთი კალთა, რომელიც მდ. ფოცხოვის რიყემდე ჩადის, ერთგან დაახლოებით 400 მეტრის სიგრძეზე მკვეთრად წყდება და მაღალ ფლატეს ჰქვინის. ამ ფლატის სამხრეთით დღესაც შემორჩენილია ნაკვალევი იმ ძველთაძველი საურმე გზისა, რომელიც ახალციხეს ბორჯომთან აკავშირებდა. საფიქრებელია, რომ ამ ძველი საურმე გზის გაყვანასთან, ხოლო შემდეგ კი მის ადგილას რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოებული მიწის სამუ-

შაოების დროს პირველად უნდა ყოფილიყო დაზიანებული ამ მთის კალთაზე არსებული კულტურული ნაშთების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი (ტაბ. XII. XI11).

სწორედ ამ ფლატეს პირას, 1955 წელს შემჩნეული იყო მიწის ზედაპირიდან 1,5—2 მ. სიღრმეზე მდებარე ადრევე დანგრეული ნაგებობებისა და სამარხების ქვის კედლები. 1956 წელს ჩატარებული დაზვერვების შემდეგ ცხადი გახდა, რომ აღნიშნულ ძეგლზე დაცვითი ხასიათის საველე სამუშაოების ჩატარება იყო საჭირო. რადგან მთის სამხრეთი კალთის ჩამონგრევისა და ჩამორეცხვის



სურ. 1

შედგავდ თანდათანობით ჩნდებოდა და იშლებოდა ზემოხსენებული კულტურული ნაშთები⁴⁴. ამ ძეგლის სისტემატური თხრა დაიწყო 1958 წლიდან, როდესაც მისი შემდგომი დანგრევისაგან დაცვის მიზნით საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველომ ფლატესთან პირველად ჩაატარა მკირემაპშტაბიანი საველე სამუშაოები. ასეთი თხრა 1959 წელსაც წარმოებდა. 1960 წლიდან კი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტმა ხსენებულ სამმართველოსთან ერთად ამირანის გორაზე უკვე ფართოდ დაგეგმა მუშაობა, რის შემდეგ უფრო სრულად გამოვლინდა ამ ძეგლის შინაარსი.

ამირანის გორის სერი და მისი სამხრეთი კალთა სადღეისოდ ბუნებრივად ერთიმეორისაგან გამოყოფილ ცალკეულ ნაწილებისაგან შედგება. სწორედ ამ ბუნებრივმა საზღვრებმა განაპირობეს ძეგლის ცალკეულ უბნებად დაყოფა (სურ. 1). აქ მთის ჩამორეცხვის შედეგად გამოიშვლებულ კლდის მასივებისა

და ხევეებს შორის ადვილად გამოირჩევა სამი უბანი: I უბანი საკუთრივ გორაა, რომელიც მდებარეობს თხემის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში; II და III უბანი მოქცეულია მთის სამხრეთ კალთებზე; II უბანი ამ კალთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს; მისგან დასავლეთით, ხევეალმა კი III უბანია. ამ უბანზეა მთის დიდი მასივი. რაც ფერლობის მკვეთრ დაქანებას ქმნის.

4. ზათხრითი საშუალოები ამირანის გორაზე

პირველ წლებში ახალციხესთან წარმოებულ საველე მუშაობაა დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. მაშინ ჩვენ შეგნებულად თავი აუარიდეთ ამირანის გორის ნასოფლარის შესწავლას და 1956—57 წლების მანძილზე მხოლოდ სამარხების გაწმენდით დავკმაყოფილდით (სურ. 9, სამარხები №№1—8). ძეგლის ხასიათისა და მისი ფარგლების განსაზღვრაში გვეხმარებოდა ფლატეში მოქცეული სქელი (0,5—0,8 მ სისქის მქონე) ნაცროვანი კულტურული ფენა, რომელიც მიწის ზედაპირიდან 1—3 მ სიღრმეზე მდებარეობდა. ეს ფენა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ თანდათანობით ეშვებოდა და უწყვეტლად II უბნის მთელ სიგრძეს მიჰყვებოდა.

მაგრამ მხოლოდ ფლატესთან არსებული ამ კულტურული ფენის მიხედვით ძეგლის შესახებ სრული, ერთიანი შთაბეჭდილების მიღება ძნელი იყო.

1958 წელს, როდესაც ფლატესთან ახალი 5 სამარხი (№№12—17) და ქვის ორი ნაგებობაც (ტაბ. IIIა, სურ. 9, ნაგებობა I და IV) გაითხარა, მაშინ პირველად დაიზვერა I უბანიც.

საკუთრივ გორაზე ფართო მასშტაბის დაზვერვა მხოლოდ 1959 წელს განხორციელდა. ამის შედეგად დადასტურდა, რომ აქ მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო არა მარტო ძვ. წ. III ათასწლეულის, არამედ II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული თითქმის ყველა პერიოდის მასალების აღმოჩენა. ამის მანიშნებელი იყო აღრეულ ნაგებობათა ქვაყრილებში შემთხვევით მოხვედრილი ის მცირედი კერამიკა, რომელიც სრულიად გადარეცხილ ფენებს ეკუთვნოდა.

1960 წელს დაზვერვითი სამუშაოები ამირანის გორასა და მის მიდამოებში უფრო გაფართოვდა. ე. წ. იწყორაზე აღმოჩნდა ძვ. წ. III ათასწლეულზე გვიანდელი ძეგლების მთელი კომპლექსი. ეს ადგილი ჩრდილო-დასავლეთიდან ეკვრის ამირანის გორას და მისგან პატარა ხევით გამოიყოფა. ამ დაფერდებულ დიდ მიწოდარზე ისევე, როგორც ამირანის გორის I უბანზე, ყველაზე გვიანდელი ჩანს განვითარებული ფეოდალური ხანის ძეგლები, რომლებსაც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ანტიკური და გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ 1959 წელს ამირანის გორის დასავლეთ ნაწილში, მთის სამხრეთ კალთაზე ერთი კოლექტიური სამარხი (სამარხი № 19) აღმოჩნდა (სურ. 12). ამის შემდეგ, მომდევნო წელს, საძიებო სამუშაოებიც დაიწყო ახლად გამოყოფილ III უბანზე.


როგორც უკვე აღინიშნა, 1959 წლამდე ამირანის გორაზე დაცვითი ხასიათის გათხრები ტარდებოდა. ამის შესაბამისად თხრაც მხოლოდ ფლატთან წარმოებდა. ამავე დროს, დაზვერვების საშუალებით, აქ მიახლოვებით ისაზღვრებოდა ამ ძეგლის გავრცელება. 1958 წლის შემდეგ, მთელი შესასწავლი ფართობი (დაახლოებით 4 ჰექტარი) უზნებლად იქნა დაყოფილი. ამ დროისათვის ეს ძეგლი უკვე ტოპოგრაფიულად აგეგმილი იყო, ხოლო თითოეული მისი უბანი დიდ და მცირე კვადრატებად დაყო. დიდი კვადრატების ფართობი 20×20 მ (400 კვ. მეტრს) უდრიდა, თითოეულ დიდ კვადრატში კი მოთავსებული იყო 2×2 მეტრებად დაყოფილი პატარა კვადრატები (4 კვ. მეტრის მქონე 100 კვადრატი). დიდი კვადრატის აღნიშვნას ჩვენ ორი შეერთებული ლათინური ასოს საშუალებით ვაწარმოებთ, მცირე კვადრატებისას კი რიცხვების საშუალებით (ტაბ. XII).

ამირანის გორის აწინდელი ტოპოგრაფია მიწის ქვეშ ჩაფლული დასახელების რელიეფს აღარ შეესატყვისება. ეს დროთა განმავლობაში ზემოდან ჩამორეცხილი მთის ქანების სხვადასხვაგვარი დალექვის შედეგად მოხდა. თხრის პროცესში სამივე უბანზე ყოველი მასალის აღმოჩენის ფიქსაციისათვის საჭირო გახდა მათი ინსტრუმენტული აზომვა; სხვაგვარად ადვილად ცვლადი რელიეფის პირობებში, რა თქმა უნდა, ყველა აქ აღმოჩენილი ძეგლის ურთიერთკავშირში შესწავლა ჩვენ გვიძნელდებოდა. საიმისოდ, რათა ეს გაადვილებული ყოფილიყო ამირანის გორის ნულოვან ხაზად ზღვის დონე იყო მიჩნეული.

ამირანის გორაზე შესასწავლი ფართობის მხოლოდ 1/20 ნაწილია გათხრილი (სურ. 1.) ეს მეტად მცირეა იმისათვის, რომ აქ ჩვენ უკვე მიგველო რაიმე მნიშვნელოვანი სტრატოგრაფიული მონაცემები. ის მონაცემები, რაც ახლა გავვაჩნია. დიდ შედეგებს ჭერჭერობით არ იძლევა. ამირანის გორის ნასოფლარის სხვადასხვა სამშენებლო პერიოდების გამოყოფა სრულად ვერ ხერხდება; მიუხედავად ამისა, უძველესი და მათი მომდევნო ხანის ცალკეული ძეგლების გამოყოფას ჩვენ მინც პირველ რიგში მათი სტრატოგრაფიული განლაგების მიხედვით ვადგენთ.

ასეთ სტრატოგრაფიას გვაძლევს 1960—61 წლების მანძილზე გათხრილი XXII ნაგებობა და მის ქვეშ მოქცეული სამარხი № 36 (ტაბ. IV), ანალოგიური სტრატოგრაფიული განლაგება დადასტურებულია აგრეთვე მეორე უბანზე, ოღონდ უკვე ფლატესთან, სადაც IV ნაგებობის კედელი ზემოდან გადაუდის №№ 9, 12, 14, და 15 ქვის სამარხებს (ტაბ. II); პირუტყუ სურათია III უბანზე,

სადაც სამარხი № 31/3 მის ქვეშ მოქცეულ ერთ-ერთ ნაგებობაზე გვიანდელი ჩანს (სურ. 12 და 17). აქ აღნიშნული სტრატეგრაფიული დაკვირვებანი ამირანის გორის ნასოფლარისა და სამაროვანის ცალკეული უბნების ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას გამოხატავენ.



სურ. 2

რაც შეეხება საკუთრივ ნასოფლარის სხვადასხვა სამშენებლო პერიოდების გამოყოფასა და ამის მიხედვით მისი შესაბამისი ნივთიერი კულტურის ძეგლების ქრონოლოგიურ დაჯგუფებას, ამის შესაძლებლობას ჭერჭერობით მხოლოდ ერთი სტრატეგრაფიული მონაცემი იძლევა. აქ იგულისხმება ფლატეს პირას 1958—59 წლებში გათხრილი ნასოფლარის ერთ-ერთი უძველესი დონე, რომლის ზემოთ X და XX ნაგებობები ექცევა (ტაბ. XIII).

ყოველივე ეს, როგორც ითქვა. თითქოს მეტად უმნიშვნელო ფაქტები აზოგადი ხასიათის დასკვნებისათვის. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ეს სტრატეგრაფიული დაკვირვებანი საყურადღებოა საკუთრივ ამირანის გორის ძეგლთა კლასიფიკაციისათვის, რაც ამ მასალების პირველად შესწავლას ხელს შეუწყობს.

1956 — 61 წლებში წარმოებული გათხრების შედეგად ამირანის გორაზე, დაახლოებით 2000 კვ. მეტრის ფართობზე, სულ აღმოჩენილია 29 ნაგებობის ნაშთი, 50 სამარხი და ამათში ნაპოვნი მრავალი ნივთიერი კულტურის ძეგლი, რომელთა უდიდესი ნაწილი ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისსა და მის მომდევნო ხანას ეკუთვნის.

აქ, ამ უძველეს ხანაში, მცხოვრები ტომის შესახებ სრული და ერთიანი წარმოდგენის შენუშაება ჯერ კიდევ ძნელდება, რადგან ეს მხოლოდ ამ ძეგლის შემდგომი შესწავლის შედეგად მოხერხდება. ამჟერად კი ჩვენ შევეცდებით შევეხოთ მათი ცხოვრების მხოლოდ იმ მხარეებს, რომლებიც ჩვენს მიერ გათხრილი ნასახლარის, სამაროვანისა და გორის მწვერვალზე აღმოჩენილი საწესო-სამსხვერპლო ადგილის შესწავლით თითქოს მეტნაკლებად უკვე შუქდება.

თ ა ვ ი მ ე რ ა

ამირანის გორის ნასახლარი, სამაროვანი და მწვერვალზე ალმოჩენილი ნაგებობანი

1. მთის (ტერასული) დასახლების ძირითადი თავისებურებანი

ჩვენს მიერ გათხრილი ამირანის გორის ნასოფლარი მთის ტიპიურ დასახლებას წარმოადგენს (ტაბ. XII—XIV). ამას მოწმობს საცხოვრებელი სახლების ტერასული განლაგება და ამ სახლების აღნაგობის ზოგიერთი თავისებურება (ტაბ. II).

ამ ნასოფლარის ზოგადი დახასიათება ძირითადად II უბანზე უკვე გათხრილი 21 ნაგებობის მიხედვით ხერხდება (ტაბ. XII), როგორც ჩანს, ძველი დასახლების მთავარი უბნები ძირითადად მთის სამხრეთი კალთის მოკავებულ ტერიტორიაზეა მოქცეული, რომლის საერთო ფართობი 10.500 კვ. მეტრს აღემატება.

II უბანზე მიცვლულ ნაგებობათა მიხედვით ჩანს, რომ ნასოფლარის ამ მთავარი ნაწილის საზღვრების საბოლოო დადგენა ჯერ კიდევ ძნელია. მისი დასავლეთი საზღვარი ნიაღვრებისაგან წარმოქმნილ ღრმა ხევამდე აღწევს და ამ ხევით გამოეყოფა მესამე უბანზე აღმოჩენილი ნასოფლარის მეორე ნაწილს. (სურ. 1). ჩრდილოეთი საზღვარი თითქმის უკვე მთლიანად გაშიშვლებულ კლდის მასივს ებჯინება; აღმოსავლეთის მიმართულებით კი ნაგებობათა გავრცელება ვერ შეიმჩნევა იმის გამო, რომ აქ ზემოდან ჩამორეცხილია თიხნარის მეტად სქელი ფენა, რომლის ქვეშ მოქცეულ ნაგებობათა ნაშთები ადვილად ვერ იძებნება. ძნელდება სამხრეთი საზღვრის დადგენაც, რადგან აქ ერთი ნაწილი უკვე აღრევეა განადგურებული (ტაბ. XII).

მთის სამხრეთ კალთაზე არსებული ნასოფლარი ტერასულადაა გაშენებული. ეს სახლები ზედა ტერასებიდან ქვევით, ე. ი. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ საფეხურებად ეშვება. ზედა და ქვედა საფეხურს შორის განსხვავება სიმაღლეში 15 მეტრია — ფერდობის დაბრლობა კი 10 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ამასთანავე ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნიაღვრების წამლე-

კავი მოქმედებისაგან ტერასებზე და საკუთრივ სახლის სახურავისა თუ ქვის კედლების დაცვის მიზნით, ხშირ შემთხვევაში შენობის უკანა კედლის გასწვრივ, ზედა ტერასაზე, დამატებით იგებოდა კიდევ ერთი კედელი, რომელიც კუთხით მიემართება. საფიქრებელია, რომ იგი ნიაღვრის ასაქცევ ქვის კედელს წარმოადგენდა (ტაბ. XIII, XIV; იხ. ნაგებობა XXI, XIII და XIV).

მოტანილი ფაქტები, როგორც ჩანს, თვალსაჩინოდ მიგვიჩვენებენ, რომ აქ მცხოვრებლებს ტერასებზე ნაგებობების გამართვისა და მოვლის ისეთი ტრადიციები უნდა ჰქონოდათ, რაც სწორედ მთის მოსახლეობას აქვს.

2. ნასოფრეშველი სახლები

ნასოფლარზე გათხრილი ქვის ნაგებობანი ყველა ერთი აღნაგობისაა. 21 შენობიდან მხოლოდ ერთი არის ტიხრით გამოყოფილი — ორსადგომიანი შენობა (ნაგებობა I — II, ტაბ. III, XIII), დანარჩენი ნაგებობები ერთოთახიანი სახლებია. ისინი ნახევრად მიწაში ჩადგმულ, გაგრძელებულ შენობებს წარმოადგენენ (ტაბ. XII). მათი ცალპირად ნაგები ქვის კედლები ყოველთვის საგანგებოდ ჩაჭრილ გრუნტს ემყარება. ზოგი (გრძივი) კედელი ორ რიგად ნაწყობი ქვებითაა შედგება; უთუოდ ასე ნაგები უნდა ყოფილიყო მიწის ზედაპირზე აღმართული იმ კედლის ზედა ნაწილიც, რომელიც მიწაში მოქცეულ ნაგებობის ერთი ქვით ნაწყობი კედლის გაგრძელებას წარმოადგენდა. საშენ მასალად უპირატესად გამოიყენებულა კლდისა და რიყის ქვა. როგორც დადასტურდა, ქვების თიხის ხსნარზე დაგება და მოლესვა მაშინ უკვე სცოდნიათ. ხის ანაბეჭდის მქონე ბათქაშის აღმოჩენით ისიც დგინდება, რომ ნაგებობათა ზედა ნაწილების მშენებლობისას ზოგჯერ ალიზი და ხეც (დიდი და პატარა ძელები) გამოიყენებოდა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ნასოფლარის ნახანძრვე უბანში, სადაც სახლების უმეტესობა ჩვენამდე უკეთ დაცულ მდგომარეობაშია მოღწეული.


სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გაჭრილ საძიებო თხრილში მიღებული მონაცემები გვიდასტურებენ, რომ ნასოფლარის შემორჩენილი ნაწილი 10-ზე მეტ ტერასას შეიცავს (ტაბ. XII).

თითოეული ტერასა, შესაძლოა, ცალკეულ დამოუკიდებელ უბანს წარმოადგენდა. უბანი ან ერთ დონეზე მდებარეობდა ან კიდევ ზოგიერთ შემთხვევაში თანდათანობით (სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იხრებოდა (ტაბ. II, XIII).

ხელოვნურად შექმნილი ტერასების სიგრძე-სიგანის შესახებ სრული მონაცემები ჩვენ ჯერ არ გავაჩნია; მაგრამ, ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ჩანს ერთიმეორის გვერდით განლაგებული ის შენობები, რომლებიც შესაძლოა

ერთ სამშენებლო პერიოდს ეკუთვნის (მაგალითად, XX—XXV და XXVI ნაგებობანი — ტაბ. XIII). მათი მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ თითოეული ტერასა სიგრძით 25 მეტრზე და სიგანით 7—10 მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

თუ ყველა აღნიშნულ ფაქტს გავითვალისწინებთ, შესაძლოა დავუშვათ, რომ ნასოფლარის მთელი ეს ნაწილი მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული; ამიტომ მოსალოდნელია აქ, მიწის ქვეშ, ათივე ტერასაზე 180-ზე მეტი დიდი პატარა ნაგებობის აღმოჩენა. ეს ციფრი, შესაძლოა მაქსიმუმში იყოს, მაგრამ



სურ. 3

თუნდაც ამ სავარაუდო რიცხვის ნახევარიც რომ ავიღოთ, ჩვენ მაინც ერთ-ერთ უდიდეს დასახლებასთან გვექნება საქმე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერასებზე გაშენებულ სახლებს სამეურნეო დანიშნულების ფართობი (ეზო, ბაღ-ბოსტანი) თითქოს არ უნდა ჰქონოდა; მხოლოდ VIII ნაგებობის უკან აღმოჩნდა ერთადერთი ორმო-ხარო, რომელიც შეიცავდა თიხის ჭურჭლის მრავალ ნატეხსა და ცხოველთა ძვლებს.

სავსებით დასაშვებია, რომ ტერასულად განლაგებულ საცხოვრებელ სახლებში ეზოდ წინა ტერასაზე არსებული ნაგებობის ბანური სახურავი გამოიყენებოდა.

ამ კარგად დაცულ შენობათა ნაშთების მიხედვით თვით ამ ნაგებობათა აღნაგობისა და სხვა დამახასიათებელი ნიშნების დადგენაც ხერხდება.

აღსანიშნავია, რომ ამ მთის ფერდობის ძველი ქანობის შესაბამისად თითქმის ყველა ტერაზზე აგებული სახლები თავისი ფასადით მიმართულია სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთით. როგორც ცნობილია, გაშუქება — სინათლის, ჰაერისა და სხვა სანიტარული პირობების შესაბამისად სახლის ფასადის ამ მხარეს ორიენტირება, ყველაზე სასარგებლო და ხელსაყრელია. აღსანიშნავია, რომ ამ მხარეს აგებული შენობის კედლის ნაშთები ჩვენამდე ძალიან იშვიათ შემთხვევაშია მოღწეული (ნაგებობა XXIII და IV), ჩვენი აზრით, ეს გარემოება იმაზე მიგვითითებს, რომ შენობის ამ მხარეს ქვიშა ნაგები კედელი მაღალი და ერთიანი არ უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ ამ სახლებს ფასადის ეს წინა კედელი სხვა მასალის (ხის?) ექნებოდათ, როგორც ეს ახლაც ძველ მესხურ დერეფნიან დარბაზებს აქვთ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს შენობები კვადრატული ან სწორკუთხედის ფორმის ერთთახიან ქვის ნაგებობებს წარმოადგენენ; მათი ფართობი 9 კვ. მეტრიდან 54 კვ. მეტრამდე მერყეობს, 21 ნაგებობიდან 6 ნაგებობას 40—48 კვ.მ. ფართობი ჰქონია (ნაგებობა XI, XX, IX, XXI, XXIII და XIII). ორ ნაგებობას კი უფრო მეტი ფართობი აქვს (ნაგებობა VII და XIV). სამი შენობა (ნაგებობა I, X და III) 20 კვ. მეტრს არც კი აღწევს და შედარებით მცირე ფართობის მქონეა.

შენობათა კედლის შემორჩენილი სიმაღლისა (1,3—1,55 მ) და ამ კედლებიდან სახლშივე ჩაქცეული ქვების დიდი რაოდენობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ნაგებობათა თავდაპირველი სიმაღლე 2—2,5 მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ნაგებობათა ეს სავარაუდო სიმაღლე დასაშვებად ხდის იმ გარემოებას, რომ ამ სიმაღლის მქონე სახლების ერთი უბანი ცალკე დამოუკიდებელ ტერასას ჰქმნიდა და მეზობელ უბნისაგან მკვეთრად გამოიყოფოდა.

ამის დადასტურებას ვხედავთ ახალქალაქის ამირანის გორის ნასახლარზე, სადაც ახლაჯაა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოყოფილი ძველი ტერასები. მათ შორის სიმაღლე 2—3 მეტრამდე მერყეობს.

ნაგებობათა კონსტრუქციების და მშენებლობის რაიმე სხვა ხელშესახები ფაქტები ჩერჩვრობით ჩვენ არ გვაგჩნია. გადახურვის სისტემის შესახებ აგრეთვე მონაცემები არა გვაქვს. მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ უმეტეს შემთხვევაში ამ ნაგებობებში ბანური ერთმალისანი გადახურვა უნდა ყოფილიყო. ეს განსაკუთრებით დასაშვებია წაგრძელებულ და შედარებით ვიწრო სადგომების გადასახურავად, სადაც უთუოდ გამოყენებული უნდა ყოფილიყო კედლიდან კედლამდე გადაებული ხის კოჭები, რომელთა სიგრძე დაახლოებით

3—4 მეტრს არ აღემატებოდა. ასეთი გადახურვა შესაძლოა I, III, IV, IX, X და სხვა ნაგებობებს ჰქონოდა (ტაბ. XIII).

რაც შეეხება დიდ შენობებს (X XIII, XIV და ზოგიერთ სხვა ნაგებობებს), ბუნებრივია, რომ ამ ოთახის შუაში საყრდენი (ხის დედაბოძი?) უნდა მდგარიყო. რადგან ვერც კერის უკან და ვერც სხვა ადგილას დედაბოძის ჩასასმელი ორმო ან ბოძის ქვეშ ამოსაღები ქვის ბალიში ჩვენ არ აღმოგვიჩენია, ეს ვარაუდი ჭერჭერობით ჰიპოთეზად რჩება.

შენობის იატაკი ჩვეულებრივად თიხალესილია. საამისოდ მეტწილად გამოყენებულია ყვითელი ფერის წმინდა თიხა, რომელშიც ზოგჯერ ადრე დამტკრებული თიხის ჭურჭლის პატარა ნატეხებია არეული.

მიუხედავად იმისა, რომ შეფერილობის მხრივ იატაკი მიწისაგან საკმაოდ ადვილად გამოარჩევა, მისი ფიქსირება ყოველთვის მაინც კერ ხერხდებოდა. განსაკუთრებით ეს პირს იმ შენობებში, სადაც მიწაში ჩადგმულა კერა არ არის (მაგალითად, XIV და XI ნაგებობა). სათანადო განაზომებით დადგინდა, რომ იატაკი ყოველთვის თანაბარ დონეზე არ მდებარეობს და მეტწილად სამხრეთ-საყენა დაქანებული.


ბოლოს, უნდა აღინიშნოს სახლის კედლების აგებისა და მათი გადახმის ზოგიერთი თავისებურება.

საყურადღებოა, რომ შენობას საძირკველში ზოგან გამოყენებულია დიდი ზომის კლდის ნატეხი ან რიყის ქვები. ასეთი ვითარება გვეხდება უმეტეს შემთხვევაში ისეთ ნაგებობებში, რომლის კედლები რიგ-რიგად დადგმულ ქვებისაგან არის ამართული (ნაგებობა VII, XXI, XIII, XIV და სხვ. შენობების ჩრდილო დასავლეთის კედლები). ზოგ შემთხვევაში კი პირიქით, კედლის ძირში წვრილი „ბრეში“ ქვაა მოქცეული, რომელიც, ალბათ, მცოცავ ქვიშანარევ გრუნტზე კედლის მდგრადობის შენარჩუნებისათვის იდებოდა (ნაგებობა VI, VIII და XXII).













ე. წ. წაგრძელებულ შენობებში კუთხესთან ზოგჯერ თახჩა კეთდებოდა. ნაგებობის კუთხეები არც ერთ შემთხვევაში გადახმული არ არის. როგორც აღინიშნა, ყველა კედელი წყება-წყება დალაგებულ ქვებისაგან შედგება და ე. წ. ნაკერს ჰქმნის. ამ ნაგებობისათვის დამახასიათებელია კუთხეების ოდნავ მორკალვა, რაც ამ შენობების ერთ-ერთ არქაულ ელემენტად შეიძლება მივიჩნიოთ.

3. ნახოფლარის ძირითადი კოვალეჟაჟი

ოთაი წლის მანძილზე ამირანის გორის მეორე უბანზე წარმოებული გათხრის შედეგად სულ 21 ნაგებობაა აღმოჩენილი. ამათგან მთლიანად გამოვლენილია მხოლოდ 12 შენობა. ამას გარდა, გათხრა მთლ. ზემო კალთიდან ჩამორეცხილა



таб. 4




კულტურული ფენის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფართობიც, სადაც ნიეთიერი კულტურის მეტად საყურადღებო და მრავალრიცხოვანი ძეგლები აღმოჩნდა. ჭაგრამ ყველა ამ არქეოლოგიურ მასალებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც საკუთრივ ნაგებობებში აღმოჩენილ კომპლექსებს აქვთ (სურ. 2, 4, 5, 6).

ერთი ასეთი კომპლექსი 1959 წელს ფლატეს პირას აღმოჩნდა; აქ წარმოდგენილია ქვის ფილებისაგან შედგენილი კერა, ქვის სანაყი და რამდენიმე კერამიკული ნატენი (სურ. 4ა-ა), რომელიც 1961 წელს საბოლოოდ გაწმენდილ X, XX ნაგებობათა ქვეშ იყო მიკვლეული. როგორც ირკვევა, ნიეთთა ეს ჯგუფი უნდა ეუთვნოდეს იმ ნაგებობას, რომელიც შემდგომ იმავე ადგილას აგებულ სხვა ნაგებობის მშენებლობის დროს განადგურდა (ტაბ. XIII).

ამრიგად, ჩანს, რომ აქ ჩვენ პირველად ვნახეთ ნასოფლარის უძველესი სამშენებლო პერიოდის ნიეთების ერთი პატარა ჯგუფი, რომლის შედარებითი არქაულობა სტრატეგრაფიული მონაცემებით დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ ამირანის გორის მხოლოდ 5 საბოლოოდ გაწმენდილ ნაგებობაში ნაპოვნია ადგილზე შემონახული არქეოლოგიური მასალა. დანარჩენ შემთხვევაში მასალები თითქმის სრულიად არა ჩანს.

უნდა ვიფიქროთ, რომ სათავსოებში ნიეთების შედარებით კარგი დაცულობა დადასტურებულია იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა ხანძრის მოქმედების შედეგად ინტრევა — ხდება ბანის ჩამოწოლა და კედლის შიგ ჩაქცევა. ასეთი სურათი ჩანს I და XIII ნაგებობებში, სადაც ხანძრის მოქმედებას ცეცხლში მოხვედრილი კედლის ზოგიერთი გამსკდარი ქვა და თიხის ჭურჭლის ცალკეულ ფერშეცვლილი ნატენები გვანიშნებენ. სხვა რაიმე ამის უფრო აშკარა დაზარალებული მონაცემები (მაგალითად, დანახშირებული ხე, გამოწვევარი თიხის იატაკი და სხვ.) არსად ყოფილა აღმოჩენილი. ვფიქრობთ, რომ ქვისაგან ნაშენ ამ შენობებში ცეცხლში ადვილად დასაწვავი ხის კონსტრუქციების მეტად უმნიშვნელო ნაწილი უნდა ყოფილიყო, რის გამოც აქ საერთოდ ისეთი სიმძლავრის ხანძარი მაინც ვერ გაჩნდებოდა, როგორც ეს მიწის ზედა ნაგებ ხის ფაცხისებურ თხაშელესილ სახლებშია დადასტურებული. მაგალითად, ასეთი განსაკუთრებული სიმძლავრის მქონე ხანძრის მანიშნებელია შიდა ქართლის ამავე დროის ნასოფლარები ქვაცხელა, ზიზნანთ გორა და გუდაბერტყა. მაშასადამე, ირკვევა, რომ ამირანის გორაზე ასეთი მძლავრი ხანძრის კვალის დადგენა არც არის მოსალოდნელი. ამიტომ საფიქრებელია, რომ მხოლოდ ზემოხსენებული ორი ნაგებობის გარდა სხვა შემთხვევაშიც ნაპოვნი თიხის ზოგიერთი ჭურჭლის ნაწილობრივი ფერშეცვლილობაც ნახანძრევის შედეგი უნდა იყოს და იქაც (მაგალითად XXIII და X ნაგებობებში) შესაძლებელია სუსტი ხანძრის შესახებ ვარაუდის გამოთქმა.



სურ. 6

ქვემოთ ჩვენ მოკლედ დავახასიათებთ ზოგიერთ შედარებით უკეთ დაცულ ნაგებობებსა და მათში აღმოჩენილ კომპლექსებს.

ნ ა გ ე ბ ბ ა I და II აღმოჩნდა 1958 წელს ამირანის გორის მეორე უბანზე ფლატეს პირას (ტაბ. III, ა XIII). ნაგებობების სამხრეთი ნაწილი განადგურებულია.

I ნ ა გ ე ბ ბ ა წარმოადგენს ნახევრად მიწურ ოთხკუთხოვან შენობას, რომლის ფართობი დაახლოებით 18 კვ. მეტრს უდრის. მას ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდა. ამ სათავსოს შუა ადგილას იატაკში ჩაჭრილი კერა იყო მოთავსებული.

ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთის კედელი, რომელიც შენობის ზურგს წარმოადგენს ცალპირადაა ნაგები. იგი საგანგებოდ ჩამოჭრილ მიწას ებჯინება (მისი სიგრძე 4 მეტრს უდრის, შემორჩენილი სიმაღლე — 1,35 მ). სავარაუდოა, რომ ეს ზურგის კედლის თავდაპირველი სიმაღლე დაახლოებით 1 მეტრით მაინც სცილდებოდა მიწის ზედაპირს. ეს კედელი ორპირად იყო ნაგები.

შენობის თიხატკვანილი იატაკი ორფენიანია. მის ცენტრში ჩასმულია კერად გამოყენებული თიხის ბრტყელძირიანი ჭურჭელი, რომელსაც გადაზნექილი ბრტყელი პირი აქვს (კერის დიამეტრი 35 სმ უდრის, სიმაღლე 30 სმ, სურ. 2). ამ ჭურჭელს ზემოდან ეფარა შუაგულამოღებული თიხის ფილა-სარქველი, რომელსაც ზედაპირი გაპირალებული აქვს (ამ ფილის სიგანე 20 სმ უდრის, სურ. 2)².

შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოპოვებულია ერთიმეორის გვერდით მდებარე ხელსაფქვაკვს სამი სასრესი და სანაყი ქვა, აგრეთვე თიხის ჭურჭლის (ჯამების) ნატეხები. ამავე სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იატაკზე აღმოჩნდა კუდიანი ცხერის თიხის ქანდაკების ფრაგმენტი (სურ. 2).

II ნ ა გ ე ბ ბ ა გადაუხურავი ეზოსებური სადგომი უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, II სათავსოს შერჩენილი ჰქონდა ორი კედელი; ერთი მათგანის სამხრეთ-დასავლეთი კედელი ტიხრის დანიშნულებას ასრულებდა. რაც შეეხება მეორე შერჩენილ კედელს, იგი რკალისებურია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს II სათავსო I ნაგებობასთან მოგვიანო ხანაშია მიშენებული. ამ სათავსოს ჩრდილო-დასავლეთის ცალპირად ნაგები კედლის სიგრძე 2,25 მეტრს აღწევს, მისი უდიდესი სიმაღლე (დასავლეთ კუთხესთან) = 0,6 მეტრს. ეს კედელი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აკეთებს 160—170° კუთხეს და შემდეგ IX ნაგებობის კედლის ქვეშ შედის. ამ სათავსოს თიხატკვანილი იატაკი არ ჰქონია, მაგრამ მისი დონე I ნაგებობის იატაკთან შედარებით 15 სმ-ით უფრო მაღლა უნდა ყოფილიყო. ეს მინაშენი, ჩვენი აზრით, დამხმარე ნაგებობას წარმოადგენდა, და ალბათ, გადაუხურავიც იქნებოდა.

ამ სათავსოში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

X ნ ა გ ე ბ ო ბ ა ვ ა ი თ ხ ა რ ა 1959 — 61 წ ლ ე ბ შ ი ა მ ი რ ა ნ ი ს გ ო რ ს მ ე ო რ ე უ ბ ა ნ -
ზე ფ ლ ა ტ ე ს პ ი რ ა ს . ნ ა გ ე ბ ო ბ ი ს ს ა მ ხ რ ე თ ი ნ ა წ ი ლ ი გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ უ ლ ი ა (ტ ა ბ .
III, ბ XIII).

ოთახში გათხრილია 15 კვ. მეტრის ფართობი, მაგრამ ამ ნაგებობის თავდა-
პირველი სიდიდე უთუოდ მეტი უნდა ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ნასოფლარის
შენობებში კერა ჩვეულებრივად იატაკში ჩასმულია ცენტრალურ ადგილას. აღ-
ნიშნულ ოთახშიც თიხის კერა (სურ. 4) ჩრდილო-დასავლეთ კედლიდან 2 მეტ-
რის მანძილზე მდებარეობს; ამასთანავე, ამავე ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ-
ის კედლის შემორჩენილი სიგრძე (5,2 მ) გვანიშნებს, რომ ამ ნაგებობის ფარ-
თობი 20—24 კვ. მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ამ ოთახის ნიში ისევე, როგორც I ნაგებობაში (ტაბ. IIIა), დასავლეთ
კუთხესთანაა გამართული. ამ შემთხვევაში ნიში ორივე (ჩრდილო-დასავლეთისა
და სამხრეთ-დასავლეთის) კედლის „შეწვევის“ შედეგადაა წარმოქმნილი. ამ
ოთახის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან ტანტისებური შემადლება ყოფილა.
იგი თიხალესილ საფეხურს წარმოადგენდა. მისი ზედაპირი ჩრდილო კუთხიდან
ჩრდილო-დასავლეთის კედლის ქვედა ქვების დონეზე მდებარეობდა. ამ საფე-
ხურის სიგრძე დაახლოებით 2 მეტრი უნდა ყოფილიყო, სიგანე — 0,5 — 0,6 მ,
ზოლო სიმაღლე 0,4—0,5 მ.

შენობის ნგრევის ხასიათისა და იატაკზე აღმოჩენილი ნივთმრავალი კომპ-
ლექსების ადგილმდებარეობა ისეთია, თითქოს, ეს შენობა რაღაც კატასტროფის
შედეგადაა დანგრეული. დასაშვებია, რომ შენობა მიწისძვრის შედეგად დაინგრა.
ამ ნაგებობის სწრაფი ნგრევა მიწისძვრის პირობებში შესაძლოა გამოწვეული
იყო იმით, რომ იგი უფრო ძველი ნაგებობის ადგილასაა გამართული, რის გამოც
ასეთი მძლავრი ფაქტორის ზემოქმედების პირობებში სახურავი და კედლის
ზედა ნაწილი ადვილად ჩამოწვებოდა. ამასთანავე, აღსანიშნავია ამ თვალსაზრ-
სით მიწაში ჩადგმული კერის ჩაწოლა და „ტანტისებურ“ შემადლებაზე მდგარი
ჭურჭლების გადმოვარდნაც.

ამ შენობაში სულ 50-მდე ნივთი აღმოჩნდა (სურ. 4, 5) მათი უმეტესობა
წარმოდგენილია თიხის ჭურჭლის სახით, რასაც ოთახის 11 კვ. მეტრი ფართობი
ეკავა, აქ შეიძლება ერთიმეორისაგან გამოიყოს მხოლოდ ის ჭურჭელი, რომე-
ლიც „ტანტზე“ და იატაკზე უნდა მდვარიყო.

საკუთარივე „ტანტზე“ 10-მდე ჭურჭელი დაიდებოდა. ამათგან რამდენიმე
სადა და ორნამენტირებული ჭურჭელი დიდი ზომისაა (სიმაღლე — 0,5—0,7 მ).
ზოგი მათგანი, როგორც ჩანს, დახურული ყოფილა საგანგებოდ გვერდებშემოს-
წორებული თხელი ფიქალი ქვებით, რომლებზედაც თიხის უფრო პატარა ჭურ-
ჭლები ეწყო. აქვე აღმოჩნდა თიხის მოდელი — იმიტაცია მკლავებიანი სადგრი-
სა, რომელზედაც მიძერწილია უფრო პატარა, მასში ჩადგმული ჭურჭელიც
(ტაბ. Xა).

თიხის კურკელთა მეორე ჯგუფი უშუალოდ იატაკზე იქნა აღმოჩენილი. იატაკის დონეს აქ გვანიშნებდა თიხის კერა, რომელიც პირგადაშლილ, ცილინდრული ფორმის სქელკედლიან კურკელს წარმოადგენს (სურ. 4ა). ამ ჩანგრეულა კერის ძირის ქვეშ თიხის თხელკედლიანი, შავზედაპირიანი კურკელა და ქვის იარაღი აღმოჩნდა (სურ. 4ა, 11).

დანარჩენი ნივთები, მათ შორის ძვლის კვირისტაეცი ან უშუალოდ იატაკზე ეწყო ან დამსხვრეულ ნატეხების სახით ერთიმეორეზე ელაგა (ტაბ. III₂). ამათგან ერთი ნაწილი კერის თავზე და მის გარშემო იყო განლაგებული. ასეთი სხვადასხვა ფორმის დიდ-პატარა ძირვიწრო კურკელთა შორის თავისი საგანგებო დანიშნულებით გამოირჩევა შემდეგი თიხის ნაკეთობანი: ანტრომორფული სადგარის ნაწილი (მკლავებიანი სადგარის ნატეხები, პირგადახსნილი ტაფისებური კურკელი, კედელდაფანჯრული ოთხკუთხა „საკმეველი“ კურკელი, ციცხვის, ობსიდიანის ფირფიტის ჩასასმელად პატარა „სარკმელი“ გაკეთებული (სურ. 5ა).

გარდა ამისა, უნდა მოვიხსენიოთ თიხის კურკლის ნატეხების ერთი ჯგუფი, სადაც წარმოდგენილია ნაცრისფერი, საღაზედაპირიანი, გაპრიალებული, ყელვიწრო კურკელი. ამათგან ერთი სამყურაა, დანარჩენი კი ერთყურიანი (სურ 5ა-34); სხვა ნაცრისფერ, თხელკედლიან, პირფართო, ცალყურა ტოლ-შავზედაპირიანი ძირვიწრო მაღალი კურკელი, რომლის ყელს ქვემოთ, მხარზე ობსიდიანის ფირფიტის ჩასასმელად პატარა „სარკმელი“ გაკეთებული (სურ. 5ა).

წაბლისფერ-მოწითალო ფერის კურკლის ჯგუფში შედის პირგადაშლილი ბრტყელი პატარა ლანგარი, რელიეფურად შემკული კურკლის ნატეხი, აქვეა შავზედაპირიანი ძირვიწრო მაღალი კურკელი, რომლის ყელს ქვემოთ, მხარზე პატარა სასულე ნახვრეტია (სურ. 5ა) და ბოლოს, აღსანიშნავია შავზედაპირიანი პირფართო და ძირვიწრო, უყურო დერგები, რომელთა ცალ მხარეს, ყელქვემოთ რელიეფურად გამოყვანილია სპირალები, მეანდრები და სხვა სახეები ან ნიშნები (სურ. 5ა-41).

X ნაგებობაში ზემოხსენებულ ნივთებთან ერთად ცხოველთა დამწვარი ძვლებიც აღმოჩნდა.

XIII ნაგებობა გათხრილია 1960 წელს ამირანის გორის მეორე უბნის საძიებო თხრილში (ტაბ. XIV).


ოთახი თითქმის მთლიანადაა გათხრილი, საბოლოო გაწმენდამდე იგი დაკონსერვებულია. ნაგებობის ფართობი (7×7 მ) 48 კვ. მეტრს უდრის და გეგმაში ოთხკუთხოვანია. კარგად დაცულია ამ ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთის კედელი, რომლის სიმაღლე (დასავლეთ კუთხესთან) 1,4 მ აღწევს.

სხვა ნაგებობებისაგან განსხვავებით აქ ნაწილობრივ დაცულია სამხრეთ კუთხესთან ოთახის ფსადური კედელი.

ნაგებობის კედლების ქვედა წყობის ზოგიერთი დამსკდარი ქვა, იატაკის მოწითალო შეფერილობა და ცეცხლში მოხვედრილი ჭურჭლის ნატეხების დეფორმირება იმაზე მიგვიჩვენებს, რომ ეს შენობა თითქოს ხანძრის შედეგადაა დანგრეული.

ოთახში თიხალესილი იატაკის შუაში ჩასმულია ფართო ნახევრეტის მქონე კერა, რომლის დიამეტრი 1,24 მ უდრის (სურ. VI 20), სიმაღლე კი 12 სმ აღწევს, კერას ბრტყელი და გადაწეული პირი აქვს.

ოთახის დასავლეთ კუთხესთან, ან უკეთ — ჩრდილო-დასავლეთ კედლის ძირში თიხისაგან ნაძერწი აბაზანისებური „ღუმელი“ აღმოჩნდა. მისი შემორჩენილი თიხის კედლის უდიდესი სიმაღლე 0,35 მ უდრის, სისქე 0,15—0,2 მ. მისი საერთო სიგრძე 1,5 მ, სიგანე კი 0,4—0,45 მ არ აღემატება.



სურ. 7.

„ღუმელი“, როგორც ჩანს, მცირე სიმაღლის თაღით უნდა ყოფილიყო გადახურული; მის წინა მხარეს „შესასვლელთან“ იატაკში დატანილია ბრტყელი ქვა; ამ აბაზანის ბოლოს გამოყოფილია ოვალური ფორმის პატარა განყოფილება, რომელიც ნაცრით იყო სავსე. „ღუმელის“ კედელზე იღო რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭლის დიდი ნატეხი (სურ. 6). ამ გამომწვარი თიხის ნაკეთობის დანიშნულება გაურკვეველია.

ოთახში 15-ზე მეტი თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა (სურ. 6). ამათ-

გან ნაწილობრივად აღდგა ო ქურჭელი, რომელთაგან სამი ნაცრისფერი ყელ-
ვიწრო ცალყურა ქურჭელია (სურ. 617, 18, 19); ამათ გარდა ჩრდილო-დასავლეთ
კედელთან ნაპოვნია სამი მთელი შავზედაპირიანი ქურჭელი, რომელთაგან ერ-
თი პატარა ცილინდრული ფორმისაა და მის მოპირდაპირე მხარეს თითო-თითო
შვერილი აქვს გაკეთებული (სურ. 616) დანარჩენ ორ ქურჭელს მომრგვალე-
ბული მუცლები და დაბალი ყელი აქვს (სურ. 614, 15).

მოწითალო-ლუგა ფერის ქურჭელთა შორის აღსანიშნავია ნახევარსფერული
ყურჩანი ქურჭელი. აქვეა ნაპოვნი დისკოსებური თიხის სამი სარკველი
(სურ. 61, 8, 9).

(ცალკე აღსანიშნავია გაურკვეველი დანიშნულების ცალმხრე პირგადაბსნი-
ლი ტაფისებური თხელკედლიანი სამი ქურჭელი, რომლის თიხაში ბევრი ბზეა
ნარევი (სურ. 61, 4, 7).

დაბოლოს, ჩრდილო-დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა მკლავებიანი სადგრის
ანტრომორფული ქანდაკების ნაწილი (სურ. 62), რომელიც მრგვალ ქანდაკებას
წარმოადგენს (მისი სიმაღლეა — 6,5 სმ).

ქანდაკება გადმოსცემს ადამიანის სახეს, რომელსაც მსხვილი ცხვირი აქვს.
ფორმების საშუალებით კი — თვალები და პირია გამოყვანილი. შუბლიდან
ქანდაკება ზემოთ და ქვემოთ გაფართოებულია. ზემოთ იგი სრულდება თანსიე-
ბურად ჩაღრმავებული „თავსაბურთით“ (მისი დიამეტრია 4, 3 სმ). სავარაუდოა,
რომ თვალის ნახვრეტები ადრევე შევსებული ექნებოდა ფერადი ინკრუსტა-
ციით.

არაკერამიკული მასალა წარმოდგენილია თეთრი დაღარული პასტის გრძე-
ლი მძივით, კაუჩის დანის ჩასართის პატარა ნატეხით და ქვის ორი სანაყით
(სურ. 65, 6).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ „ლუმელთან“ აღმოჩენილი ჩვილი ბავშვის დამ-
წვარი ძვლები და კბილები.


ზემოთ მოკლედ ჩამოთვლილი ძირითადი კომპლექსების გარდა, ჩვენთვის
საყურადღებოა კიდევ რამდენიმე ოთახში ნაპოვნი ნივთები; ამთგან განსაკუთ-
რებით უნდა აღინიშნოს XXI და XXII შენობებში აღმოჩენილი შემდეგი
მასალა:

XXI ნ ა გ ე ბ ო ბ ა შ ი (ტაბ. XIII) მეტად მცირედი მასალები ლა შემოინა-
ხა, რადგან ძველად აქ არსებულ ნივთებიდან ბევრი რამ ამ ადგილას გვიანდელი
სათავსოების გამართვის დროს განადგურდებოდა.

მიუხედავად ამისა, XXI ნაგებობის იატაკზე აღმოჩენილ იქნა პირფართო
ღერგის (სურ. 76) რელიეფური შენადრით შემკული ზედა ნაწილი, სპილენძის
საყინძი ნახევარდისკოსებური, ბრტყელი თავით (სურ. 144) და მკლავებიანი
სადგრის ცენტრალური გაბრტყელებული ნაწილი, რომელიც სქემატურად გამო-

ხატავს ადამიანის თავს. მასზე გამოძერწილია მხოლოდ ცხვირი და თავსაბურავის ნაწილი — რქასავით გამოწეული ორი შვერილი (ტაბ. XI).

XXII ნაგებობა (სურ. 10) ჯერ კიდევ მთლიანად გათხრილი არაა. იგი მოქცეულია № 36 სამარხის თავზე (ტაბ. IV). ამ შენობის ჩრდილოეთ ნაწილში.



სურ. 8

გათხარა თიხის დიდი „კეცი“ (სურ. 7). მას ჩრდილოეთ მხრიდან ეკვრის ფიქალი ქვებისაგან შედგენილი პატარა განყოფილება, რომელიც ნაცრით იყო სავსე. იქვე ნაპოვნია წითლად შეღებილი ზედაპირის მქონე თიხის ყურდანი სარქველი, მოყავისფრო ორყურა დერგის ზედა ნაწილი, ძირშევიწროებული კერის ქვედა ნახეარი და რელიეფურად გამოყვანილი წრიული ორნამენტით შემკული ჭურჭლის ნატეხი (სურ. 72-5).

4. ნასოფლარზე აღმოჩენილი ბავშვთა სამარხები

ამ დასახლების თავისებურებათა გარკვევას დიდად უწყობს ხელს საკუთრივ სახლებში და სახლებს შორის ბავშვთა დაკრძალვის დამადასტურებელი ფაქტების შესწავლა (ტაბ. XIII, XIV, სურ. 9, 10).

საკუთრივ სახლებში იატაკის ქვეშ ჩვილ ბავშვთა დაკრძალვის 5 შემთხვევა დადგენილი (სამარხი № 18, 37, 39, 40). ამთგან სამი აღმოჩენილია IX შენობაში (№№ 37—39 სამარხები), თითო-თითო კი ორი სხვადასხვა შენობის კედ-

ლებთან (VII ნაგებობაში და ფლატესთან არსებული შენობის აღმოსავლეთ კედელთან). აღსანიშნავია, რომ ბავშვთა სხვა სამარხებისაგან განსხვავებით იატაკის ქვეშ აღმოჩენილ არც ერთ სამარხში არ იყო თიხის ქურქელი. სამაგეროდ ერთგან ძვლის ნემსი (სამარხი № 18, ტაბ. X₁₅), მეორეგან კი (სამარხი № 38) ავგაროზად გამოყენებული ძაღლის გახვრეტილი კბილები აღმოჩნდა (ტაბ. X₁₁).

ბავშვის სამი სამარხი აღმოჩენილია შენობებს შორის ან უშუალოდ სახლის ჩრდილოეთი კედლის უკან. ამთგან VII და XI სახლების კედლებს შორის მოქცეულია სამარხი № 41, ხოლო სამარხები №№ 44 და 43 გამართულია XXI და XIV ნაგებობათა უკან არსებულ ნიაღვრის ასაღდენ კედლებთან.

ბოლოს, აქვე აღსანიშნავია XIII ნაგებობაში ჩვილი ბავშვის ნახევრად დამწვარი შვირეტიცხოვანი ძვლების აღმოჩენაც, რაც უთუოდ მის ჰაგანგებოდ შეწირვაზე ან ხანძრის დროს დაღუპვაზე მიგვითითებს.

5. საშაროვანი

ამირანის გორის სამხრეთ კალთაზე აღმოჩენილია სამაროვანის ცალკეული უბნები. სულ გათხრილია 38 სამარხი (სურ. 9 და 10). ეს სამარხები შეადგენს სამ დიდ ჯგუფს. ორი ჯგუფი სამარხებისა (33 სამარხი) მეორე უბანზე მდებარეობს, მესამე ჯგუფი (5 სამარხი) მესამე უბანზე. ეს სამარხები სამ ტიპად იყოფა.

I ნალისებური ფორმის დიდი სამარხი — აკლდამა (2 სამარხი — ტაბ. IV₁₋₂).

II — ქვის სამარხები — ფილაქვებისაგან ნაგები სამარხები (31 სამარხი, სურ. 9, 10).

III — ქვებით ამოყვანილი სამარხები ნაგებია აკლდამისებური სამარხების მსგავსად (5 სამარხი, სურ. 12).

სამარხების ერთი ნაწილი (სამარხები №№ 36, 9, 12, 14, 15 და 17) ნასახლარის ძველ ნაგებობათა ქვეშ ექცევა (ტაბ. II₃), ხოლო თითო-ოროლა სამარხი კი III უბნის ნაგებობის თავზე (სურ. 12). ამ სტრატეგრაფიის საფუძველზე ჩვენ აქვე შეგვიძლია ზემოხსენებული სამივე ტიპის სამარხები პირობითად ორ დიდ ჰრონოლოგიურ ჯგუფად დავყოთ:

I ადრეული სამარხები (I და II ტიპის სამარხები).

II გვიანდელი სამარხები (III ტიპის სამარხები).

I. ადრეული სამარხები

სამარხი № 36 აღმოჩნდა 1960 წელს ამირანის გორის მეორე უბანზე, საძიებო თხრილში — XXII ნაგებობის ქვეშ, მისგან 0,3—0,5 მეტრით დაბლი (ტაბ. IV₁).

სამარხი ნაგებია დიდ ორბოში, რომლის ძირიდან ამოყვანილია 1,3—1,4 მ სიმაღლის რიყის ქვის სამი (სამხრეთ-დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის) კედელი; ჩრდილო-დასავლეთის კედელი ოდნავ მორკალულბია, სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელი სწორია და გვერდზე შეყენებული ფიქალი ქვებისაგან შედგება.

სამარხს გეგმაში ნალისებური ფორმა აქვს. იგი გადახურული იყო ბრტყელი ქვებით. სამარხის ფართობი 2,1×1 მეტრს უდრის. სამარხი ორიენტირებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

მარჯვენა გვერდზე დასვენებული მიცვალებული სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან იღო. მისი თავისუფლად მოხრილი კიდურები მიტანილია გულმკერდთან, ქვემო კიდურები კი მუცლის არეში ეწყო. მიცვალებული თავით სამხრეთისაკენ იყო მიმართული. მას თავქვეშ ამოდებული პკონდა მსხვილფეხსა რქოსანი ცხოველის ნეკნის ძვლები. ამავე ცხოველის თავის ქალა და ფეხების ძვლები სამარხის წინ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის გარეთ აღმოჩნდა.

ი ნ ე ე ტ ა რ ი: 1. მონაცრისფრო თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში (ტაბ. V₁-ჟ). მას ვიწრო პირგადაშლილი ცლინდრული ყელი და სფერიული მუცელი აქვს. ყელის ქვემო ნაწილთან მიძერწილია მრგვალხვრელიანი მსხვილი ყურა.

ყურის ქვეშ ჭურჭლის გამოწვის შედეგ ამოკაწრით ნაკეთებია 10 სხვადასხვა ნიშანი, რომლებიც ერთ მწკრაფში სარტყელივით უვლიან ჭურჭელს. ჭურჭლის სიმაღლეა 27 სმ, პირის დ — 12,5 სმ. მუცლის დ — 26 სმ, ძირის დ — 7 სმ.

2. ძელის კვირისტავი აღმოჩენილია სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან.

3. სპილენძის ყუნწიანი პატარა სატყერისპირი აღმოჩენილია სამარხის აღმოსავლეთ კუთხეში იატაკის დონეზე 0,35 სმ-ით მაღლა, მისი სიგრძეა 12,5 სმ (სურ. 14ჟ).

სამარხი № 16 აღმოჩნდა 1958 წელს მეორე უბანზე ფლატეს პირას IV შენობის აღმოსავლეთ კუთხესთან (ტაბ. IVჟ).

სამარხი ნაგებია დიდ ორბოში, რომლის სამი კედელი ნახევაროვალს ჰქმნის. სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელი ფიქალი ქვებისაგან შედგება. რიყის დიდი ქვებისაგან ნაშენი დანარჩენი კედლები. როგორც ჩანს, ტალახზეა ნაწყობი. მათი ზედა ნაწილი ოდნავ ვიწროვდება. სამარხი გადახურული იყო სამი დიდი ბრტყელი ქვით, სახურავი ადრევე სამარხში ჩაქექულა. სამარხის სიმაღლე 1,35—1,4 მ უდრის.

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენდა „კარს“, რომლის მაგივრობას დიდი ბრტყელი ქვა ასრულებდა. ამ ქვის წინ დახვავებული იყო რიყის ქვების დიდი გროვა. სამარხის ფართობი

2,5×1,64 მ უდრის. იგი ორიენტირებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხი კოლექტიურია; სამარხში ჩაქცეული სახურავის ბრტყელი ქვების ქვეშ სხვადასხვა დონეზე ოთხი ადამიანის ჩონჩხის ცალკეული ნაწილები აღმოჩნდა. ამათგან ორი მამაკაცის თავის ქალაა (ცხრილი).

ი ს ვ ე ნ ტ ა რ ი : 1. თხელკედლიანი მოვარდისფრო თიხის ქოთანი. იგი სამარხის სამხრეთ კუთხესთან იდო. მისი ზედაპირის მხოლოდ მცირე ნაწილია გაპრიალებული. ჭურჭელს გადაშლილი პირი და დაბალი ყელი აქვს. მუცელი შეუაში შესამჩნევად გაფართოებულია. პირსა და მხარს შორის მიძვრწილი აქვს მაღალი ყური. ჭურჭელი ოდნავ დეფორმირებულია. ჭურჭლის სიმაღლეა 18 სმ. პირის დ — 15 სმ, მუცლის დ — 12 სმ, ძირის დ — 7 სმ (ტაბ. V4).

2. თხელკედლიანი შავზედაპირიანი თიხის ტოლჩა აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ კედლთან. ტოლჩის ზედაპირი გაპრიალებულია. მას ფართო ცილინდრული ყელი და გადაშლილი პირი აქვს. მუცელი სფერული ფორმისაა. ყური მაღალი აქვს, ჭურჭლის სიმაღლეა 10 სმ, პირის დ — 8 სმ, მუცლის დ — 11, ძირის დ — 3,8 სმ (ტაბ. V3).

3. ვერცხლის ერთნახევრიანი პატარა სვია აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ტაბ. X2).

4. სპილენძის ორი კასრისებური მძივი ნაპოვნია სამხრეთ-დასავლეთ კედელთან (ტაბ. X4).


5. მინისებური პასტის დიდი მრგვალი მძივი და

6. თეთრი ქვის ბიკონუსური ფორმის 26 მინიატურული მძივი აღმოჩენილია სამარხის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. X3).

ადრეული ქვის სამარხები (სურ. 9, 10): ამირანის გორაზე აღმოჩნდა 31 ქვის სამარხი. ეს სამარხები თავისი სიდიდით და დაკრძალვის წესების შესრულებით ურთიერთისაგან განსხვავდებიან.

მოზრდილთათვის განკუთვნილი 21 სამარხიდან 14 (№№ 24, 34, 27, 45, 42, 48, 50, 9, 6, 8 და 20) სამარხი თითო მიცვალებულისათვის იყო განკუთვნილი. ეს სამარხები ერთიმეორეზე ნაწყობი ან გვერდზე შეყენებული ერთიანი ბრტყელი ქვებითაა გამართული. ასეთი სამარხების ფართობი საშუალოდ 1,5×0,8 მ უდრის (ტაბ. VI, VII2, 3). დანარჩენ 7 სამარხიდან სამში (სამარხი №№ 1,3 და 13) მოზრდილი ადამიანის და ჩვილი ბავშვის ჩონჩხის ძვლები იყო. ოთხი სამარხიც სხვადასხვა დროს ჩასვენებულ ორ-ორ ადამიანის ჩონჩხს შეიცავდა; ამათგან მხოლოდ სამარხი № 12 ჩვეულებრივი ზომისა იყო, სამარხი № 7 კი თავისი ფართობით 2×1,4 მ აღწევდა, ხოლო სამარხი №№ 14 და 49 მეორე მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით გადაკეთებული ჩანს, იგი შემდგომ წაგრძელებულია (მათი ფართობი 2,1×0,7 მ უდრის).

10 სამარხში ბავშვები იყო დაკრძალული. ყველა სამარხი, გარდა ერთისა, რომელშიც ორი ბავშვი ერთადაა დასაფლავებული (სამარხი № 17) ზემოსწეხულ სამარხებთან შედარებით ბევრად ნაკლები სიღიღისაა. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ პატარები არიან დაკრძალული. არამედ ზოგჯერ დაკრძალვის წესის თავისებურებებითაც.



სურ. 9.

ბავშვის დასაკრძალავად იგებოდა ჩვეულებრივი ადნაგობის, პატარა ქვა-სამარხი, რომელშიც მიცვალებული გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში უნდა დაესაფლავებიათ (სამარხი №№ 42, 10, 15, 21, 22, 23, 35). მხოლოდ სამ შემთხვევაში (სამარხი № 2, 11 და 29) აღმოჩნდა თითქმის კვადრატული ფორმის სამარხი, მათგან ორ სამარხში (№ 2, 11) მცირეწლოვანი ბავშვის თავის ქალები იღო. სამარხ № 11-ში აღმოჩნდა თიხის ქურქელიც. აქაც დაკრძალვის ისეთივე წესია შესრულებული, როგორც ეს დადგენილია № 8 სამარხში, სადაც ჩვეულებრივი სიღიღის ქვის სამარხი თიხის ქურქელთან ერთად ზრდადასრულებულ ადამიანის თავის ქალას შეიცავდა და მასში ჩონჩხის სხვა არც ერთი ძვალი არ ყოფილა აღმოჩენილი.

ამირანის გორის ტერიტორიაზე გათხრილ სამარხთა ორევე ჯგუფი ძირითადად მიიწევა ერთგვარი დაკრძალვის წესით ხასიათდება. სამარხები მიცვალებუ-

ლისათვის ჩატანებულ ნივთთა შემადგენლობით და საყოთრივ აღნაგობით მსგავსი არიან. ამავე დროს, გვხვდება ბავშვების პატარა სამარხები, სადაც უფრო მრავალფეროვანი დაკრძალვის წესის დადგენა ხერხდება.

ამირანის გორის სამაროვანს ახასიათებს დაკრძალვის წესის გარკვეული კანონზომიერება, რომელიც ძირითადად შემდეგში გამოიხატება:

ყველა ქვის სამარხი თავისი გრძივი ღერძით ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენაა ორიენტირებული.

თითქმის ყველა მიცვალებულს თავი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ აქვს მიმართული. გამოჩაყლის მხოლოდ ორი სამარხი (№ 12 და № 49) წარმოადგენს. ამ სამარხებში ორ-ორი მიცვალებულია დასაფლავებული. პირველად ჩასვენებულია მარჯვენა გვერდზე მდებარე და თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ დამხობილი მიცვალებულები, ხოლო შემდეგ კი იმავე გვერდზე, ოღონდ უკვე თავით საწინააღმდეგო მხარეს მიმართული მიცვალებულები.

მიცვალებული უმეტესად — 11 სამარხში (№№ 7, 24, 34, 45, 47, 20, 28, 1, 13, 50) მარცხენა გვერდზე ასვენია და მხოლოდ 5 სამარხში მარჯვენა გვერდზე (სამარხი №№ 9, 27, 25, 3 და 35).

მიცვალებულთა პოზა სამარხში ყოველთვის ერთნაირია: მათი კიდურები თავისუფლად მოხრილია. ხელები ან პირისახესთანაა მიტანილი ან მოქცეულია მუხლებს შორის (ტაბ. VII₃). ზოგ შემთხვევაში მიცვალებულს თავქვეშ სიპირიყის ქვა, ან ფილაქვა ან კიდევ ცხოველის გულმკერდის ნაწილი (სამარხი №№ 9, 7, 13, 46 და 16) აქვს აპოლებული (ტაბ. VI₁, VII₁).

მიცვალებულისათვის შეწირული ცხოველის, განსაკუთრებით კი ხარის თავფეხის ჩატანება როგორც ჩანს, ყოველთვის არ ხდება და ასეთი რიტუალი მხოლოდ გამოჩაყლის შემთხვევებში ზოგიერთი მამაკაცის დაკრძალვის დროს სრულდებოდა (სამარხი №№ 24, 34, 45, 12 და 14). ამათგან კი საგანგებოდ აღსანიშნავია სამარხი № 24, რომელშიც ერთ მამაკაცთან ოთხი ხარის ძვლები იღო (ტაბ. VII₃).

სამარხში, ჩვეულებრივ ერთი თიხის ჭურჭელია ჩატანებული. მეტწილად ჭურჭელი მიცვალებულის სახის წინ ან თავს უკან დევს. ერთზე მეტი ჭურჭელი აღმოჩენილია მხოლოდ სამ სამარხში (სამარხი №№ 12, 49 და 45): ამათგან ერთ შემთხვევაში ორ მიცვალებულს ორ-ორი ჭურჭელი ჰქონდა ჩატანებული (მაგალითად ტაბ. VII₁), მეორე შემთხვევაში წყვილად დაკრძალულებს — თითო-თითო (სამარხი № 12), ხოლო ერთგან კი მიცვალებულთან ერთად თიხის ორი ჭურჭელი იღო. ამირანის გორის ზოგი სამარხი აქ ფიქსირებული დაკრძალვის წესისაგან განსხვავდება. ისინი თიხის ჭურჭლის გარდა შეიცავენ იარაღს (სპილენძის სატყვრის პირებს სურ. 14_{2a}, 31) და ვერცხლის, სპილენძის, ტყვიის, მინისებური პასტის, თეთრი პასტის, აქატის მძივ-სამკაულებს (სურ. 11₄, 14_{2a}, 30).

ამ სამაროვანზე წარმოდგენილი დაკრძალვის წესების მოკლე მიმოხილვას იმით დაეასრულებთ, რომ აქვე დაურთავთ ამირანის გორის მკვიდრთა სქესობრივ-ასაკობრივ მონაცემებს, რის დადგენა ზოგიერთ სამარხში შედარებით კარგად დატული კრანოლოგიური მასალის შესწავლით (ცხრილი 1) ხერხდება.

ც ხ რ ი ლ ი 1

ამირანის გორის მკვიდრთა სქესობრივ-ასაკობრივი განსაზღვრა

№№	უბანი	სამარხის ტიპი	სამარხის №№	მიცვალებულის სქესი		წლოვნება			მიცვალებულის მღებარეობა სამარხში		
				მამაკაცი	ღედაკაცი	20 წლამდე	45 წლამდე	40 წლის ზევით	მარცხენა გვერდზე	მარჯვენა გვერდზე	ბურჯზე
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	II	I	16	♀	♀	—	—	+	♀	♀	♀
2	"	"	16	♀	♀	—	—	+	♀	♀	♀
3	"	II	12	+	—	—	—	—	+	+	—
4	"	"	24	+	—	—	+	—	+	+	—
5	"	"	27	+	—	+	—	—	+	+	—
6	"	"	20	+	—	—	+	—	+	+	—
7	"	"	28	♀	♀	—	—	+	+	—	—
8	"	"	25	—	+	—	—	—	+	+	—
9	III	III	32/4	+	—	—	+	+	+	+	—
10	III	III	19/1	+	—	—	+	—	+	—	—
11	"	"	19/1	+	—	—	—	+	♀	♀	♀
12	"	"	19/1	+	—	—	+	—	♀	♀	♀
13	"	"	19/1	—	+	—	+	—	♀	♀	♀
14	"	"	19/1	—	—	—	+	—	♀	♀	♀
15	"	"	19/1	♀	♀	—	+	—	♀	♀	♀
16	"	"	19/1	♀	♀	—	+	—	♀	♀	♀

როგორც მოტანილი მონაცემები გვიდასტურებენ, მეორე უბნის სამაროვანზე ქალის დაკრძალვა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია დადგენილი: (სამარხი № 25); აქ 20 წელს გადაცილებული ქალი დასაფლავებულია მარჯვენა გვერდზე და მას სამარხში მხოლოდ თიხის კურკელი აქვს ჩატანებული. დანარჩენ 4 შემთხვევაში (სამარხი №№ 12, 24, 27 და 20) დასაფლავებულია მამაკაცი, სამი მათგანი დასაფლავებული იყო მარცხენა გვერდზე, ერთი კი მარჯვენა გვერდზე სხვანაირად (სამარხი № 27).

იმა სამარხებში, რომლებშიც განსაზღვრულია მიცვალებულთა სქესი, ნივთთა ჩატანების წესში ზოგიერთი თავისებურება აღინიშნება. ასეთი სამარხი

ორი არის აღმოჩენილი. ერთ მათგანში (სამარხი № 27) დასაფლავებული იყო 20 წლამდე ასაკის მამაკაცი, რომელია კისრის არეში დიდი რაოდენობის აქატის მიწები აღმოჩნდა (სურ. 11); რაც ჩვეულებრივად, ქალის სამკაულს წარმოადგენს. ასევე უჩვეულოდ გამოიყუჩება № 24 სამარხიც. დაახლოებით 40 წლის მამაკაცს საბრძოლო იარაღის — სატევრისპირი და თიხის კურკლის გარდა ჩატანებული ჰქონდა ძვლის კვირისტავიც. მამაკაცის სამარხებში ქალის სამკაულის და კვირისტავის აღმოჩენა. საფიქრებელია, რაღაც რიტუალთან იყო დაკავშირებული.


II. გვიანდელი სამარხები

მესამე უბანზე მხოლოდ 92 კვ. მეტრია გათხრილი. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მძიმართული ფართო თხრილი ქრის მეტად დაქანებულ ფერდობს, რომელიც სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე ქვის ნაგებობის ნაშთებსა და სამარხებს შეიცავს (სურ. 12). სულ აღმოჩენილია 5 ორმოსამარხი. მიუხედავად იმისა, რომ სამარხები სხვადასხვა ღონეზე მდებარეობენ, ისინი თავისი აღნაგობით ერთგვაროვანი არიან: გრუნტში ამოჭრილია უმეტეს შემთხვევაში თითქმის კვადრატული ფორმის ორმო, რომლის კედლები და მიცვალებულის ზემოთ დარჩენილი სიმაღლე შეესებულება რიყის ქვებით. სამარხის თავზე დაყრილი ქვები მთლიანად ჩაქცეულია ორმოში. ორმოს ფართობი საშუალოდ 100×1 მ $30/1$, $21/2$, $32/3$ და $33/4$ ერთ ჭგუფშია წარმოდგენილი, მათგან სამხრეთით № 19/1 სამარხი მდებარეობს. იგი იმავე ტიპს ეკუთვნის.

მესამე უბნის ორი სამარხი კოლექტიურია (სამარხი № 19/1 და 31/2); დანარჩენ სამარხებში ცუდად დაცული ძვლების მიხედვით ჩანს, რომ იქ თითო-თითო მიცვალებული უნდა ყოფილიყო დაკრძალული.

ორ სამარხში (№ 19/1 და 32/4) აღმოჩნდა ერთი ტიპის კურკელი (სურ. 17); 32/4 სამარხი ქვის ნაგებობის თავზეა მოქცეული (სურ. 12).

№ 19/1 სამარხში, რომლის სიმაღლეა 65—75 სმ ერთდროულად შვიდი მიცვალებულია დაკრძალული. ამათგან გარკვეულია ხუთი მიცვალებულის სქესი — სამი მამაკაცი და ორი ქალი (ცხრილი). აღნიშნულ სამარხში თიხის ოთხი კურკელი და სწილენძის ერთი პატარა ხვია აღმოჩნდა (სურ. 17). დანარჩენ სამარხებში ცუდად დაცული ჩონჩხის ძვლები იყო. ერთ შემთხვევაში (სამარხი № 30/2) ზურგზე დასვენებული მიცვალებულის ნეშტი იდო. ეს სამარხები უჩინვენტარო აღმოჩნდა.



სურ. 10.

მ. მთის მწვერვალზე გათხრილი კომპლექსი

ამირანის გორის თხემის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მკვეთრად გამოიყოფა ერთი. შემადლება, რომლის ფართობი 70 კვ. მეტრამდე აღწევს (ტაბ. 13, IX).

ამ შემადღების მწვერვალზე და მის ჩრდილოეთ ფერდობზე გამოვლინდა რამდენიმე პატარა შენობის ნაშთი, რომელთაგან მხოლოდ სამია (ნაგებობა XV, XVI და XVII) საბოლოოდ გათხრილი (ტაბ. IX₁).

როგორც ჩანს, ამ ნაგებობათა მთის მწვერვალზე აგებას განსაკუთრებული, საგანგებო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ დასახლების ზემოთ, მთაზე ნაგებობის აშენებისათვის კლდის მასივის ჩამოსწორება იყო საჭირო, რის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი ქვის ნაგებობის ტერასულად გამართვა.

ერთი ასეთი ნაგებობა, რომელიც კლდის მასივზე იყო ნაგები. ექსპედიციამ 1959 წელს მიაკვლია (ნაგებობა XV); მისგან გადარჩენილი აღმოჩნდა მხოლოდ ერთი — სამხრეთის ქვის კედლის წყობისა და ნახანძრევი თიხატყეპნილი იატაკის ფრაგმენტი. იატაკზე აღმოჩნდა თიხის დიდი უყურო დერაგი, რომლის ყელს ქვემოთ გამოყვანილია ტეხილი ღარების ერთიანი კომპოზიციისა და ურთიერთგადაკვეთი ხაზებით გამოსახული კუთხეებზეერთებული ორ-ორი სამკუთხედი (სურ. 7₇).

მეორე ნაგებობის ნაშთი უფრო უკეთაა დაცული. აქ შემორჩენილია ორი კედელი, რომელთა მიხედვით შესაძლოა დაეუშვათ, რომ ოთხკუთხოვანი ნაგებობის ფართობი 12 კვ. მეტრზე მეტი არ უნდა ყოფილიყო (ნაგებობა XVI, ტაბ. IX₁).

ეს ნაგებობა პირველი უბნის გათხრილი შენობების მსგავსად მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ნაგებობის თიხატყეპნილი იატაკის ცენტრში ერთიმეორეზე ჩადგმულია თიხის ორი ძირვიწრო კერა. ზედა კერის ნაცარში აღმოჩნდა თიხის 11 სმ სიგრძის თავაწეული ძლიერი ცხოველის (ხარი?) ქანდაკება-ზედადგარი (ტაბ. XI₃). იქვე იატაკის ღონეზე აღმოჩნდა თიხის სხვა ნაკეთობათა ფრაგმენტებიც.

XVI ნაგებობის ჩრდილოეთით მდებარეობს XVII ნაგებობა, რომელიც ქვედა, მეორე ტერასას ეკუთვნის.

XVII ნაგებობას შერჩენილი აქვს სამხრეთის კედელი, რომელიც უშუალოდ ებჯინება კლდე (შემორჩენილი კედლის მაქსიმალური სიმაღლეა 0,4 მ). აღნიშნული ნაგებობის საერთო ფართობი მთლიანად გათხრილი არაა; მაგრამ ჩანს, რომ ერთი მეტრის სიგრძეზე გამოვლინებული სამხრეთი კედლის წყობა კიდევ გრძელდება. ასევე ამ ნაგებობასთან დაკავშირებული მეორე, მის ცენტრში მოთავსებული ოთხკუთხოვანი პატარა ნაგებობის (XVII ა) ჩრდილო-აღმოსავლეთით მოქცეული ფართობიც ჭერ კიდევ ხელუხლებელი დარჩა. ამასთანავე, ამ მხოლოდ ნაწილობრივად გათხრილ ძლიერ დანგრეულ ნაგებობის შესახებ გარკვეული სურათის მიღებას ისიც უშლის ხელს, რომ აქ კედლის ქვების ქვედა ღონესთან იატაკის არსებობა ჩვენ ვერ დავადასტურეთ. აღსანიშნავია, რომ

XVII ნაგებობის იატაკის დონეზე მინიატურული, კვადრატული ფორმის ქვის ყუთი და სხვადასხვა ადგილას მდებარე თიხის რამდენიმე ნაქეთობის ფრაგმენტი აღმოჩნდა. საერთო შთაბეჭდილება კი ისეთია, თითქოს, XVII ნაგებობა პირველი უბნის ყველა პატარა სათავსოსაგან განსხვავებულია თავისი დანიშნულებით: იგი უფროდ გამიზნულია ნგრევისაგან დაიცვას მის შიგნით მოთავსებული XVIIa — ნაგებობა (ტაბ. IX₂); ეს ცენტრალური ადგილი ჩვენი ვარაუდით, ოთხივე მხრიდან მეტნაკლები (არა უმეტეს 0,7 — 0,85 მ) სიმაღლის კედლებით შემოზღუდული გადახურული ნაგებობა უნდა ყოფილიყო. რომელსაც 8 კვ. მეტრის ფართობი მაინც ექნებოდა. უკეთ შემორჩენილ სამხრეთის კედელს მთელ სიგრძეზე (3,85 მ.) პარალელურად მიყვება მეორე კედელი, რომელიც შედარებით უფრო დიდი ქვებისგანაა ნაშენი. ნაგებობაში დანარჩენი კედლები, მსგავსად ამ უბნის ყველა ნაგებობებისა, ერთ რიგზე ჩამწკრივებულ ქვებისაგან შედგება. აღსანიშნავია ისიც, რომ XVIIa ნაგებობაში უშუალოდ კედლებზე მდებარე ნაცროვან სქელ ფენაში ცხოველის დამწვარ ძვლებთან ერთად თიხის დამსხვრეული ჭურჭლის მრავალი ნატეხი აღმოჩნდა (ტაბ. IX₂, სურ. 13); აქ ადგილზევე ყურადღებას იპყრობდა ყველაზე მაღლა ერთ ჭგუფად მდებარე თიხის შავზედაპირიანი, უყურო, ძირვიწრო დერგის მრავალი ნატეხი, რომელთაგან რამდენიმე ცალი ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლის გარეთაც აღმოჩნდა. ჭურჭელი (სურ. 13₃₋₄) დიდი ზომისაა (სავარაუდოდ სიმაღლე 0,80 მ.). მას უჩვეულო სიუფეტური კომპოზიციის მქონე რელიეფური ორნამენტი აქვს. ჭურჭლის ცალ მხარეს, ყელსქვემოთ გამოყვანილია ნახევარმთვარისებური ნიშანი წყვილ-წყვილად გამოსახული მეანდრულ-სპირალური სახეებით და მათთან დაკავშირებული ფრინველთა (?) გამოსახულებებით. ამ კომპოზიციის შუა ნაწილს ზემოთ ჭურჭლის ზედაპირზე გამოწვის შემდეგ „უწესრიგოდ“ ამოკაწრულია ხაზების მთელი ბადე (სურ. 13₃).

დანარჩენი ნატეხებისაგან აღდგა თიხის სამი ჭურჭლის ნაწილი, რომელთა შორის მხოლოდ ერთია ზემოაღნიშნული ჭურჭლის მსგავსი (სურ. 13₅); დანარჩენი კი მურა-მოწითალო ფერის მომცრო უყურო ჭურჭელთა ტიპს ეკუთვნის (სურ. 13₁₋₂).

ამ უბანზე აღმოჩენილ დანგრეულ ნაგებობათა დანიშნულების გარკვევა ძნელია. მიუხედავად იმისა, რომ ერთ შემთხვევაში აქაც ნაგებობის ცენტრში საცხოვრებელი სახლისათვის ჩვეული კერები იქნა აღმოჩენილი, ვფიქრობთ. რომ ამ პატარა ნაგებობებს საკულტო-სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა, რადგან ზოგ მათგანში ფრიად თავისებური კომპლექსია წარმოდგენილი: ნაცრის სქელი ფენა, ცხოველთა დამწვარი ძვლები და „სავანგებოდ“ შექმული“ თიხის ზოგიერთი ჭურჭელიც. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ისეთი შთა-

ბეჭდილება იქმნება, რომ აქ მთის მწვერვალზე სამსხვერპლოთა მსგავს ნაგებობებთან უნდა გვექონდეს საქმე.

ამ თავში შეძლებისამებრ მოკლედ აღწერილია სამივე უბნის თიქმის ყველა მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელთა ქრონოლოგიური ურთიერდამოკიდებულების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი აღსანიშნავია, რომ თვით ამირანის გორის დასახლება თავისი ხასიათით ფრიად თავისებურია; იგი სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავს. სხვადასხვა დროში წარმოქმნილი საცხოვრებელი უბნები ერთმანეთისაგან დაცილებულია, რაც ერთიანი სტრატეგრაფიის დადგენას აძნელებს. ამის გამო, ცხადია, ამირანის გორის ნივთიერი კულტურის ძეგლთა შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო აქვე დადგენილ სტრატეგრაფიულ მონაცემებს, არამედ აგრეთვე ამირანის გორის კულტურის შესატყვისი მასალების შემცველ სხვა კარგად სტრატეგრაფიულ ძეგლებსაც.

თ ა ვ ი მ ა თ ხ ა

ამირანის გორის ნივთიერი კულტურის ძირითადი ძეგლების მოკლე მიმოხილვა

1. ლ ი თ ო ნ ი

ამირანის გორაზე ლითონის 23 ნივთი იქნა აღმოჩენილი. ამათგან 19 სპილენძის, 3 ვერცხლისა და 1 ტყვიის ნაკეთობა იყო.

სპილენძის ნივთებია სატევრის პირი -- 3 ცალი (სურ. 11ა, ბ; სურ. 14ა); ნამგალი — 1 ცალი (სურ. 14ვ), „ისრისწვერი“ — 1 ცალი (სურ. 14ჰ), საკინძი — 1 ცალი (სურ. 14ი); სადგისი — 2 ცალი (სურ. 14ი-ა); მახათი-ნემსი — 3 ცალი (სურ. 14ი-ბ); მძივი—2 ცალი (ტაბ. X, Xა), ხვია—6 ცალი (სურ. 14ა-ა). ვერცხლისაგანაა გაკეთებული ორი ყურსაკიდი ხვია და 1 ზამბარისებური ნივთი, ხოლო ტყვიისაგან მრავალხვიანი საკიდი (ტაბ. Xა, ბ). კომპლექსში აღმოჩენილია შემდეგი 13 ნივთი: № 16 ნალისებურ სამარხში მოპოვებულია სპილენძის ორი კასრისებური მძივი და ვერცხლის ხვია (ტაბ. Xა, ბ); № 14 ქვის სამარხში სპილენძის ორი ხვია (ტაბ. Xი, ა), № 7 ქვის სამარხში — სპილენძის სატევრისპირი, ვერცხლის ზამბარა და ტყვიის საკიდი (სურ. 11ბ, ა). სხვა შემთხვევებში სპილენძის ნივთები აღმოჩნდა კერამიკასთან, ქვისა და პასტის მძივებთან ერთად. ესენია ორივე სატევრისპირი (სამარხი № 36 და 24), საკინძი (X XI ნაგებობა), და ორი ხვია (სამარხი № 27 და 19). დანარჩენი მასალა ძირითადად აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ნაგებობებთან ახლოს და ნაგებობებში ჩაკეცილ ქვებს შორის („ისრისწვერი“, სადგისები, მახათი, ხვია და სხვ.) ან კიდევ ნაგებობის ქვეშ (1V ნაგებობის სამხრეთი კედლის ქვეშ მოპოვებულია ვერცხლის საკიდი).

№ 36 ნალისებურ სამარხში აღმოჩენილ პატარა სატევრისპირს (სიგრძე 17,5 სმ) აქვს გრძელი ვიწრო ყუნწი, მომრგვალებული ასიმეტრიულად დაქანებული მხრები და სამკუთხოვანი ფორმის ბრტყელი პირი, რომლის ბოლო წვეტიანია (სურ. 14ა). იგი დამზადებულია სპილენძისაგან, რომელშიც დარიშხანი ერთ პროცენტამდეა. დარიშხანის გარდა ლითონში კვალის სახით წარპოვნილია სილიციუმი, რკინა, ნიკელი, ვერცხლი, ბისმუტი და თუთია¹.

ეს იარაღი ზომით და ტიპობრივი თავისებურებებით ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის უძველეს ძეგლებში აღმოჩენილ სპილენძის სატევრისპირებს ემსგავსება. ასეთი იარაღი აღმოჩენილია ტყეიავის ყორღანში², ქვაცხელას უადრეს სამარხში³, ოზნის სამოსახლოზე და არქეოლოგ ს. ნალიმაშვილის მიერ გათხრილ ურბნისის ხიზანანთ გორაზე. ამათგან თითქოს განსხვავებული, გაზერეტილი ფართოყუნწიანი მოკლე სატევრისპირები (დარიშხანი აქ 1,64 — 2,11% შეადგენს)⁴ მოპოვებულია სტეპანაკერტის ყორღანებში⁵, რომელთა ასაკის დადგენაში ჯერ კიდევ ერთსულოვნობა არ არის. ჩვენს იარაღთან უფრო ახლო თავისი ზომით, აღმოჩენის პირობებითა და ხნოვანობით დოლინსკაიას ერთ-ერთ უძველეს სამარხში აღმოჩენილი მოკლე სატევრისპირი (სიგრძე 11 სმ), რომელიც ლაბორატორიულად შესწავლილი არაა⁷.

ამირანის გორაზე მოპოვებულ პატარა სატევრისპირს ათარილებს გეი-თეფეში აღმოჩენილი სპილენძის ანალოგიური იარაღი და ქვაცხელას სატევრისპირი, რომელთა მიხედვით პატარა სატევრისპირები სხვა ამგვარ იარაღებთან შედარებით უფრო ადრეული ჩანს.

გეი-თეფეს იარაღში დარიშხანი ბუნებრივი მინარევის სახითაა წარმოდგენილი (0,1%)⁸. ტყეიავის ყორღანში მოპოვებული იარაღი დამზადებულია დარიშხანიანი სპილენძისაგან, ხოლო მისი მიკროსტრუქტურა დამახასიათებელია თავისუფალი ქედვით დამუშავებული ლითონისათვის⁹. ამ იარაღის მეტალოგრაფიული მონაცემები დასაშვებად ხდის, რომ ეს არქაული ტიპის სატევრისპირი მართლაც შესაძლოა ცივი ქედვით იყოს მიღებული.

№№ 36 და 16 სამარხები, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავის აღნაგობით მსგავსია. ამის გამო შესაძლებლად მიგვაჩნია აქვე მოვიხსენიოთ ის ნივთები, რომლებიც № 16 სამარხში აღმოჩნდა. ერთი მათგანია ვერცხლის ერთნახევარი ან ხეიანი ხეიანი (ტაბ. Xა).

№ 16 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ნივთის ლაბორატორიული შესწავლიდან ჩანს, რომ იგი მიღებული უნდა იყოს სპილენძიანი ვერცხლიდან, რომლის გამოღობაც აღნიშნულ დროისათვის, როგორც ირკვევა, უკვე სკოლნიათ¹⁰.

ამავე სამარხში მოპოვებული სპილენძის ორი კასრი სებური მძივი, ჩვენი თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს (ტაბ. Xა). ეს ნაკეთობები (ზომა 0,8 და 1, 4 სმ) მოთეთრო ფერისაა და მათ ორივეს საკმაოდ ფართო ძაფგასაყრელი ზერელი აქვთ. ამ მძივებში დარიშხანია 10%, ანთიმონი—0,1% — 0,5%, ტყვიან 0,5% და 0,9%, რკინა კვალის სახით არის, ნიკელი 0,01%, თუთია ცოტა; ოქრო, ფოსფორი, კობალტი და კალა არ აღმოჩენილა.

ეს მძივები უნიკალურია და ამიტომ ტექნოლოგიურად შეუუსწავლელი დარჩა. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ მძივებ-

ში არის 10%-მდე დარიშხანი, რაც გვაგულისხმებინებს დარიშხანიან სპილენძის მადნის გამოდნობას და მიღებული სპილენძისაგან ამ რაგან სპეკულის ჩამოსხმით დამზადებასაც. ეს აზრი ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებულია და ვინც საქართველოში აღმოჩენილ უძველეს ლითონზე მუშაობს, ფიქრობს, რომ დაახლოებით 2—5 პროცენტზე მეტი დარიშხანი თვითნაბად სპილენძში არ უნდა მოიპოვებოდეს¹¹. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვითნაბად სპილენძში სხვა მინარევის რაოდენობაც საერთოდ მცირეა¹², ხოლო ამირანის გორაზე მოპოვებულ თითქმის ყველა ლითონში დიდია არა მარტო დარიშხანის, არამედ სხვა ელემენტების რაოდენობაც. ყოველივე ზემოაღნიშნული თითქოს ადასტურებს იმას, რომ ამ მძივების დაამზადებლად გამოიყენებულია მადნის გამოწურვით მიღებული პროდუქტი, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებაში არსებობს, აგრეთვე, თვითნაბადი სპილენძის ისეთი ფიზიკური ნარევი ე. წ. ვიტნეიტი, რომელიც 11,6% დარიშხანს შეიცავს, თუმცა საქართველოში აღნიშნულ ხანაში მისი გამოყენება ნაკლებად წარმოსადგენია. აქვე უნდა მოვიხსენიოთ აჭარაში (მერსის საბადო) არსებული ენერგეტიკული მადანიც, რომლის ტიპიურ შემადგენლობაშია სპილენძი—28,3%, დარიშხანი 19,1%, ანთიმონი 6,5%, რკინა 5,7%. ამის გარდა კიდევ ანგარიშგასაწევია ის, რომ ართვინის, ქვარცხანას, ძანსულას და სხვ. სპილენძის საბადოებში მეორადი პროდუქტის სახით წარმოდგენილია, აგრეთვე თვითნაბადი სპილენძი¹³. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან მოტანილ თვითნაბადი სპილენძის 8 ნიმუშიდან 6 შემთხვევაში, მათ შორის ართვინის თვითნაბად სპილენძშიც დარიშხანი სულ არ აღმოჩენილა¹⁴.

ამ მძივების ლითონის თავისებურების განხილვასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ სწორედ დარიშხანის დიდმა რაოდენობამ მათ ვერცხლანებური სასიაპოვნო ფერი და ბზინვარებაც მისცა. როგორც ცნობილია, ასეთვე თვისებებით ხასიათდება ადრეული ბრინჯაოს ხანის ზოგიერთი სამკაული¹⁵. ასეთია, მაგალითად, ძალინაში აღმოჩენილი დარიშხანის (11,92%) და ანთიმონის (12,64%) შემცველი სპილენძის საფეთქლის რგოლები, რომლებშიც ანთიმონი წინასწარი განზრახვით არც შეტანილი¹⁶.

დარიშხანიანი სპილენძის ნივთების მეტალოგრაფიულმა შესწავლამ დაადგინა, რომ დარიშხანის შედარებით მაღალი პროცენტულობა ახასიათებს ჩამოსხმით დამზადებულ ნაკეთობებს, რომლებსაც შემდგომი გამოქვედვა აღარ ესაჭიროება, რადგან დარიშხანის რაოდენობის გაზრდა აუმჯობესებს ლითონის ჩამოსხმის თვისებებს, მაგრამ, საგრძნობლად აქვეითებს ჰედვის უნარონობას¹⁷. ამრიგად, ცხადია, რომ კასრისებური ფორმის სპილენძის მძივები, ჩამოსხმით დამზადებული ნივთები ჩანს, ხოლო სპილენძი მიღებული უნდა იყოს ან დარიშხანის შემცველ სპილენძის მადნიდან ან სპილენძისა და დარიშხა-

ნის მდნის ურთიერთთან შერევეთა და მათი ერთიანად გამოდნობის საშუალებით¹⁸.

ამ თვალსაზრისითვე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე №14 სამარხში აღმოჩენილი ორი სხვადასხვა სიღიღის ხეია (ტაბ. X 1, 2).

ეს ნაქეთობანი ტიპობრივად ემსგავსება ვერცხლისა და სპილენძის მრგვალგანეკვეთიან ერთნახევრიან ხეებს, რომლებიც აღმოჩენილია ამირანის გორის ნაახლარის კულტურულ ფენაშიც (სურ. 14²⁹). მათგან განსხვავებულია ბრტყელი წვრილი საკიდები 27 და 19/I სამარხებში აღმოჩენილი ხეები, რომელთა დამზადების ტექნოლოგიაც უთუოდ სხვაგვარი უნდა ყოფილიყო.

ერთნახევრიანი ხეები (დიამეტრი 0,6 და 1 სმ უდრის) დამზადებულია მრგვალი მავთულისაგან (კვეთის დიამეტრი — 0,2 სმ), რომლის დავიწროვებული ბოლოები ერთიმეორეზეა გადასული. დიდი ხეის ლითონში დარიშხანი დაახლოებით 10% შეადგენს, ძალიან ბევრია მასში ანთიმონი, ტყვია არის 0,2%, ბისმუტი — 0,061%, ფოსფორი — 0,1%, ვერცხლი ცოტა, რკინა კვალის სახით, არის კალა; თუთია, ოქრო, ნიკელი და კობალტი არ აღმოჩენილა. მცირე ხეის ლითონში დარიშხანი 4—6%-მდეა, ტყვია—3%, ანთიმონი — 0,2%, რკინა — 0,15%, ბისმუტი — 0,001%, ვერცხლი ცოტაა. კალა, თუთია, ოქრო, ნიკელი, კობალტი და ფოსფორი არ აღმოჩენილა.

ორივე ნივთი თეთრი ბზინვარე ფერისაა და ამით ზემოხსენებულ მძივებს ემსგავსება.

ამ ნივთების თანადროულია და მათ ფორმით ჰგავს ტყვიავის ყორღანში აღმოჩენილი სამკაულები, რომლებიც ლაბორატორიულად შესწავლილია ფ. თავაძის და თ. საყვარელიძის მიერ. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს მრგვალგანეკვეთიანი ნივთები თავისი ფორმით, რაც მთავარია, ქიმიური შემადგენლობით და დამზადების ტექნოლოგიით მკვეთრად გამოირჩევიან მანამდე შესწავლილი „ენეოლითური“ ხანის წვრილი ნივთებისაგან¹⁹. ტყვიავის ერთ ხეაში საკმაო რაოდენობით წარმოდგენილია დარიშხანი, ვერცხლი, ტყვია, ნიკელი და სხვა ელემენტები. მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იგი დამზადებული ჩანს ჯერ ირგვლივი ჰედვით, როგორც ეს საჩხერის ნაქეთობებს ახასიათებს, შემდეგ კი წრიულად მოღუნულია²⁰. ავტორებს ამ ტექნოლოგიური პროცესების სირთულის გამო სწორად მიაჩნიათ ტყვიავის ყორღანების ადრეულ ბრინჯაოს ხანისათვის მიკუთვნება²¹.

მაგრამ, როგორც ახლა ირკვევა, მრგვალგანეკვეთიანი ხეები დამახასიათებელია საკუთრივ „მტკვარარაქისის“ კულტურისათვის ისევე, როგორც საერთოდ მავთულისაგან ნაქეთები სხვა დანიშნულების ლითონის საგნებზე, როგორცაა მაგალითად. მახათი, ნემსი, ორმხრივ ბოლოებდახვეული თავიანი საკინძები, თავხვია საკინძი და სხვ. (სურ. 14⁸, 9, 12, 14, 21).

ამავე ნივთთან რიგს უნდა დაეუმატოთ ამირანის გორაზე XX I ნაგებობაში აღმოჩენილი 20 სმ-ზე მეტა სიგრძის საკინძაოც (სურ. 144). თუ ამ წაკეთობებს მათი დამზადების ტექნოლოგიის თვალსაზრისით განვიხილავთ, ირკვევა, რომ სწორედ ამ დროისათვის დამახასიათებელია ნივთთა დამუშავების ასეთი რთული პროცესი, რომელიც თითქოს მხოლოდ მომდევნო პერიოდის ნივთებზე დამზადებისას არის მოსალოდნელი. იგულისხმება სპილენძის რგველივი ჰედვა, ამის შედეგად მიღებული მავთულის გაწევა-გაგრძელება, სათანადო ნაწლებების გაბრტყელება და საჭირო შემთხვევაში გახვრეტაც²⁷.

ამასთან დაკავშირებით აქვე აღსანიშნავია, რომ არაა გამორჩეული აგრეთვე, საქმე გვქონდეს ჩამოსხმით მიღებულ ისეთ ლითონთან, რომელიც ცხელი ჰედვისათვისაა გამოსადეგი. ამ მხრივ ნიშანდობლივია გეი-თეფეს Ka პერიოდის ერთ-ერთი მოგვიანო რგოლი-ხვია, რომლის ლითონის მიკროსტრუქტურა მივვითითებს, რომ იქაც დარიშხანიანი სპილენძისაგან ჩამოსხმით მიღებულ ლითონი სწორედ ცხელ მდგომარეობაშია გამოქედილი²⁸.

ამირანის გორაზე თანმხლები მასალების გარეშე აღმოჩენილი სპილენძის დანარჩენი წვრილი ნივთები ტექნოლოგიური კვლევის თვალსაზრისით თითქოს ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან მათი ფორმა და დამზადების ტექნოლოგია არსებითად მინც ლითონის წარმოების უფრო ადრეული ეტაპისათვისაა დამახასიათებელი. მხედველობაში გვაქვს ამირანის გორაზე აღმოჩენილი სპილენძის ორი ოთხწახნაგოვანი სადგისი (სურ. 141-2) და ერთი „ისრი სპირი“ (სურ. 143).

ეს ნივთები, როგორც ცნობილია, იმეორებენ წინა პერიოდებში შემუშავებულ ფორმებს, რომლებიც ლითონში ნივთებს ცივად გამოქედვის ხანაშივე გადმოვიდა²⁵, მაგრამ, ჩვენის აზრით, საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ნივთებში დარიშხანი თითქოს „სტანდარტული“ რაოდენობითაა წარმოდგენილი. საქმე ისაა, რომ 10 ნიმუშიდან — საგვარჯილეს, ოზნის, ტყვიავის და ამირანის გორის ოთხკუთხოვანი ჰედვით დამზადებულ სადგისებიდან აღებული ლითონი მხოლოდ 0,46%—1,5% დარიშხანს შეიცავს²⁹. სპილენძში დარიშხანის ამ რაოდენობით არსებობას სპეციალისტების ერთი ნაწილი იმით ხსნის, რომ ეს ნივთები თვითნაბად სპილენძიდან არის დამზადებული²⁷.

ცხადია, რომ მტკიცე საფუძველი არა გვაქვს, რათა აქ რაიმე განსხვავებული მოსაზრება გამოვთქვათ, მაგრამ უთუოდ საგულისხმოა, რომ დარიშხანის ასეთი სიმცირე დადასტურებულია ცივი ჰედვით დამზადებულ ნივთებში. თუ დარიშხანის რაოდენობის ზრდა ამცირებს მის ჰედვის უნარიანობას, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იმ ლითონიდან, რომელშიც დარიშხანი 4—5%-ზე დაბალია, მადნის გამოღობისას დარიშხანი უფრო მეტი რაოდენობით უნდა აორთქლებულიყო. ამის შედეგად შედარებით უფრო „სუფთა“ სპილენძიც მიიღებოდა.

როგორც ცნობილია, სპილენძი, რომელშიც 4%—5% უჯიდურეს შემთხვევაში 7%-მდე დარიშხანი არის, საბოლოოდ მაინც არ კარგავს კედლის უნარიანობას. საფიქრებელია, ამ დროის სპილენძი, რომელიც აღნიშნულ ოდენობაზე მეტ დარიშხანსა და სხვა მინარევებს (ტყვია, ანთიმონი) შეიცავს, ძირითადად ჩამოსასხმელ ნივთებისათვისაა გამიზნული. ი. სელემზანოვის აზრით, ამიერკავკასიაში აღმოჩენილი უძველესი სპილენძის ნივთები, რომლებშიც დარიშხანის პროცენტულობა ამ საზღვრებს სცილდება, ხელოვნურ შენადნობს წარმოადგენს²⁸.

ამირანის გორაზე № 7 ქვასამარხში აღმოჩნდა: დიდი ზომის სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული ნივთები. ტყვიის მრავალსენიანი საკიდი (ტაბ. Xc), ვერცხლის წვრილი ზამბარისებური ხვია და სპილენძის დიდი სატევრისპირი (სურ. 117).

მასიური სამხვიანნი საკიდი დამზადებულია ტყვიის ოთწახნაგოვან მავთულისაგან (სურ. 14a, ტაბ. Xc). იგი ცუდადაა დაცული. მისი ხუთი ნატეხი გაშლილ მდგომარეობაში დაახლოებით 12 სმ სიგრძისაა, საკიდის სისქე საშუალოდ 0,3—0,4 მმ უდრის.

აღნიშნული ნივთის, ისევე როგორც მასთან ერთად აღმოჩენილი ვერცხლის ზამბარისებური ხვიის ლითონი, ამირანის გორის დანარჩენი ვერცხლის ნივთებისაგან განსხვავებით, სრულიად არ შეიცავენ სპილენძს და სხვა ელემენტებს. გამოხაკლის ამ მხრივ შეადგენს ოქრო, რომელიც ორთავე ლითონში არის. ტყვიის ნივთში ვერცხლი ცოტაა, ხოლო ვერცხლის ხვიაში 0,065% ტყვია არის. ამრიგად, ეს ნივთები თითქმის სუფთა ლითონიდან არიან დამზადებული.


ტყვია ერთი ის უძველესი ლითონია, რომელიც მდნიდან უნდა ყოფილიყო მიღებული²⁹. მისი მდნიდან აღდგენა ხერხდება 327°-ზე, რისთვისაც კერაში დანთებული ცეცბლიც კი კმარა³⁰. ტყვიის ამავე მდნიში არსებული ვერცხლისაგან გამოყოფა ჩვეულებრივ კუბელაციის წესითაა შესაძლებელი, რაც გ. ჩაილდის აზრით, უნდა სცოდნოდათ წინარე ისტორიულ მესოპოტამიაში მცხოვრებ მეტალურგებს³¹.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩანს, რომ რადგან № 7 სამარხში აღმოჩენილ ტყვიისა და ვერცხლის ნაკეთობებში ერთში ვერცხლის მინარევია წარმოდგენილი, მეორეში კი ტყვია, ხოლო ორივეში ტყვია-ვერცხლის მადნებისათვის ჩვეული ოქრო, ამიტომ დასაშვებია ვარაუდი, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ტყვია-ვერცხლის მდნიდან მიღებული ლითონები გვაქვს³². ა. ლუკასი საქართველოში ტყვიის შემცველი ვერცხლის მადნების ფართო გამოყენებას შესაძლოდ მიიჩნევს³³.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნახჭევანის ქიულ-თეფეს მეორე ფენის 11 მეტრის სიღრმეზე ო. აბიბულაევმა³⁴

აღმოჩინა ტყევის დიდი ნივთი, რომელიც ლახტისებური მოკვანილობისაა და რაღაც დანიშნულების ნივთის ნაწილი უნდა იყოს. ამრიგად, ცხადია, რომ იმ დროს უკვე იცოდნენ სხვადასხვა მადნის გამოღობით ლითონის მიღება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მეტალურგიის საწყისების არსებობას აღებულ ხანაში.

სპილენძის დიდი ზომის სამი ნივთიდან, რომელიც ამირანის გორაზე აღმოჩნდა, ორი სატევრისპირია (სურ. 11) და ერთი ნამგალი (სურ. 14). საყურადღებოა, რომ სამივე იარაღის პირის გაყოლებაზე ლითონი ძალზე შეთხელებულია, რაც თითქოს ამ ნივთების ჭედვით დამუშავებაზე მიგვიითთებს.



სურ. 11

ორივე სატევრისპირი ერთი ტიპისაა. აქვს მაღალი ვიწრო ყუნწი. ფართო არასიმეტრიულად დაქანებული მხრები და შედარებით ვიწრო, სამკუთხოვნად შევიწროებული პირი. ბოლო ოდნავ წაწვეტებულია. № 7 ჭეის სამარხში აღმოჩენილი სატევრისპირის სიგრძე 26,5 სმ უდრის, № 24 ჭეის სამარხში მოპოვებული იარაღისა კი — 20,5 სმ. დიდი სატევრისპირის ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი, ისევე როგორც საჩხერული სატევრები, დარიშხანიანი სპილენძისაგანაა დამზადებული. მასში სპილენძი არის 96,12%, რკინა — 0,16%, და დარიშხანი — 1,64%. სპექტრულ-რაოდენობრივი ანალიზით

ამ ლითონში არის ბისმუტი 0,1%, ნიკელი 0,7%, ალუმინი, რკინა, მაგნიუმი, ოქრო — პროცენტის მებადვი და ვერცხლი კვალის სახით³⁵, დამატებითი ანალიზით გამოვლინდა 1 პროცენტამდე თუთია და 0,01% ტყვია.

მეორე მომცრო სატევრისპირის სპექტრული ანალიზის მიხედვით ლითონის შემადგენლობაში ჩანს ერთ პროცენტამდე დარიშხანი, მეთადებში — თუთია და რკინა, მებადებში — ვერცხლი, ნიკელი, მანგანუმი, კარბონატი და სილიციუმი.

აღნიშნული იარაღი თავისი ტიპობრივი თავისებურებებით ყველაზე ახლოს დგას საჩხერის სატევრისპირებთან და პირველ რიგში, პროფ. ბ. კუფტინის მიერ აღმოჩენილ სატევრისპირთან, რომელთანაც ერთად მოპოვებული იყო ოქროს სამკაული და ყუადაქანებული ცული³⁶. როგორც ცნობილია, იარაღის ეს ტიპი ყველაზე უფრო უკეთ წარმოდგენილია საჩხერეში, სადაც ასეთი სატევრისპირების უმეტესობა, სამწუხაროდ, კომპლექსების გარეშეა გამოვლენილი³⁷. მათი ლაბორატორიული შესწავლით დადგინდა, რომ ეს იარაღი დამზადებულია მადნიდან, რომელშიც სპილენძთან ერთად დარიშხანიც უნდა ყოფილიყო³⁸. ამ სატევრისპირების მეტალოგრაფიული შესწავლის შემდეგ გაიკვია, რომ იგი გაკეთებულია ცხელი გამოქვდვით³⁹. ლითონში კი დარიშხანი მცირე რაოდენობით (1,84% — 3,1%) არის⁴⁰.

რამდენადაც ეს საჩხერის მასალების მიხედვით ირკვევა, ამ ტიპის სატევრისპირებს იშვიათად, მაგრამ მაინც უკეთებოდა ცვილის მოდელის საშუალებით ჩამოსხმული სპილენძის ტარი⁴¹, რომელზედაც რელიეფური ორნამენტი გამოყვანილი (ცარცის გორა, ქორეთი)⁴².

ამ უკანასკნელთა ქრონოლოგიურ განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ლითონის წარმოების ადრეული საფეხურის დადგენისათვის. როგორც ცნობილია, ქვაცხელას ნასახლარზე (C1 ფენაში) აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხი, რომელზედაც დაძერწილია სატევრის გამოსახულება⁴³ (სურ. 142a) ლ. ლონტისა და ალ. ჭავახიშვილის აზრით, ამ სატევრის ფორმა ისეთივეა, როგორიც ცარცის გორაზე მოპოვებული ლითონისტარიანი ეგზემპლარისა⁴⁴.

ეს მსგავსება საჩხერის ლითონისტარიან სატევრებთან იმიტომაცა საყურადღებო, რომ აღებულ ხანაში თიხის ჭურჭელზე ლითონისტარიანი იარაღი: გამოსახვას არა მარტო სამკაულის, არამედ სიმბოლურ-მაგიური მნიშვნელობაც ექნებოდა. ჩვენი აზრით, ასეთი შინაარსის მატარებელი საუკეთესო იარაღი არა ხის ან ძვლის, არამედ ლითონის ტარის მქონე სპილენძის სატევრისპირი უნდა ყოფილიყო⁴⁵.

მეორე მხრივ, ქვაცხელას სტრატეფიციკრებულ ფენაში ამ ტარიანი სატევ-

რისპირის აღმოჩენა ადასტურებს, რომ ასეთი იარაღი „მტკვარ-აქისი“ კულტურის ადრეულ ხანაშივე ყოფილა გავრცელებული⁴⁹. ხოლო მათი ფართოდ გამოყენება ლითონის წარმოების შემდგომ ეტაპს (ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს) ემთხვევა⁵⁰.

ამირანის გორის ზედაპირზე ნაპოვნი ნამგალი (სურ. 14_ვ). იგი ადრევე წარმოებული მიწის სამუშაოების დროს კულტურული ფენიდან იყო ამოგდებული. ეს ნამგალი ფორმით წააგავს რკალურად მოხრილ დანას, აქვს გრძელი და ფართო სატარე ნაწილი (საერთო სიგრძე 12 სმ უდრის, უდიდესი სიგანე 2,3 სმ; სატარე ნაწილის სიგრძე — 4 სმ), ყუასთან გაკეთებულია ოთხკუთხოვანი ნახვრეტი. ნამგლის წვერი შესამჩნევად გამოიყოფა — იგი მალაა აწეული. მისი სამუშაო პირი ცალი მხრიდან შეთხლებულია, ამიტომ საკმაოდ მკრელია. ამ იარაღის ლითონის შედგენილობაში 98,2% სპილენძია და 1,3% დარიშხანი; კალა, ანთიმონი და ტყვია არ აღმოჩენილა. განუსაზღვრელია თუთია და რკინა.

აღნიშნული ნამგალი ტიპობრივად სავსებით ჩამოყალიბებულ იარაღს წარმოადგენს. იგი ეკუთვნის წინააზიურ ტარიან ნამგლებს, რომელთაგან ყველაზე უფრო განვითარებული სახისაა ანატოლიაში, ანკარის მახლობლად ყარაოღლანის ბორცვზე აღმოჩენილი ნამგლები⁴⁹. ამათგან ამირანის გორის ნამგალთან განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს ერთი იარაღი, რომლის სიგრძე 16 სმ აღემატება. მისი წვერი უფრო მკვეთრად გამოყოფილია და წაგრძელებულია. ეს იარაღი ხეთური კულტურის უძველეს ფენას უნდა ეკუთვნოდეს⁵⁰. ამავე ტიპისაა იორგენ-თეფეზე კერკუის მახლობლად განძის სახით აღმოჩენილი სპილენძის 9 ნამგალი⁵⁰. მათ თავისებურებას წარმოადგენს გაგრძელებული სატარე ნაწილი, წაწვრილებული და მალაა აწეული ცხვირი და ძლიერ გაფართოებული პირი, რომელიც თითქმის არაა მორკალური. აღნიშნული ნამგლები, რომლებიც შესამჩნევად განვითარებულია ამირანის გორის იარაღთან შედარებით, მიეკუთვნებიან E ტაძარს, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით თარიღდება⁵¹.

„მტკვარ-არაქისი“ კულტურის წრეში ჭერჭერობით ცნობილია მხოლოდ ორი ნამგალი, ერთი მათგანი, რომელიც უფრო არქაულია, აღმოჩნდა ქიულთეფეს მეორე ფენის 10,75 მ. სიღრმეზე⁵² (სურ. 14₁₁) და თავისი ფორმით და სიდიდით (სიგრძე — 8,6 სმ) საკმაოდ განსხვავებულია. ამ იარაღის ლითონში დარიშხანი 4,6% შეადგენს, ტყვია 0,01%, ვერცხლი — 0,017%, ოქრო კი — 0,004%⁵³.

მეორე ნამგლის მხოლოდ ერთი ნაწილი მოპოვებულ იქნა გარნისის „ენეოლითური“ ფენის გათხრისას (სურ. 14₂₂)⁵⁴; მისი შემორჩენილი სატარე ნაწილისა და პირის მოხრილობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი

ტიპობრივად ახალციხის იარაღს უფრო ჰგავს, ვიდრე ქიულ-თეფეს ანალოგიურ იარაღს.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ამ ორი ნამგლის აღმოჩენა თითქოს იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ამ ხანიდან „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში სპილენძისაგან დამზადებული სამიწათმოქმედო იარაღიც გამოიყენებოდა. თუ ქიულ-თეფესა და გარნისის ნამგლებს გვერდით მივუყენებთ ამირანის გორის იარაღს, მაშინ უფრო გარკვევით წარმოგვიდგება ამ ნამგლების ფორმის თანდათანობითი განვითარება, რის შედეგადაც, ჩვენი აზრით, შეიძლებოდა მიღებულყო ანატოლიაში აღმოჩენილი ჩამოყალიბებული ტიპის გვიანდელი დროის ნამგლებიც.

ამრიგად, ამირანის გორის კომპლექსებში მოპოვებული სპილენძის ნივთთა უმეტესობა ტიპობრივად უკავშირდება, როგორც წინა აზიაში გავრცელებულ ნაკეთობებს, ისე „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელ სპილენძის ნივთებს, რომელთა რიცხობრივი ზრდა ამიერკავკასიაში მომდევნო ხანაში შეიმჩნევა. იგივე შეიძლება ითქვას სპილენძის ერთნახევრიანი ზეიბისა და საჩხერული ტიპის სატევრისპირების შესახებ. დანარჩენ ნაკეთობათა შორის გამოირჩევა პატარა სატევრისპირი და სადგისები; მათი ფორმა, დამზადების ტექნოლოგია, და, რაც მთავარია, ლითონში დარიშხანის მცირე რაოდენობაც, თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ ამიერკავკასიაში ამგვარი ნივთები ცივად გამოქედვის წესით მზადდებოდა. მხოლოდ ამის მიხედვით ლითონის წარმოების განვითარების შესახებ გარკვეული სურათის მიღება ვერ ხერხდება. როგორც ეს განხილული მასალებიდან ჩანს, ამ დროს ლითონის წარმოება დამყარებულია დარიშხანიანი სპილენძის მადნიდან მიღებულ ლითონზე, რომლის დამუშავება ძირითადად ცხელი გამოქედვის წესით ხდებოდა. მადნიდან სპილენძის გამოწურვასა და მისგან მრავალგვარი ნივთების დამზადების შესაძლებლობას ვვარაუდობთ ამირანის გორის ნივთებში ლითონის თავისებური შედგენილობის საფუძველზე, სადაც დარიშხანის დიდ პროცენტულ ობიექტად ერთად (10%) ხშირია სხვა მინარევების რიცხობრივი ზრდაც.

ეს გარემოება გამორიცხავს იმას, რომ აღნიშნული ნივთები თითქოს თვითნაბადი სპილენძიდან უნდა ყოფილიყო დამზადებული. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საბრძოლო, სამიწათმოქმედო იარაღისა და ზოგიერთი საკინძის სიდიდე, რაც ადასტურებს ამ დროისათვის მათი დასამზადებელი მასალის სიუხვეს, რის შესაძლებლობაც მხოლოდ თვითნაბადი სპილენძის მქონე მწარმოებელს არ ექნებოდა; მელითონეთა დიდ გამოცილებებაზე დარიშხანიანი სპილენძის დამუშავებაში და გარკვეული თვისებების მქონე ლითონის მიღების ჩვევებზე მიგვიითებს სხვა საყურადღებო ფაქტებიც. ასეთია ცხელი გამოქედვის წესით დამზადებული მრგვალგანივკვეთიანი ნივთები (საკინძი, ნემსები)

და იარაღი (მაგ. სატყვერისპირი და ნამგალი), რომელთაგან ზოგის გახვრეტა ცხელი დამუშავების პროცესში უნდა მომხდარიყო; ამგვარად დამუშავებულ ნივთთა ლითონის შემადგენლობაში დარიშხანი შედარებით მცირე რაოდენობითაა, განსაკუთრებით იმ ნივთებთან შედარებით (ერთნახევრიანი ხეიბი და მძივები), რომელთა დამზადება უმეტეს შემთხვევაში უკვე ძირითადად ჩამოსხმის საშუალებით ხდებოდა. ამ მხრივ აგრეთვე საყურადღებოა, რომ მათი მოთეთრო ბზინვარე ფერიც უთუოდ დარიშხანისა და სხვა მინარევების (ტყვია, ანთიმონი) მეტი რაოდენობის შემცველი ლითონის შერჩევის შედეგად მიიღებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო სავარაუდოა, რომ ახალციხის ამირანის გორის მკვიდრი უკვე ნაშდვილ მელითონეობას მისდევდნენ და ნამდვილი მეტალურგები იყვნენ.

მართალია, ჩერჯერობით არ არის აღმოჩენილი ამ დროის სამთამადნო წარმოების ნაშთები, მაგრამ, ჩვენი დებულების დასამტკიცებლად ისიც საყურადღებოა, რომ სამხრეთი ამიერკავკასიისა და განსაკუთრებით კი ისტორიული საქართველოს თითქმის ყველა რაიონი განსაკუთრებით მდიდარია სპილენძის მადნებით⁵⁵. ამათგან ერთი ჩგუფი დარიშხანის სპილენძის შემცველია⁵⁶. ამ საბადოთა ზედა შრეებში განლაგებული უგოგირდო, კარგად დაეწავული მადნისა და ნახშირის შერჩევითა და მათი 700—800°-ზე გამოწვის შედეგად სპილენძის მიღებას, ჩვენში მიღებული მოსაზრებათა მიხედვით, მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ვარაუდობენ⁵⁷. მაგრამ თუ ერთმანეთს შევუდარებთ აღნიშნული დროისა და „ენეოლითური“ ხანის მსგავს ნივთების (მაგალითად, სატყვერისპირები და სხვ.)⁵⁸ ლითონის შედგენილობას, უმეტეს შემთხვევაში დარიშხანისა და სხვა მინარევების ერთსა და იმავე რაოდენობას მივიღებთ. ამასთანავე, ზოგ შემთხვევაში დარიშხანი მოგვიანო ნივთებში ნაკლები პროცენტითაც კი გვხვდება ხოლმე, მაგალითად, დარიშხანის რაოდენობა დაღესტნის ხეიბის, მძივების და სხვა პატარა ნაკეთობების ლითონში დაკლებულია და მერყეობს 1,42—2,48% შორის, რაც ძირითადად იმ მხარის მადანში დარიშხანის შემცირებული რაოდენობის არსებობით შეიძლება აიხსნას⁵⁹.

ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამირანის გორის ზემოთ განხილული ნივთები მადნიდან გამოწურული სპილენძისგანაა დამზადებული.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის სხვა მნიშვნელოვანი ძეგლების მიხედვით კარგად დასტურდება ის ფაქტიც, რომ „ენეოლითური“ კულტურის მატარებელი ტომები კარგად იყვნენ დაუფლებულნი ლითონის ჩამოსხმის ტექნიკას. რის შედეგადაც სამეურნეო თუ საბრძოლო დანიშნულების ია-

რადის (ცულეების) დამზადების რაოდენობაც გაზრდილი ჩანს. ამ თვალსაზრისით განაკუთრებით საყურადღებოა პატარა „ნამზად-ზოდების“ აღმოჩენა არაჩატის მახლობლად არსებულ მალაქლიუს „ენეოლითურ“ ნამოსახლარზე. (სურ. 142). პროფ. ბ. კუფტინის აღნიშნული აქვს, რომ ეს ობიექტისთვისანი პატარა ზოდები იქ შემთხვევით ყოფილა მოპოვებული სპილენძის დაზიანებულ ყუადაქანებულ ცულთან ერთად (სურ. 142)⁶⁰. ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ქიულ-თეფეს მეორე ფენის 9,20 მ სიღრმეზე 1956 წელს ნამზადის გადასადნობი თიხის პატარა ტიგულეების აღმოჩენაც (სურ. 142)⁶¹. ამ თიხის ნაკეთობებში ანაფეკი სპილენძის ჟანგის სპექტრალურ-რაოდენობრივმა ანალიზმა გამოავლინა 2,01—11,56% დარიშხანი, 0,035—0,02% ტყვია, 0,04% ანთიმონი, 0,005—0,19% ვერცხლი, 0,002% ნიკელი და 1% რკინა.⁶² ნამზადის ჩამოსასხმელი უფრო მოზრდილი აბაზანისებური თიხის ყალიბი შემთხვევით აღმოჩნდა ეჩმიადინის ერთ-ერთ „ენეოლითურ“ სამოსახლარზე, ნივთი დაცულია ერეენის მუზეუმში (სურ. 143). გამდნარი ლითონის ჩამოსახმავზე მაგვითათებს აგრეთვე ს. ნადიმაშვილის მიერ „ენეოლითურ“ ფენაში ნაპოვნი ცეცხლგამძლე თიხისაგან ნაკეთები სახელურიანი ციცხვი ძირზე შემორჩენილი სპილენძის ჟანგით⁶³.

„მტკვარ-არაქისი“ კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე კარგად სტრატეფიცირებულ ფენებში აღმოჩენილია სამი ყალიბი (სურ. 2915, 22) ქიულ-თეფეს მეორე ფენის ქვედა ჰორიზონტში აღმოჩნდა⁶⁴ „ყუადაქანებული“ ცულის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი. შენგავითის „გვიანი ენეოლითური“ პერიოდის ერთ-ერთ ოთახში იქნა მოპოვებული ქვის ყალიბი (სურ. 142),⁶⁵ რომლითაც ყუადაქანებული ცულების სერიული ჩამოსხმა იყო შესაძლებელი. ბრტყელი ცულის ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი (სურ. 1415) აღმოჩნდა ქვაცხელას C₁ ფენის შენობაში⁶⁶.


სამივე ყალიბი ერთსაგდულიანი ღია ფორმისაა. ყალიბებში ჩამოსხმული იარაღის სამუშაო ნაწილი შემდგომ დამუშავებას მოითხოვდა⁶⁷.

ამ ყალიბებში მიღებული ცულის ტიპი არქაულია. ყველაზე უფრო არქაული არის ქვაცხელას ბრტყელი ცული. ასეთი ცულის ყალიბებში ჩამოსხმა ახლო აღმოსავლეთში ძვ. წ. IV ათასწლეულშიც კი ხდებოდა⁶⁸.

„ყუადაქანებული“ ცული ტიპობრივად უფრო მოგვიანაა, მაგრამ მისი უაღრესი თიხის მოდლებიც ჯემედ-ნასარის დროიდანაა ცნობილი⁶⁹.

ამიერკავკასიაში ამ ტარგასყრელი უძველესი ცულების აღმოჩენა მიგვითითებს, რომ მათი გავრცელება ძირითადად „მტკვარ-არაქისის“ კულტურის ხანის ემთხვევა⁷⁰. ამ ტიპის ცულის ჩამოსასხმელი ყალიბის ქიულ-თეფეს მეორე ფენის ქვედა ჰორიზონტში აღმოჩენაც ადასტურებს, როგორც ამას ქვემოთ და-

ვინახავთ, რომ მესოპოტამიური კულტურის ზოგიერთი წამყვანი ფორმა აზიურ-კავკასიაში ძვ. წ. 2900—2800 წლებში უკვე ფართოდ გავრცელებული ყოფილა¹¹.



სურ. 12

ამ თვალსაზრისით არა ნაკლებ საინტერესოა, აგრეთვე, ქიულ-თეფეს მეორე ფენის 9,35 მეტრის სიღრმეზე 1956 წელს აღმოჩენილი 18 სმ სიგრძის სპილენძის შუბისმაგვარი ოთხწახნაგოვანი იარაღიც, რომელიც

მელსაც ხის ტარის დასაგები დაწვრილებული ღეროც აქვს (სურ. 1419)⁷². ეს იარაღი, როგორც ამას ქვაცხელას სამაროვანის ერთ-ერთ სამარხში მსგავსი შუბისპირის აღმოჩენაც ადასტურებს⁷³, ჩვენში „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელ ფორმად გვევლინება⁷⁴. სავარაუდებელია, რომ აღნიშნულ ხანებში გავრცელებული იარაღის ეს ტიპი ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანების შემდეგ უფრო განვითარდა და უკვე ისეთ ჩამოყალიბებულ სახედ იქცა (სურ. 1436), როგორცაა საჩხერის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი მოზრდილი იარაღი⁷⁵.

მაშასადამე, ყოველივე ზემოაღნიშნული უკვე თითქოს აშკარად ხდის იმ გარემოებას, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში „მტკვარ-არაქსის“ კულტურა ისეთ დაწინაურებულ ქვეყნებს, როგორც მესოპოტამია იყო, ზოგიერთი წამყვანი იარაღის წარმოებაში ბევრად არ ჩამორჩებოდა.

მესოპოტამიის მელითონების სამთამადნო ბაზაც სარგონის ეპოქამდე დაფუძნებული ყოფილა სპარსეთის ყურის სანაპიროდან ჩამოტანილ სპილენძზე, რომელიც ბუნებრივ შენადნობს წარმოადგენდა. ამ სპილენძში დარიშხანის მაგივრად 5%-მდე ნიკელი შედიოდა⁷⁶. ლ. ვულის ცნობით, ასეთი ლითონი საშუალებას იძლეოდა, რომ მისგან ჩამოსხმულიყო ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებული ყველა ნივთი⁷⁷. ამგვარივე თვისებები აქვს „მტკვარ-არაქსის“ კულტურის დარიშხანიან სპილენძს. მესოპოტამიისა და „მტკვარ-არაქსის“ კულტურის სპილენძი თავისი თვისებებით ბ რ ი ნ ჯ ა ო ს უ ა ნ ლ ო ვ დ ე ბ ა. ამას ადასტურებს ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ნივთების ქიმიური⁷⁸, მეტალოგრაფიული და ტექნოლოგიური⁷⁹ შესწავლა. ამის შედეგად ირკვევა, რომ დარიშხანიანი სპილენძი ჩამოსასხმელად და შემდგომი დამუშავებისათვის საუკეთესო მასალას წარმოადგენდა⁸⁰. ამიტომაც, ვფიქრობთ, აღებულ ხანაში ჩვენში არსებობდა ყველა პირობა ნამდვილი მეტალურგიის განვითარებისათვის. გამოჩენილი მკვლევარი გ. ჩაილდი აღნიშნავს, რომ მეტალურგიის ჩასახვა ერთ-ერთი კულმინაციური ეტაპია კაცობრიობის ისტორიაში⁸¹. მართალია, ადამიანმა ჯერ კიდევ ადრევე შესძლო სხვა ხელოვნური მასალების შექმნა, როგორცაა აგური, ქაშანური და სხვ., მაგრამ მათ აღმოჩენას ისეთი შორს მიმავალი სოციალურ-ეკონომიური თუ ტექნიკური მოვლენები არ მოჰყოლია, როგორც სპილენძის ხელოვნურად მიღებას მოჰყვა⁸².

ნამდვილი შეგნებული მეტალურგია, გ. ჩაილდის აზრით, გვაგულისხმებინებს იმ დროისათვის უკვე ცნობილი რიგი აღმოჩენების წარმოებაში გამოყენებას: 1. სპილენძი შეიძლება გამოიქედოს, 2. ამ ლითონის გახურებით მცირდება ან სრულიად ისპობა მისი ქედვითი უნარიანობა, 3. შესაძლებელია სპილენძის გაღობა და მისი ჩამოსხმა ყალიბებში და 4. ლითონის მიღება შესაძლებელია დაყენებ-

ბულ მადნიდან, მისი ნახშირთან გამოწვის საშუალებათ, ე. ი. მადნის გამოდნობა⁵³.

ჩვენი მასალებიც, როგორც ეს უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, ნათელყოფენ გ. ჩაილდის მტკიცების მართებულობას.

ზოგაერთი მკვლევარის შეხედულებით, შესაძლებელია დავუშვათ, რომ სპილენძ-დარიშხანის ხელოვნური შენადნობის მიღება და მისგან ნივთების ჩამოსხმაც, აგრეთვე ამ პერიოდისა და სავარაუდებელი⁵⁴. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ დარიშხანი სპილენძისა და საერთოდ პოლიმეტალურ მადნებიდან გამოწურულ ლითონში 4%-ზე მეტი მინარევი ელემენტი ვერ მიიღება⁵⁵. ცხადია, რომ ეს მოსაზრებაც ანგარიშგასაწევია, მაგრამ, ვიდრე ჩვენ სათანადო უტყუარი არქეოლოგიური საბუთები არ გვაქვს, ძნელია ამ საკითხზე კატეგორიულად მსჯელობა.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ახალციხის ამირანის გორის მასალები შესაძლებლობას გვაძლევენ დავადგინოთ მეტალურგიის განვითარების მაღალი დონე „მტკვარ-არაქისის“ კულტურის ადრეულ ხანაში.

2. სა მ ა კ ა უ ლ ი

ამირანის გორაზე აღმოჩენილი სამკაულის ერთ ჯგუფს შეადგენს მინისებური პასტის, თეთრი პასტისა და ქვის (სარდიონი, აქატი) მძივები. ამათ გარდა სამკაულის თუ ავეგაროზის დანიშნულებისაა ძაღლის გახვრეტილი კბილეებიც (ტაბ. XI), რომლებიც ბავშვის სამარხში აღმოჩნდა (სამარხი № 38). აღმოჩენილი მასალებიდან გამოვყავით ქვისა და თიხის ნაწარმის ის ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა დამზადების ტექნიკით. უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა მინისებური ნივთიერებისაგან დამზადებული სამი პატარა ბირთვისებური მძივი, ერთი აღმოჩენილია № 16 ნალისებურ სამარხში (ტაბ. Xვ), ხოლო ორი კი № 14 ქვის სამარხში (ტაბ. Xვ).

პირველი მათგანი მოპოვებულია უკვე განხილული სპილენძისა და ვერცხლის სამკაულთან და თეთრი თიხოვანი ნივთიერებისაგან დამზადებულ 21 მძივთან ერთად (ტაბ. Xვ), მძივი კი აღმოჩენილია სპილენძის ხვიებთან (ტაბ. XIა) და თეთრი პასტის ცილინდრული, მრგვალი და ბოჯბლაქებური ფორმის მძივებთან ერთად.

ეს სამივე მძივი (დიამეტრი — 0,51 სმ) გარეგნულად თითქმის ერთნაირია, ოღონდ № 16 სამარხში აღმოჩენილ მძივს უფრო მეტად გადაკრავს ღია მომწვანო ფერი და მიუხედავად ირაზაციისა ზედაპირიც უფრო პრილა აქვს. № 14 სამარხში აღმოჩენილი ერთ-ერთი მძივის (ტაბ. Xვ) პეტროგრაფიული შესწავ-

ლით გაირკვა, რომ იგი დამზადებულია დანაყილი კვარცისაგან, რომელშიც ფერისათვის შერეულია სპილენძის ქანგი (მარილები?). კვარცის შემაცემენტბელი მასა გაურკვეველი დარჩა. საფიქრებელია, რომ ამ მძივის შემადგენლობაში სოდაც არის, მძივის შუშისებურად გამჭირვალე ფოროვანი კრისტალური მასის ზედაპირს გადაკრავს მოვარდისფრო-მოწითალო ფერი, რომელიც მძივის გახურების შედეგადაა მიღებული (იხ. ტაბ. X7, სურათი გადიღებულია რვაჯერ).

მინისებური ნივთიერებისაგან დამზადებული მძივების მთელი ასნმულები აღმოჩნდა აგრეთვე ქვაცხელას სამაროვანზე⁶⁶. ნ. უგრელიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეტალურგია და მინის კეთება მოითხოვს ერთიდაიგივე ცეცხლ-გამძლე ქურქელსა და მაღალ ტემპერატურას. ამდენად, არ უნდა იყოს გამოორიცხული, რომ მეტალურგიის ერთ-ერთ აღრეულ კერაში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა, ჩვენ მინის წარმოების საწყისებიც უნდა ვეძიოთ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფლინდერს პეტრის მიერ გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ მინის უძველესი საწარმოო რაიონები საძიებელია ჩრდილო მესოპოტამიაში ან კიდეც კავკასიაში, სადაც უთუოდ ეგვიპტეზე უფრო აღრე უნდა არსებულიყო ამ წარმოების ცენტრები⁶⁷.

ერთი სიტყვით, ამირანის გორის მინისებური ნივთიერებისაგან გაკეთებული მძივები უთუოდ მრავალმხრივ საყურადღებოა ამ დროის კულტურის განვითარების დონის დადგენისათვის⁶⁸.

ახალციხის ამირანის გორაზე აღმოჩენილი სხვა მასალისაგან ნაკეთები სამკაულიც დამზადების მაღალი ტექნიკით ხასიათდება. ასეთია ქვის (აქატისა და სარდიონის) მძივები.

№ 27 სამარხში რამდენიმე თეთრი პასტის მძივთან და სპილენძის ბრტყელ რგოლთან ერთად მოპოვებულია აქატის მოკლე ცილინდრული 89 მძივი (სურ. 114). ამ მძივების დიამეტრი 0,5 სმ უდრის, ხოლო ზერელის დიამეტრი — 1,5 მმ. აქატი ნახევარდგამჭვირვალე ბოლისფერ ქალცედონის ჩგუფს მიეკუთვნება.

ამათგან ფორმით და სიდიდით განსხვავებულია კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ბრტყელი, დისკოსებური ფორმის იმავე აქატისაგან დამზადებული ერთი მძივი (ტაბ. Xა). მძივის დიამეტრი 1 სანტიმეტრია (სურათი გადიღებულია სამჯერ) ნახვრეტის დიამეტრი — 2 მმ, მძივის სისქე — 2 მმ.

პროფ. გ. ლემუენმა დაადგინა, რომ ეს მძივი გახვრეტილი უნდა იყო მეტად ვეწრო და გრძელი კაეის ბურღის საშუალებით. ასეთივე გზით არის ალბათ გახვრეტილი ზემოხსენებული აქატისა და ამირანის გორაზევე აღმოჩენილი სამკუთხოვანი ფორმის სარდიონის საკიდის წაწვრილებული ბოლოც. აქატის მძივები გახვრეტის შემდეგ გულმოდგინედ გაპრიალებულია. პროფ.

გ. ლემლინის ვარაუდით, ეს მძივები ადგილობრივად დამზადებული უნდა იყოს და თავისი დამზადების ტექნიკით ყველაზე მეტად მაიკოპის ყორღანში აღმოჩენილ სარდიონის მძივებს ემსგავსება⁸⁹. აქვე აღსანიშნავია, რომ გარეგნული ნიშნებით ამირანის გორის აქატი ძლიერ ემსგავსება შურდოს მიდამოებში არსებულ აქატს, რომლის საბადოებს ახლაც დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს.

ამგვარად, როგორც ირკვევა, ამირანის გორიდან 15 კმ. მანძილზე დაცილებული შურდოს საბადოებში მოპოვებული აქატი უკვე იმ დროისათვის სამკაულის დასამზადებლად გამოიყენებოდა. ამ ქვისაგან სამკაულის დამზადების ტრადიცია ძვ. წ. III ათასწლეულში საერთოდ ფართოდ გავრცელებული ჩანს. ამას ადასტურებს ურის სამეფო სამარხებში (შუბათის კომპლექსი) აღმოჩენილი აქატის მძივებიც⁹⁰. სამკაულისათვის ქვის მაგარი ჭიშების გამოყენებაზე აღნიშნულ ხანაში მიგვიითებს აგრეთვე ოზნში ბავშვის სამარხში აღმოჩენილი მთის ბროლის მძივები⁹¹ და ბეშთაშენის ციხის „ენეოლითურ“ ქვედა ფენაში ლურჯი პასტის პატარა მძივთან ერთად მოპოვებული წითელზოლიანი კვარცხის მძივი⁹².

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ცხადია, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მატარებელი ტომების ნივთიერი ძეგლების ეს მცირე ჯგუფიც თითქოს კარგად ადასტურებს მათი შემქმნელი საზოგადოების განვითარების მაღალ კულტურულ დონეს. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას დაახლოებით ამავე დროის ჩრდილო კავკასიური კულტურის ძეგლებთან შედარებისას, რადგან ნალჩიკის პირველ ყორღანში აღმოჩენილი ანალოგიური ნივთები (მინისებური ნივთიერებისაგან დამზადებული წვრილი მძივები და სხვ.), ადგილობრივი არ ჩანს; ისინი უთუოდ სამხრეთ ამიერკავკასიიდან უნდა იყოს შემოტანილი სხვა მასალებთან ერთად, რაც ამ ადრეულ ხანაში უკვე მკიდრო სათემთაშორისო გაცვლა-გამოცვლის არსებობას გვანიშნებს⁹³.

არაა გამორიცხული, რომ ასეთივე კულტურული ურთიერთობის მანიშნებელია ის სამხრეთული ანალოგები, რომელთა დასამზადებლად სათანადო ნედლეული მასალა სამხრეთ ქვეყანაში არ მოიპოვება.

8. კ ე რ ა შ ი კ ა

ამირანის გორაზე აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლებს შორის უმეტესობას თიხის ნაწარმი წარმოადგენს. თიხის სხვადასხვა დანიშნულების და სიდიდის მრავალრიცხოვანი ჭურჭლისაგან ცალკე შეიძლება გამოიყოს სხვა კატეგორიის თიხის ნაკეთობები. აქ პირველ რიგში ვგულისხმობთ თიხისაგან

გამოძრწილ კერას, მასთან დაკავშირებულ ფილებს და ზესადგარებს, მათ მოდლებს, იმიტაციას, აგრეთვე თიხის პატარა ნივთებს (ცხოველთა ქანდაკებები და სხე).

ამირანის გორაზე სამი ტიპის კერაა აღმოჩენილი, პირველი ტიპის კერა თავისი სიღრმით გამოირჩევა. დიამეტრი უდრის 1,24 მ. კედელი დაბალია, მისი სიმაღლე უდრის 26 სმ. კერას შუაში დიდი ნახვრეტი აქვს (სურ. 62a); XIII ნაგებობა, რომლის იატაკის შუა ადგილას ეს კერა მდებარეობდა, ჯერ კიდევ ბოლომდე გათხრილი არაა და, ამიტომ, არც ეს კერაა საბოლოოდ შესწავლილი. ამის გამო, ან ნაკეთობის შუა გულში ამოღებული ნახვრეტის დანიშნულებისა და საერთოდ მისი თავისებურების ასხნა ჯერჯერობით ძნელდება.

აღსანიშნავია, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი დიდი და დაბალკედლიანი კერები ჩვენში აღმოჩენილი არსად არ ყოფილა. მისი მსგავსია მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევრით დათარიღებული კერა, რომელიც მესოპოტამიაში აშნუწყას ერთ-ერთ სახლში იქნა აღმოჩენილი⁸.

მეორე და ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპისაა სწორი, მაღალკედლიანი ცილინდრული ფორმის თიხის კერები (სურ. 25a, სურ. 46), მათი დიამეტრი 26—32 სმ აღწევს. კერების ჰორიზონტალურად გადშლილი ბრტყელი პირი მეტწილად იატაკის დონეზე მდებარეობს. ის კერები, რომლებსაც დამატებით რამდენიმე სექტორისაგან შედგენილი „შუაგულამოღებული“ ფილაც ჰქონდა, მიწაში უფრო ღრმადაა ჩამჯდარი და მაშინ ფილა იატაკის დონეს უსწორდება (სურ. 2).

ამ ტიპის კერა ამირანის გორაზე 6 ცალია ნაპოვნი. ორი კერა აღმოჩნდა IX ნაგებობაში — ერთი ცენტრალურ ადგილას, მეორე კი ჩრდილო-დასავლეთ კედელთან. სხვა ნაგებობებში (I, X და XX ნაგებობა) კერა ყოველთვის იატაკის ცენტრშია. ამათგან ადგილზევე „შუაგულამოღებული“ ფილა კერას თავზე ნაპოვნი მხოლოდ ერთგან (სურ. 2), მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი ფილები სხვა კერებსაც უნდა ჰქონოდათ (სურ. 3).

თიხის ზემოსხენებული ტიპის კერები „მეტყვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლებისათვის საერთოდ ნაკლებად დამახასიათებელი ჩანს. ყველაზე უფრო მეტად ეს ტიპი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე წარმოდგენილი. ასეთია ქიულთეფეს მეორე ფენის სახლებში აღმოჩენილი თიხის კერების დიდი უმეტესობა⁹. ქვემო ქართლშიც, თეთრიწყაროს ნამოსახლარზე აღმოჩენილია ერთი ასეთი კერა¹⁰. თიხის „შუაგულამოღებული“ ფილები ჯერჯერობით მხოლოდ ორგანაა ცნობილი ოზნის ნამოსახლარზე¹¹ და ქარაზის (სურ. 151a) 3,5 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილ ფენიდან¹².

მესამე ტიპის კერა არის ძირევიწრო ბადიის მსგავსი საშუალო ზომის კუბურ-კული (სურ. 73). ამ ტიპის კერა ჩვენი აზრით, უფრო გვიანდელი ხანისა უნდა

იყოს, ვიდრე ორივე ზემოხსენებული ტიპის კერები. „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის ასეთი უჩვეულო სახის კერები აღმოჩენილია XXII და XVI ნაგებობებში; უკანასკნელ შემთხვევაში ამ ტიპის ორი კერა იყო ერთიმეორის თავსე მოქცეული.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ამირანის გორის ნასახლარში, ისე, როგორც მალაქლუსს, ქიულ-თეფესა და გეი-თეფეზე არც ერთი ქიმებიანი კერა არ აღმოჩნდა. ამ თავისებურებით ამირანის გორა მკვეთრად განსხვავდება ქარაზის, ქვაკებლას, შენგავითის, ოზნისა და „მტკვარ-არაქსის“ კულტურის სხვა ტიპური ნამოსახლარებისაგან, სადაც სწორედ თიხის ქიმებიანი კერებია წარმოდგენილი.

ამირანის გორაზე მრავლად არის აღმოჩენილი თიხის ნალისებური ზესადგრები. ასეთი ზესადგრები ცნობილია არაქსის ხეობიდან²⁹. ამირანის გორის ზესადგრებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა X ნაგებობაში აღმოჩენილი თიხის ზესადგრები და მათი მინიატურული მოდელები (სურ. 422) ტაბ. Xფ). X ნაგებობაში ჩამსხვრეულ კერის ძირზე აღმოჩენილი ნალისებური ზესადგრის დიამეტრი (22—25 სმ) შეესაბამება კერის პირის დიამეტრს, ზესადგარი მასზე მოთავსებული ჭურჭლით იდგმებოდა კერაზე.

აღნიშნული ზესადგრების გარდა ამირანის გორაზე თანმხლებ მასალასთან ერთად აღმოჩენილია ამავე ტიპის ორი ზესადგრის ფრაგმენტები; ერთი მათგანი XXI ნაგებობაში (ტაბ. XI4), მეორე კი XIII ნაგებობაში (სურ. 62 და სუპერ-ყდაზე) იქნა მოპოვებული. შემორჩენილია მათი ამაღლებული ცენტრალური ნაწილი, რომელსაც ზესადგრის საერთო ასახულობაში მთავარი ადგილი უჭირავს. მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი, საგანგებოდ დამუშავებული ზედაპირის მქონე ზესადგრების ეს ცენტრალური ნაწილი აღამირანის სახეს გადმოგვცემს. ანტრომორფული ქანდაკების შემკველი ასეთივე ორი ზესადგარი აღმოჩენილია ამირანის გორის კულტურულ ფენაშიც (ტაბ. XI2); მიუხედავად სახის ნაკეთების გამოსახვაში განსხვავებისა, ოთხივე შემთხვევაში (ტაბ. XI2, XI1, 2, 4) მარტივი და პრიმიტიული გულუბრყვილობით გადმოცემულია აღამირანის პირისახის სქემატური გამოსახულება. მათ ანასიათებს ქანდაკების ძერწვის ერთიანი სტილი და ნაკეთების ასახვის ერთი და იგივე მანერა. აღამირანის სახე ყველა შემთხვევაში მოქცეულია ჭურჭლისაგან, ხოლო კეფა ერთ შემთხვევაში მასზე გამოძერწილი მოკლე ნაწნავით ზესადგრის გარეთა მხარესაა. (ტაბ. XI2) იქ, სადაც ზოგჯერ ზესადგრის ყურიც მღებარეობს.

ოთხივე ქანდაკება გამოძერწილია მომრგვალებული ან უკეთ, ელიფსური მოყვანილობის მქონე ლერძზე, რომლის ზედა ნაწილი ფიალისებურად ჩაზნექილი (ტაბ. XI2) უნდა ყოფალიყო.

ყველა ამ ზესადგარს (ტაბ. XI2, XI1, 2, 4) შუა ადგილას რელიეფურად

ამოქყლეტილი არაპროპორციული სიდიდის ცხვირი აქვს. სამ ქანდაკებას თვალები და პირი ჩახვრეტით ნაკეთები ფოსოებით აქვს გამოსახული (ტაბ. XI, 1, 2). ორ ქანდაკებას, რომლებსაც კვეთში უფრო დაწვრილებული ელიფსური მოყვანილობა აქვს, თვალები და პირი არ გააჩნიათ. ჩვენს მიერ ცალკე გამოყოფილ ნაღისებური ზესადგრების იმ ჯგუფს, რომლებიც ანტრომორფულ ქანდაკებას წარმოადგენენ უნდა დაუკავშირდეს აგრეთვე უსახო, უფრო სქემატურად გამოყოფილი ნაწილის მქონე ისეთი ზესადგრებიც, რომელთა ცენტრალურ ადგილზე მკვეთრად გამოყოფილი, ოდნავ ზევით აწეული შვერილი აქვს. ასეთი შვერილებია შემორჩენილი ზემოხსენებულ ორ ზესადგარზეც, რომელთა მიხედვით აშკარად ჩანს, რომ აქ უთუოდ მამაკაცის ასო — ფალოსია გამოძერწილი (ტაბ. XI, 10).

თუ აქ ფალოსიანი მამაკაცის გამოსახულებასთან გვაქვს საქმე, საფიქრებელია, რომ რკალურად გაშლილი ნაწილები ასახიერებენ არა ქალღმერთის მკლავებს, როგორც ამას პროფ. ბ. კუფტინი ვარაუდობდა¹⁰⁰, არამედ ფეხებგაშლილ მჭდომარე მამაკაცის ფიგურას, რომელსაც ტანი არაპროპორციულად აქვს შემცირებული. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა შენგავითის ორი ზესადგარიც, რომლებსაც მეტად მაღლა აქვთ მიძერწილი ერთად ერთი შვერილი — ფალოსი¹⁰¹.


ზემოხსენებულის საფუძველზე ირკვევა, რომ ამ ზესადგრებს არა მარტო პრაქტიკული დანიშნულება, არამედ როგორც ჩანს, კერის კულტთან დაკავშირებული სარიტუალო მნიშვნელობაც ექნებოდათ. მაგრამ არა ქალის, არამედ მამაკაცის ფეტიშად გადაქცევასთან დაკავშირებით.

მამაკაცის და ფალოსის კულტის არსებობაზე აღებულ ხანაში ჩვენ სხვა კატეგორიის ძეგლებიც მიგვითითებენ. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა ქვაცხლებზე C₁ ფენაში აღმოჩენილი რიყის ქვები, რომლებსაც ფალოსის მოყვანილობა აქვთ¹⁰².

პროფ. ბ. კუფტინი რქისებრ შვერილიანი თიხის ზესადგარების განხილვასთან დაკავშირებით იხსენიებს „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე ღრსებულ ზოგიერთ მეგალითურ ძეგლებს ე. წ. ქვის ვეშაპებს, რომელთა მიხედვით, თითქოს ხარი წყლის სტიქიასთან (ირიგაციასთან) უნდა იყოს დაკავშირებული¹⁰³.

ჯავახეთში აღმოჩენილი ქვის ვეშაპები (სურ. 161-2)¹⁰⁴ ისევე, როგორც სხვა მსგავსი ძეგლები—მეგალითად სომხეთში (სურ. 163) აღმოჩენილი „ვეშაპები“ თავისი თავდაპირველი საკულტო მნიშვნელობით ბუნების განაყოფიერების ძალას ასახიერებენ¹⁰⁵. მაგრამ, აქ სრულიადაც არაა გამორიცხული, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურისადმი განკუთვნილი ეს ქვის ძეგლები სწორედ მამაკაცის გამანაყოფიერებელ ორგანოს წარმოგვიდგენენ¹⁰⁶. ეს ძეგლები, როგორც ამას

ქვემოთ დავინახავთ, ნათელყოფენ ამ კულტურის მატარებელი ტომებს რელიგიური თუ მაგიური წარმოდგენების ისეთ ერთიან სურათს, რომლის მიხედვით მამაკაცის კერპად ფეტიშად გადაქცევისათვის რეალური საფუძველი უკვე მომზადებული ჩანს.



სურ. 13

ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე ქვაცხელას Ci ფენაში აღმოჩენილი მამაკაცის თიხის ქანდაკება, რომელსაც არა მარტო წვერი და თმა აქვს დაყენებული სუმერულ ყაიდაზე, არამედ, თითქოს, იგი ჩაცმულობითაც სუმერულ ქანდაკებებს ემსგავსება¹⁰⁷.

მამაკაცის ქანდაკებების ფართო გავრცელებაზე მივივითიებებს არა მარტო ზემოთ განხილული ძეგლები, არამედ ნალისებური მოყვანილობის იტიფალური ზესადგრების მთელი სერიაც, რომელიც ანატოლიის, ჩრდილო სირიისა და პალესტინის ტერიტორიაზე ჩნდება. აქ აღმოჩენილი „მტკვარ-არაქსის“ კულტუ-

რის თანადროული, ან შესაძლოა, უფრო გვიანდელი თიხის ზესადგრების ერთი ჩვეულებრივია, როგორც სიდიდით, ისე გარეგნული ნიშნებით, ყველაზე უფრო მეტად ემსაგავსება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ანალოგიურ თიხის ნაკეთობებს. ამათგან რელიეფურად გამოძერწილი მაღალი ცხვირი მხოლოდ ზოგიერთს ჰქონდა. იტიფალური ქანდაკებებიანი ზესადგრები ჩნდება ალიშარის სპილენძის ხანის ფენაში¹⁰⁸, ჯუდეიდეს „H“ ფაზაზე¹⁰⁹, ელ-ტაბარაში¹¹⁰ და ბეტ-შანის ჰირბეტ-კერაკის კულტურის შემცველ ფენაში¹¹¹. რაც შეეხება დანარჩენ იტიფალური ქანდაკებების შემცველ ზესადგრებს, ცხვირი და სხვა ნაკეთებები იქ ძირითადად ნაკაწრი ხაზებითაა გამოსახული.

ჯუდეიდეს „G“ ფაზაზე წარმოდგენილი ბრინჯაოს ქანდაკებების მიხედვით¹¹² შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ აღებულ ხანაში და უფრო ადრეც, მამაკაცის მესვეურობა მართო კერის კულტთან დაკავშირებით არ ვლინდება. იგი სხვა სათანადო ატრიბუტებით (იარაღით) აღჭურვილ კერპად გვევლინება, რის შედეგად მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც უფრო თვალსაჩინოდ ჩანს.

ცენტრალურ და დასავლეთ ანატოლიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უფრო გვიანდელი ნალისებური მოყვანილობის თიხის საკურთხევლები, რომლებიც საკუთრივ სახლებში კი არა, არამედ უკვე ცალკე გამოყოფილ „სამლოცველობებში“ ჩნდება, აგრეთვე, მიგვიითებენ იმ გარემოებაზე, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელ კერასთან დაკავშირებული ზესადგრები საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ საფეხურებზე (ძვ. წ. II ათასწლეულის მანძილზე) უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ რელიგიური წარმოდგენების სფეროში. მაგრამ თავის თავდაპირველ გარეგნულ სახეს მანც არ კარგავენ¹¹³.

ერთი სიტყვით, აქ შეძლებისამებრ მოკლედ განხილული მასალები ცხადყოფენ, რომ ამირანის გორაზე როგორც თანმხლებ კომპლექსებში, ისე კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ნალისებური მოყვანილობის ზესადგრები და იმიტირებული მოდელები (ტაბ. X9, XI) იტიფალურ მამაკაცის ღვთაებად წარმოდგენასა და ერის კულტთან კავშირს გვიდასტურებენ.

ამირანის გორის მესამე უბანზე სამარხების ქვეშ მოქცეულ ნაგებობის დონეზე აღმოჩენილი თიხის პატარა მრგვალი ნაკეთობა, თუმცა ფრაგმენტულია, მაგრამ მასში ე. წ. ბრტყელი კერპის გამოსახულება მანც ადვილად გამოიკნობა (ტაბ. XI). მის ზედაპირზე ალიშარის სპილენძის ხანისადმი განკუთვნილი ანალოგიური თიხის ამულეტის მსგავსად (ტაბ. XI) ურთიერთ ვადაშეკვეთი ორი ხაზით სქემატურად წარმოდგენილია ქალის ფიგურა, რომლის ზედაპირი მთლიანად დაჩვრტეტილია¹¹⁴.

თუ მომავალში წარმოებულ გათხრებით ამირანის გორის მესამე უბანზე უფრო ადრეული კულტურული ფენა არ აღმოჩნდება, მაშინ უნდა ვიფიქროთ,

ქალის გამოსახულების შემცველი ეს „ბრტყელი კერპიც“, ქიულ-თეფეს ტიპის ქანდაკებების მსგავსად¹⁵, ამ დრომდე გადმონაშთის სახით მიღწეულ ადრეულ საკულტო ნივთთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს.

კერასთან დაკავშირებულ თიხის ნაკეთობებს შორის აღსანიშნავია ამირანის გორის პირველ უბანზე XVI ნაგებობის ზედა კერაში აღმოჩენილი ცხოველის პატარა ქანდაკებაც. ამ ცხოველის განზოგადებული, აბსტრაქციამდე მიყვანილი ფორმა გადმოგვეცემს მისთვის დამახასიათებელ დიდ ენერგიასა და დაძაბვას. თუ აქ აღნიშნული დროის თიხის სხვა პლასტიკურ ნაკეთობებს გავიხსენებთ, რომლებიც „მტკვარ-არაქისი“ კულტურის სხვადასხვა ძეგლებზე (შრეშბლური¹⁶, ოზნი¹⁷ და სხვ.) იქნა აღმოჩენილი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც გამოსახულია მსხვილფეხა რქოსანი ცხოველი, ეგებ ხარი, რომლის თავის სქემატური გამოსახულებაც ხშირად სადგრის დანიშნულებას ასრულებს¹⁸.

ამირანის გორის მწვერვალზე აღმოჩენილი ცხოველის (ხარის?) ქანდაკებაც უთუოდ ზესადგარი უნდა ყოფილიყო. მისი ტანი გვაგონებს ქვატხელების C: ფენის კერებში აღმოჩენილ თიხის პატარა სადგრებს¹⁹, ხოლო აწეული თავი შენგავითის ტიპის კერებზე გამოყვანილ შვერილებს, რომლებიც ზოგჯერ ხარისა თუ ცხვრის რქებდახვეულ თავებს ანსახიერებენ²⁰. როგორც ჩანს, ამირანის გორის მოსახლეობაშიც „მტკვარ-არაქისი“ კულტურის მატარებელ სხვა ტომების მსგავსად, ხარის და კერის კულტი შერწყმული ყოფილა. ერთი სიტყვით, როგორც დავიანახეთ, იმ დროის რელიგიურ წარმოდგენებში ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლოდ მიჩნეული იყო კერასთან დაკავშირებული მამაკაცი, ხარი და ეგებ დაკრძალვის რიტუალშიც წარმოდგენილი წვრილფეხა ცხოველი (ცხვარი, თხა), რომელთა მომრავლებასაც ამ დროის ოსტეოლოგიური მასალებიც ადასტურებს. ამ უკანასკნელი მოსაზრების დამამტკიცებელია აგრეთვე ამირანის გორაზე აღმოჩენილი ცხვრის პატარა ქანდაკებები.

ამირანის გორის მონაპოვრის 80—85% თიხის ჭურჭლის ნატეხები შეადგენს. ამათგან მეტად უმნიშვნელო ნაწილია ჩარხზე დამზადებული თიხის ნაწარმი. ეს კერამიკული მასალა აღმოჩენილია მთის მწვერვალზე და იგი გვიანი ბრინჯაოს — ადრეულ რკინის ხანას ეკუთვნის. დანარჩენი მასალა მათი დამზადების მიხედვით ერთგვაროვანია — ყველა ჭურჭელი უმორგვოდ, ხელით გამოქმნილი ჩანს. ამავე ჯგუფში შედის სელის ქსოვილის საშუალებით დაყალიბებული თიხის ჭურჭელი (ტაბ. VIII₁₋₂). თიხაზე ქსოვილის ანაბეჭდების სპეციალური შესწავლით დადგინდა, რომ ჭურჭლის დასაყალიბებლად გამოიყენებოდა დაზგაზე ნაქსოვი სელის ნაჭერი (ტაბ. VIII₂). ეს ნაქსოვი 1 კვ. სანტიმეტრში შეიცავს ქსელს, რომელიც 9—10 ძაფისაგან შედგება და მისაქსელს, რომელიც 7 ძაფს ატარებს. მიღებული ძაფების ზღარით ტილოსებრ ნაქსოვს იძლევა, რომლის ძაფები სავარცხლის საშუალებითაა მიჯრული.

თიხის ნაგებობათა დასაყალიბებლად გამოყენებული სელის ქსოვილი, ჩვენი ვარაუდით, მასზე თიხის შემოლესვისა და შეშრობის შემდეგ ფრთხილად სცილდებოდა ჭურჭელს, რომლის გამოწვამდე, ნაკეთობის შიდა პირი თიხის თხელი ფენითაც იფარებოდა.

ეს ხერხი — ერთი და იმავე ქსოვილის მრავალგზის გამოყენება, ერთგვაროვან ნაკეთობათა სერიული დაშლადების საშუალებას იძლეოდა. ამირანის გორაზე ჭერჭერობით „ქსოვილიანი“ ჭურჭლის მხოლოდ რამდენიმე ნატეხია აღმოჩენილი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მთელი მასალის დეტალური გადარჩევის შემდეგად, ასეთი კერამიკა აქაც მეტი რაოდენობით გვექნება.

კერამიკული მასალის დიდ უმეტესობას სქელკედლიანი ჭურჭელი შეადგენს. ამათგან 90% შეეზღდაპირიანი კერამიკაა, რომელსაც ან ვარდისფრად შეღებილი (ტაბ. VIII₄), ანდა მონაცრისფრო მუქი შიდაპირი ჰქონდა (სურ. 13₄). ამ ჭურჭლის მონატეხი ორ ან სამფეროვანია.

თხელკედლიანი ჭურჭელი, უმეტეს შემთხვევაში, მონაცრისფრო ზედაპირიანია (ტაბ. V₁₋₃; სურ. 5₂₆₋₃₁; სურ. 6₁₇₋₁₉). ასეთივე თხელი კედელი აქვს ამირანის გორაზე აღმოჩენილ მოწაბლისფრო-მოწითალო ფერის ზედაპირის მქონე თიხის ზოგიერთ ჭურჭელსაც (სურ. 13₁, სურ. 5_{7,10,20}; სურ. 6_{1,4,7}).

ნასახლარის კულტურულ ფენებში და ნაგებობებში აღმოჩენილი კერამიკული მასალა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში იძლევა ჭურჭლის მეტნაკლებად სრული ფორმის აღდგენის (სურ. 5_{6,13} და სხვ.) საშუალებას, ასეთია მთლიანად ან ნაწილობრივ რესტავირებული 80 ჭურჭელი, რაც მთელი მონაპოვრის მეტად მცირე ნაწილს შეადგენს. თუ ნასახლარის მთელ ამ ფორმააღდგენილ ჭურჭლებს დანიშნულების მიხედვით დავაჯგუფებთ, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ნაკეთობები: 1. მარცვლეულის შესანახი პირ ფართო უყურო ჭურჭელი (სურ. 5₁₋₄; 7₇ და 13₄₋₅); 2. პირფართო სასულე ნახერტის შემცველი ძირფიწრო დიდი ჭურჭელი, (სურ. 5₂); 3. პირფართო დაბალყელიანი და მრგვალმუცლიანი უყურო ქილები (სურ. 4₂₃, 6₁₄) და კოჭობები (სურ. 6₁₅); 4. პირფართო ცილინდრული მოყვანილობის ან პირისაკენ გადაშლილი ყელის მქონე მრგვალმუცლიანი ორყურა ქილები. ამათგან ზოგ ჭურჭელს ყურები ყელის ქვემოთ აქვთ მიძერწილი (სურ. 4_{11,9}), ზოგს კი პირის ხაზთან (სურ. 4_{9,24}; 7₄, 13₂ და სხვ.); 5. ხელსატაკი ცალყურა ჭურჭელი (ქოთანი, კახხა, ტოლია), რომელთა უმეტესობას გადაშლილი პირი, თანაბრად მომრგვალებული ან და შუა ადგილას მკვეთრად გამობერილი მუცელი აქვს (სურ. 4_{8,13,14}); ამათგან განსხვავებულია ციცხვისებური, თითქმის სწორტანიანი ფორმის ჭურჭელი (სურ. 4₁₀); 6. გამონაკლისის სახით გვხვდება ცილინდრული ფორმის ფართოძირიანი პატარა სასმისი, რომელსაც პირს ქვემოთ ორივე მხრიდან პატარა შეერილები აქვს (სურ. 6₁₆); 7. ხელსატაკი ვიწრო

და მაღალყელიანი მუცელგამოწეული დოქისებრი ქურქელი, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში პირთან ახლოს ცალი ყური აქვს მიძრწილი (სურ. 527-30, 34; სურ. 619); ზოგჯერ მაღალი ყური აქვს (სურ. 619); 8. დოქისებური ეწროყელიანი სამყურა ჩამოსაკიდი ქურქელი, რომელიც თავისი ფორმით ზემოსწინებულ დოქისებრ ქურქელს ჰგავს (სურ. 531-32); 9. ლანგარი გადაშლილი პირითა და დაქანებული მხრებით (სურ. 47); 10. ღრმა ჯამები, თითქმის სწორი კედლითა და ფართო ძირით; ზოგ მათგანს პირი ოდნავ შიგნით აქვთ შეწეული (სურ. 2233, 2236); 11. სამფეხა ქურქელი, ცალყურა, დაბალყელიანი და პირგადაშლილი (სურ. 8); 12. სარქველები სხვადასხვა სახისა, სრულიად ბრტყელი, თხელი დისკოსებური, უყურო (სურ. 63-69); ბრტყელი, ყურიანი სარქველები; ყურიანი სარქველები სხვადასხვაგვარად პროფილირებული; წითლად შეღებილი ზედაპირით. (სურ. 72, 421); 13. ტაფისებური, ოვალური ან აბაზანისებური მოყვანილობის, სწორკედლიანი. ბრტყელძირიანი ქურქელი, რომელსაც ცალი გვერდი სრულიად გახსნილი აქვს (სურ. 420; სურ. 61, 4, 7); 14. „საკმეველი“ — ოთხკუთხოვანი, დაფანჯრულგვერდებიანი ნაკეთობა. ეს ქურქელი, როგორც შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, ორ განყოფილებისაგან შედგებოდა და ყელისებურ შევიწროვებულ ნაწილში დატანებული ჰქონია წერტილი ნახვრეტიც (სურ. 425); 15. „სარქმელიანი“ ქურქელი; სარქმელი გაკეთებული აქვს ძირზე და იგი, უთუოდ, ობსიდიანის თხელი ფირფიტის ჩასასმელი ბუდე უნდა ყოფილიყო (სურ. 539).

ამრიგად, კომპლექსებში წარმოდგენილი ამირანის გორის ნამოსახლარის კერამიკული მასალა, როგორც ჩანს, საკმაოდ დიფერენცირებულია თავისი დანიშნულებით, ზომით და ფორმით. მაგრამ ერთნაირი დანიშნულების და ფორმის ქურქლების ცალკეული ნაწილი უფრო მეტად არის განსხვავებული ერთმანეთისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქურქლის ყურების მრავალფეროვნება. გვხვდება ნახევარსფეროსებური ფორმის (სურ. 411, 530; 610-12), დაწვრილებული, ვიწროხერელიანი (სურ. 410-13-14) და გრძელი ყურები (სურ. 617-19). ნახევარსფერული ყურების დიდ უმეტესობას ზედა ნაწილი გაბრტყელებული აქვს (სურ. 529-31). განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ყურების მიმართ, რომელთა ზედა ნაწილი უშუალოდ ქურქლის პირის დონეზე მდებარეობს. ამირანის გორის ქურქელთა ყურების ეს თავისებური ძერწვის მანერა უფრო თვალსაჩინოდ გამოიხატება იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი ყურების მქონე ქურქელს გაბრტყელებული და ზოგ შემთხვევაში ოდნავ გადაწეული პირიც აქვს (სურ. 2236; სურ. 410-11, 530-37; 134-5; ტაბ. VIII; და სხვ.).

ნასახლარზე აღმოჩენილი კერამიკის საერთო ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ქურქელი ხასიათდება ტაბობრივად ჩამოყალიბებული, დახვეწილი

მრავალგვაროვანი ფორმებით. უმეტესობას არა აქვს შემკულობა. ზედაპირი კარგად გაპრიალებულია. გამონაკლისს წარმოადგენს მოვარდისფროდ გამომწვარი კურკლის მცირე ჯგუფი, რომელიც გაპრიალებული არ არის, და დიდი ზომის, უყურო დერგები, რომლებსაც რელიეფური ან ჩაღრმავებული ზოლებით გამოყვანილი ორნამენტაცია გააჩნიათ. (სურ. 222ა-221; 535-38-41; 613; 8; 134.5). გარდა ამისა, ზოგიერთ კურკელს ვიწროლარიანი ან ნაკაწრი ორნამენტი აქვს (სურ. 77).

ადრეულ სამარხებში აღმოჩენილი თიხის კურკელი ნასახლარის კომპლექსებში წარმოდგენილ ნაქეთობებისაგან ძირითადად თავისი ფორმების ერთგვაროვნობით გამოირჩევა. ამის მანიშნებელია ის გარემოება, რომ თუმცა 40-ზე მეტი კურკელია აღდგენილი, მათ შორის მხოლოდ 5 ჯგუფის გამოყოფა ხერხდება: 1. ცალყურა თხელკედლიანი კურკელი (ტაბ. V_{1,3,4}); 2. პირფართო მაღალყელიანი ორყურა კურკელი (19 ერთეული) (ტაბ. VII₁; სურ. 116.9); 3. პირფართო, დაბალყელიანი, ცალყურა კურკელი (15 ერთეული) (ტაბ. VII, VIII_{1,3}, სურ. 115.10); 4. დაბალყელიანი, მუცელმრგვალი, უყურო ქილა (1 ცალი) (ტაბ. VII); 5. ოთხი სახის კურკელი -- უყურო ქოთანის, ჯამი და ორი ცალყურა კურკელი (სურ. 17). ეს მოგვიანო ხანის კომპლექსი შეიცავს ერთგვაროვანი ორნამენტით შემკულ ორ ცალყურა კურკელს (სურ. 172.5).

როგორც დავინახეთ, გარდა ამ უკანასკნელი ჯგუფისა, რომელშიც სხვადასხვა ფორმის კურკელი შედის, წინა ოთხი სახის კურკელი თავისი კეცით, შეფერილობითა და ფორმით ძირითადად ორგვაროვანია. აქ გვხვდება თხელკედლიანი კურკელი: მონაცრისფრო (ტაბ. V₁), შავზედაპირიანი (ტაბ. V₃) და მოვარდისფრო (ტაბ. V₄) კურკელი. ამათგან შავზედაპირიანი კურკელი დიდუბის მასალებში აღმოჩენილ ანალოგიის საფუძველზე¹²¹ საკმაოდ არაქულ ნაკეთობად წარმოგვიდგება და, ამდენად, შესაძლოა მასთან ერთად მოპოვებული მოვარდისფრო ცალყურა კურკელიც ადრეულ კერამიკულ ფორმად მივიჩნიოთ. მესამე თხელკედლიანი პირგადაშლილი, ყელვიწრო და მუცელმრგვალი მონაცრისფრო კურკელი, რომელსაც აქვს 10 ნიშნისაგან შედგენილი „შემკულობა“, თავისი ფორმით ემსგავსება X ნაგებობაში აღმოჩენილ კერამიკას. ამასთანავე, იგი არაქსის ხეობაში¹²² და თრიალეთში¹²³ აღმოჩენილი ნაცრისფერი თიხის კურკულების ანალოგიურია. ეს კურკელი ამირანის გორის დანარჩენ სამარხული კერამიკისაგან მკვეთრად განსხვავებულია და ნასახლარზე აღმოჩენილ მსგავს ნაცრისფერ თხელკედლიან კურკელთან ერთ დიდ ჯგუფს შეადგენს.

შავზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა, რომელიც მომდევნო სამი სახის კურკულითაა წარმოდგენილი, ძირითადად სადაა. ამ კურკულზე იშვიათად გამოყვანილია რელიეფური ორნამენტი — ირიბად განლაგებული რე-




Fig. 14

ლიეფური ზოლები, რომლებიც ყელს ქვემოთაა მიძერწილი (ტაბ. VIII₄) ეს ორნამენტი ზოგჯერ კურკლის ყელზე ნაკეთებ პატარა ფოსობთან ერთად გვხვდება²⁴.

აქვე ერთ კურკელზე ზოლისებრ რელიეფურ შემკულობასთან ასევე რელიეფურად გამოყვანილია პირისპირ მდგარი ორი წეროს გამოსახულება (სურ. 11₁). აღსანიშნავია აგრეთვე შვერილებიანი, მაღალყელიანი, ცალყურა კურკელი და ტეხილზოვანი ორნამენტის მქონე მეორე კურკელიც, სადაც შემკულობა წვრილი მკრთალი ღარებით წარმოგვიდგება (ტაბ. VIII₂). შემკულობის შემცველი კურკელი ერთიმეორისაგან განსხვავებულია თავისი ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ მათი პირი, ყელი და ძირი სიდიდით თუ პროფილებით მაინც ერთიმეორის მსგავსია — განსხვავება ძირითადად მუცლის ნაირსახეობით აიხსნება: ზოგი კურკელი მუცლის შუა ნაწილში წიბოს ატარებს (ტაბ. VIII₃), ან მუცელი მაღალი ყელისაგან მკვეთრად გამოყოფილია და შემდეგ შევწროებულია ძირისაკენ (ტაბ. VIII₁); კურკლის უმეტესობას კი მუცელი თანაბრად გამობერილი აქვს (ტაბ. VII₁).

როგორც დავინახეთ, ამირანის გორის კომპლექსში კურკლის დანიშნულებისა და განსაკუთრებით კი ფორმების დიდი ნაირსახეობა ჩანს.

როგორც ირკვევა, ამ კერამიკულ კომპლექსებში შემავალ თიხის კურკელთა დიდი უმეტესობა წარმოდგენილია ტიპობრივად სავსებით ჩამოყალიბებული ფორმებით, რომლებსაც განვითარების ხანგრძლივი გზა უნდა ჰქონდეთ განვლილი. ამას მოწმობს არა მარტო თვით ამ ფორმებისათვის დამახასიათებელი ცალკეული ნაწილების (პირი, ყელი, ყური, მუცელი) თავისებურებანი (მაგალითად, პირის გადაშლილობა, მისი გაბრტყელება, პირის კურკლის შიგ შეწევა და სხვ.), არამედ თხელ და სქელკედლიანი კურკლის თანაარსებობა, რაც გვაგულისხმებინებს ამ სხვადასხვა ნაკეთობათა დამზადების ძველ ტრადიციას.

ამრიგად, ამირანის გორის კერამიკული კომპლექსების შედგენილობა ადასტურებს, რომ ამირანის გორის ფენებში აღმოჩენილი კერამიკა ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის წრეში ექცევა.

საგულისხმოა, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლებში (ქეაცხელე-ბი²⁵, ხიზანანთ გორა, გულდებრტყა²⁶, ქიულ-თეფე²⁷ და სხვ.) მრავალრიცხოვანი კერამიკული კომპლექსების ერთ-ერთ თავისებურებას სწორედ მათში შემავალი კურკლის: ნაირგვაროვანი ფორმების თანაარსებობა წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, სტრატოტიფიცირებული ძეგლების კომპლექსები, სადაც კერამიკული ფორმების ნაირსახეობა ისევე, როგორც ამირანის გორაზე, ყველაზე მეტად ნასახლარისა და სამარხეული მასალების ურთიერთშედარების დროს შეიმჩნევა (მაგალითად, ურბნისის და ქიულ-თეფეს სამოსახ-

ლოებისა და სამარხების მასალები). ამასთანავე ისიც ირკვევა, როგორც ამას თავის დროზე პროფ. ბ. კუფტინი აღნიშნავდა¹²⁵, რომ ეს კერამიკა ძირითადად ერთგვაროვანია და მათი ძირითადი ფორმების თანმიმდევრული განვითარება და მკვეთრი და ტიპობრივი ცვალებადობა დროში თითქოს მაინც არ შეიმჩნევა.

ამრიგად, ამირანის გორის მასალები, მსგავსად „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ცნობილი კერამიკული ფორმებისა, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით მაინც ვერ იძლევა ტიპოლოგიური რიგების შექმნის რეალურ შესაძლებლობას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი სხვადასხვა ძეგლებისათვის დამახასიათებელი კერამიკული კომპლექსების ტიპობრივი შემადგენლობა, რომელშიც ჭურჭლის ფორმების გადმონაშთი და ახალი გაბატონებული ფორმების თანაარსებობაც უნდა ჩანდეს. უთუოდ ამით აიხსნება, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის განხილვისას მკვლევარი ძირითადად მაინც იძულებულია მათ შემკულობას მიაქციოს მთავარი ყურადღება¹²⁹. სხვათა შორის, სწორედ ამ გზით ხშირად ხდება ამ დროის არა მარტო ცალკეულ რაიონისათვის დამახასიათებელი კერამიკის თავისებურებათა შესწავლა, არამედ თვით „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ქრონოლოგიური საზღვრებისა თუ მისი ტერიტორიული გავრცელების საკითხების გაშუქებაც¹³⁰. როგორც დავინახეთ, ამირანის გორის კერამიკული კომპლექსებიც ჯერ კიდევ არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მკვეთრად გამოეყოთ საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი ფორმები. აქ მხოლოდ გაკვრით შეიძლება აღინიშნოს, რომ ამირანის გორის კერამიკული ფორმები ერთი მხრივ აღმოსავლეთ ანატოლიის (ქარაზი, სურ. 15ა-12-15¹³¹), არაქსის ხეობისა¹³² და ვანის ტბის მიდამოებში¹³³, ხოლო მეორეს მხრივ თრიალეთში (ოზნი, ბეშთაშენი)¹³⁴, და შიდაქართლში (ქვაცხელები) აღმოჩენილი კერამიკის ფორმებს ემსგავსება (სურ. 15ი-2-ა-10-16-17)¹³⁵. უკვე ეს გარემოებაც ცხადყოფს, რომ ახალციხის ამირანის გორა წარმოადგენს „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ერთ-ერთ ტიპიურ ძეგლს. ახალციხის ამირანის გორა არა ნაკლებ მსგავსებას იჩენს „მტკვარ-არაქსის“ ძეგლებთან სხვა მასალითაც. ამირანის გორის ზოგიერთ კომპლექსებში სპილენძის იარაღი და სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული სამკაული საკმაო რაოდენობით გვხვდება. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის შემცველი სტრატოფიციკრებული ძეგლების უძველეს ფენებში (ნახჭევნის ქიულ-თეფე¹³⁶, და ქვაცხელები) და ადრეულ სამარხებშიც (ქვაცხელები) ბრინჯაოს ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი ლითონის ნივთები უხვად არის წარმოდგენილი¹³⁷. აღნიშნული გარემოებაც მიგვიბრუნებს, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურა, რომელიც სადღესოდ ჩვენთვის ცნობილი და შედარებით უკეთ შესწავლილი ძეგლებით წარმოგვიდგება, თავისი განვითარების ყველა ეტაპს ვერ ასახავს. ისე კი ჩანს, რომ ამიერკავკასიის თითქოს ყველაზე

არქაული ნიშნების მქონე კერამიკული მასალა, რომელიც ამირანის გორის ზოგირთ ფორმებსაც ემსგავსება, უკვე სრულყოფილობით ხასიათდება. ასე რომ მართლაც საფიქრებელია, მას წინ უნდა უსწრებდეს სხვა ეტაპი, რომლის დროსაც უნდა ჩამოყალიბებულიყო „მტკვარ-არაქსის“ კულტურის თავისებური ხასიათი³⁸. მაგრამ, ამ საკითხის გაშუქება ჩვენთვის ცნობილი ძეგლების შემწობით ჭერჭერობით ვერ ხერხდება. ამრიგად, საკუთრივ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის შესწავლასთან დაკავშირებით უთუოდ საჭიროა ამირანის გორის ძეგლების დათარიღების საკითხს შევეხოთ და ჩვენი მასალების შუქზე ამ დროის კულტურის ზოგიერთი თავისებურებაც წარმოვადგინოთ.

თავი მეოთხე

ახალციხის ამირანის გორის ძეგლების დათარიღება და „მტკვარ-არაქსის“ კულტურის არაქსის“ კულტურის პერიოდიზაციის საკითხი

ამირანის გორის სამაროვანზე და ნასახლარის კომპლექსებში წარმოდგენილი მასალების დათარიღება ძირითადად „მტკვარ-არაქსის“ კულტურის სტრატოგრაფიკულ და შედარებით ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული ძეგლების მიხედვით უნდა მოხდეს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ქიულ-თეფეს, ქეაცხელების, გეი-თეფეს, ქაჩაზის და სხვა ძეგლების მასალებს.

როგორც ვიცით, ამირანის გორის სამარხებისა და უძველესი სამშენებლო პერიოდის ერთი ჯგუფის თიხის ჭურჭელი შემკულია რელიეფურად გამოყვანილი ირიბი ზოლებით (ტაბ. VIII₄; სურ. 4₂). ამგვარივე რელიეფური ორნამენტით შემკული ნაცრისფერი თიხის ჭურჭელი გვხვდება ნახჭევანის ქიულ-თეფეს მეორე ფენაში 12 მეტრის სიღრმეზე (სურ. 15₂₀₋₃₁), ხოლო ზედა ფენებში იგი სრულიად ქრება. რელიეფური ორნამენტი გეი-თეფეს სტრატოგრაფიკულ ფენების მიხედვითაც მხოლოდ უადრესი კერამიკისათვისა დამახასიათებელი!

ქაჩაზის უძველეს ფენაში აღმოჩენილ ორნამენტირებულ კერამიკას აქვს ნაკაწრი, ჩაღრმავებული და რელიეფური ორნამენტი (სურ. 15₁₂₋₁₃₋₁₄). ამათგან რელიეფური ორნამენტი მოგვიანო ხანაში სულ უფრო და უფრო რთულ სახეებს ღებულობს (სურ. 15₄₈)². ამ სტრატოგრაფიკულ ძეგლებას მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში რელიეფური ორნამენტაციის მარტივი სახეები შედარებით ადრეული კერამიკისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი. ამას ადასტურებს აგრეთვე სხვა, არა სტრატოგრაფიკულ ძეგლზე (კიკეთი) აღმოჩენილი ზოგიერთი ადრეული ფორმის კერამიკა, რომელიც ანალოგიურ რელიეფურ ორნამენტაციასთან ერთად შეიცავს ან სათვალისებურ-სპირალურ, ან წეროების რელიეფურ გამოსახულებას (სურ. 15_{6, 7, 11})².

ამირანის გორაზე № 45 სამარხში აღმოჩენილი პირფართო, ორყუთა ჭურ-

წელი, რომელიც თავისი ფორმით თითქოს უფრო გვიანდელი ტიპის კერამიკა-
ემსგავსება⁴, სწორედ კიკეთისა⁵ და სხვა ადრეულ ფორმებზე წარმოდგენილი
ორნამენტაციითაა შემკული და ზოლისებურ და წეროების ყველაზე ადრეული
სახის გამოსახულებებს შეიცავს (სურ. 11). მოტანილი მონაცემები მხოლოდ
ადრეულ კერამიკაზე ამ სახის ორნამენტაციის არსებობის შესახებ, უფლებას
გვაძლევს, რომ ამირანის გორის ქვის სამარხები და ნასახლარის უძველესი სტრა-
ტიფიცირებული ფენა, რომელშიც ასეთივე ორნამენტაცია ჩანს (სურ. 4₂).
ქრონოლოგიურად გავუთანაბროთ ნახჭევნის ქიულ-თეფეს მეორე ფენის უად-
რეს ჰორიზონტს, ქარაზისა და გეი-თეფეს ადრეულ ფენებს.


ნახჭევნის ქიულ-თეფეს ორნამენტირებული კერამიკა, მხოლოდ მეორე
ფენის უადრეს ჰორიზონტზე 12 მეტრის სიღრმეზე ჩნდება. ქიულ-თეფეს
„მტკვარ-არაქსის“ კულტურის შემცველი ერთ-ერთი ფენა, რომელიც 8,5 მ მღე-
ბარეობს C_{11} მეთოდით 4880 ± 90 წ. წ. თარიღდება⁶. ამ ფენაში.
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რელიეფური ორნამენტაიანი ქურტკელი აღარ
გვხვდება. ამის გამო შესაძლებელია ამირანის გორის, გეი-თეფეს და კიკეთის
რელიეფური ორნამენტაიანი კერამიკა ამავე, ან უფრო ადრეულ ქრონოლოგიურ
ჩარჩოში მოვაქციოთ.

ახალციხის ამირანის გორის ნასახლარის გათხრილი ფენების აბსოლუტური
თარიღის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, თიხის ბრტყელი დის-
კოსებური სარქველები (სურ. 6_{3,8,9}) და თავისებური ფორმისა და
სპეციფიური დანიშნულების ტაფისებური მოყვანილობის ცალგვერდ-
გახსნილი ქურტკელი (სურ. 4₂₀ და 6_{1, 4, 7}). ამათგან თიხის დისკოსებური
სარქველები აღმოჩენილია მხოლოდ XIII ნაგებობის კომპლექსში, და როგორც
ჩანს, „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში საერთოდ ნაკლებად გავრცელებულია
ვიდრე მეორე სახის წითლად შეღებილი ყურიანი და პროფილირებული სარქვე-
ლები (სურ. 4₂₁; სურ. 7₂)⁷.

აღნიშნული სარქველები სრულიად სადაა და მხოლოდ ამით განსხვავდე-
ბიან გეი-თეფეს K_1 უძველეს ჰორიზონტზე აღმოჩენილი უყურო სარქველისა-
გან, რომლის ზედაპირზე ამოკაწრულია უჭრედების მთელი ბადე (სურ. 15₃₃)⁸.

ანალოგიური ორნამენტაციის შემცველია აგრეთვე ბრტყელი, მაგრამ უკვე
ყურიანი სარქველებიც, რომლებიც აღმოჩენილია ქარაზის ყველაზე არაქულ
ფენაში (9 მეტრის სიღრმეზე)⁹ და ფორმით ზუსტად ემსგავსება ქულბაქებზე
აღმოჩენილ თიხის სარქველს¹⁰.

თუ რამდენად სწორია გეი-თეფეს გამთხრელის ტ. ბურტონ-ბროუნის მიერ
 K_1 ფენისათვის დადგენილი თარიღი, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულის დასა-
სრულთანაა მიახლოებული¹¹, ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, მაგრამ ცხადია, რომ
გეი-თეფეს K_1 პერიოდის უძველესი მასალები თითქმის სინქრონულია



„მტკვარ-არაქსის“ კულტურის სხვა ზოგიერთი სტრატეგიციკრებული კომპლექსებისა. ასე მაგალითად, ქართლის ტერიტორიაზეა გათხრილი სტრატეგიციკრებული ძეგლი — ქვაცხელები, რომლის გეი-თეფესთან დაკავშირების შესაძლებლობას ახალციხის ამირანის გორის XIII ნაგებობაში აღმოჩენილი კომპლექსიც იძლევა. ამირანის გორაზე აღნიშნული სახის სარქველებთან ერთად აღმოჩენილია ტაფისებური ფორმის კურკელი (სურ. ნა, 8, 9), რომელიც ქვაცხელებზე თითქოს მხოლოდ C₁ ფენაში გვხვდება¹².

ქვაცხელების C₁ ფენის აბსოლუტური თარიღი, როგორც ეს ლ. დლონტსა და ალ. ჭავჭავაძის აქედ დადგენილი, ძვ. წ. 2800—2700 წლებზე მოდის¹³, რაც სავსებით ემთხვევა ამავე ფენისათვის C₁₄ მეთოდით მიღებულ თარიღს (4760±90 წ. წ.)¹⁴.

მოტანილი მონაცემები საშუალებას იძლევა, რომ ამირანის გორის ბრტყელი სარქველებისა და ტაფისებური კურკელის შემცველი კომპლექსები (ნაგებობა X, XIII) დაეუკავშიროთ ქვაცხელას C₁ ფენას, გეი-თეფეს ქვედა ჰორიზონტს (K₁) და ქარაზის არქაულ ფენას.

როგორც გაიკვია, ამირანის გორის სამარხეული კომპლექსები, რომლებშიც წარმოდგენილია რელიეფური ორნამენტით შემკული კერამიკა, სინქრონული უნდა იყოს ქიულ-თეფეს მეორე ფენის რელიეფურად ორნამენტირებული კურკლისა და ქრონოლოგიურად IV—III ათასწლეულების მიჯნაზე უნდა მოდიოდეს. ნასახლარის კომპლექსები, რომლებშიც სარქველები და ტაფისებური კურკელი აღმოჩნდა, უკავშირდება ქვაცხელების C₁ ფენას და ქრონოლოგიურად ძვ. წ. 2800—2700 წლებით თარიღდება.

ამრიგად, ამირანის გორის ზემოხსენებული კომპლექსების შემცველი ფენა ძვ. წ. 3000—2700 წლებით უნდა დათარიღდეს.

ამირანის გორის მასალების ამგვარ დათარიღებას ადასტურებს აგრეთვე წინააღიური და ჩრდილო-კავკასიური მასალებიც. აღმოსავლეთ ანატოლიაში „მტკვარ-არაქსის“ კულტურა ძირითადად ქარაზიდან (არზრუმის მიდამოები) გეი-თეფედზე (ურშიას ტბა) ვრცელდება¹⁵. ამ ტერიტორიაზე იგი ძირითადად თავს იჩენს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე მეოთხედში. „მტკვარ-არაქსის“ კულტურა შემდეგ უკვე ჩრდილო სირიასა და პალესტინაშიც ვრცელდება. ამიერკავკასიის გარეთ ეს კულტურა „პირბეტკერაკის კერამიკის“ სახელწოდებითაა ცნობილი¹⁶. ყველა ამ ტერიტორიაზე იგი ერთბაშად, განვითარების წინა საფეხურების გარეშე ჩნდება და სწვევებს ადგილობრივი ჩარხიანი კურკლის დამზადების ძველ ტრადიციას¹⁷. მკვლევართა დიდი უმეტესობა ამ მოვლენას კავკასიიდან ჯერ ანატოლიისა და შემდეგ ჩრდილო-სირიისა და პალესტინაში უცხო ტომების გადასვლით ხსენს¹⁸.

სხვა ავტორებისაგან განსხვავებით ა. ოლბრაიტი ამ უჩარხოდ დამზადე-

ბულ შავზედაპირიან და ვარდისფერ სარჩულის მქონე კერამიკის გამოჩენას მცირე აზიასა და სირია-პალესტინაში კურკლის დამზადების თავისებური ტექნოლოგიის ფართო გავრცელებაში ხედავს. იგი გამორიცხავს მიგრაციას და ამ კერამიკის გავრცელებას კულტურულ კონტაქტებს უკავშირებს¹⁹.

როგორც არ უნდა აიხსნას ეს ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, ჩვენი თვალსაზრისით, აქ პირველ რიგში საინტერესოა საკუთრივ სამხრეთული ძეგლების სტრატოგრაფიისა და სხვა მონაცემების მიხედვით ამ კულტურის დათარიღება.

ჩრდილო სირიაში, ამუკის ველზე ე. წ. ჯუდეიდეს ბორცვზე „პირბეტ-კერაკის კერამიკის“ შემცველი ფენა გათხრილია 116 კვ. მ. ფართობზე²⁰. აქ გამოვლინდა ე. წ. „H“ ფაზისათვის დამახასიათებელი ოთხკუთხოვანი ნაგებობათა ცალკეული ნაშთები, სამეურნეო ორმოები და წინა „C“ ფაზაში გავრცელებული კერამიკული ფორმებიც. ამასთან ერთად, აქ მთელი კერამიკული ნაწარმის 52—55% შეადგენს „მტკვარ-არაქისი“ კულტურისათვის ტიპური ვარდისფერ-სარჩულიანი, უჩარხოდ ნაძერწი კერამიკა, რომელთანაც ერთად სპილენძის სხვა ნაკეთობათა გარდა აღმოჩნდა გრძელფორიანი და ფთოლისებური პირის მქონე შუბები, ბრტყელი ცულო, თავისუფალი და მარჯუეთიანი საკინძები. ამ ფაზის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია მესობოტამიური ცილინდრული საბეჭდავების აღმოჩენა²¹. მათი ხნოვანობა პ. ფრანკფორტის აზრით შეეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისს, რ. ბრეიდელის და ლ. ბრეიდელის აზრით. ძვ. წ. 2800 — 2500 წწ.²².

ამუკის ველზე გათხრილია აგრეთვე მეორე მნიშვნელოვანი სტრატოგრაფიული ძეგლი — ელ-ტაბარა, სადაც „პირბეტ-კერაკის კერამიკის“ შემცველი ფენა აგრეთვე თავის გარკვეულ ქრონოლოგიურ ადგილს იქერს²³. მას ჯუდეიდეს შესატყვის მასალებთან ტიპოლოგიური მსგავსება აქვს. აქ ჩვენთვის საინტერესო მასალები, მათი გამოხრელების პ. ჰუდისა და ლ. ვულის აზრით, ქრონოლოგიურად შეესატყვისებიან იერუხონის XI ფენის თარიღს, რომელიც ურის ადრედინასტიკური საბეჭდავების მიხედვით თარიღდება²⁴.

პალესტინაში გავრცელებული „პირბეტ-კერაკის კერამიკის“ შემცველი ფენები, ყველა მკვლევართა მტკიცებით, ძირითადად ქრონოლოგიურად ექცევა ადრეული ბრინჯაოს ხანის III საფეხურზე, ე. ი. ძვ. წ. 2400—2200 წწ. შორის²⁵. მ. ჰაუპმანის აზრით ჯუდეიდეს „I“ ფაზა, რომელშიც აგრეთვე აღმოჩენილია ჩვენთვის საინტერესო მასალა და სტრატოგრაფიულად „H“ ფაზის ზემოთ ექცევა, ქრონოლოგიურად შეესატყვისება პალესტინაში (ხაზა X) წარმოდგენილ ანალოგიურ კერამიკას, რომელიც C₁₄ მეთოდით 2300 — 2200 წწ. თარიღდება²⁶.

ამირანის გორის ძეგლების ქრონოლოგიური დაჯგუფების თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ სირია-პალესტინის „პირბეტ-კერაკის კერამიკა“, რომელიც

ჩვენი აზრით, მხოლოდ საერთო ფორმებში და ტექნოლოგიური მონაცემებით ემსგავსება სამხრეთ ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის თიხის ჭურჭელს, სხვა ორნამენტაციასთან ერთად ხასიათდება ამოკაწვრის საშუალებით გაკეთებული ისეთი სახეებით, რაც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის თითქოს მხოლოდ უფრო გვიანდელ მასალებზე გვხვდება²⁷. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ამირანის გორის III უბნის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი მუცელგამოყოფილი და მრგვალმუცლიანი თიხის ორი ჭურჭელი, რომელთა ყელი და მუცლის ზედა ნახევარი მთლიანად დაფარულია მწკრივად განლაგებული სხვადასხვაგვარი სამკუთხედებით და მენადრული გართულებული სახის ორნამენტით (სურ. 17,1,2). ეს ძირევიწრო ჭურჭელი, რომელიც თავისი ფორმით ყველაზე მეტად თრიალეთის უძველეს ყორღანებში მოპოვებულ ზოგიერთ კერამიკა მოგვაგონებს²⁸, შემკულობის სახეებით და მათი განლაგებით ემსგავსება ერთი მხრივ, შენგავითის გვიანდელ ჭურჭელს²⁹ და ქვატხელების ზედა სტრატეფიციურებულ კერამიკას³⁰, ხოლო მეორეს მხრივ, „პირბეტ-კერაკის“ ტიპის სარკველებს და ჭურჭლების ორნამენტაციას³¹.

როგორც დავინახეთ, წინააზიური მასალებიც ადასტურებს, რომ ამირანის გორის ნაგებობათა ზემოთ მოქცეული სამარხიც შესაძლოა მართლაც უფრო გვიანი იყოს და ამავე ტიპის ყველა ძეგლი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს ეკუთვნოდეს, ხოლო ამირანის გორისა და საერთოდ „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის სხვა დანარჩენი ტიპიური მასალები კი — ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს.

ჩრდილო-კავკასიური „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლები არ არის სტრატეფიციურებული. იქ ამ კულტურის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი მაინც კობის კულტურის პირველი გამოჩენით თარიღდება³² და ძვ. წ. 2500—2400 წ. წ. ფარგლებში ექცევა³³.

როგორც დავინახეთ, „მტკვარ-არაქსის“ კულტურის პირველი გამოჩენისა და მისი ჩამოყალიბების დროინდელი ძეგლები, ჰერჯრობით არ არის გამოვლენილი. ამიერკავკასიისა და სხვა ქვეყნებში შესწავლილ სტრატეფიციურებული ფენების მიხედვით ჩანს, რომ ამ კულტურის მასალები მათ ქვეშ მოქცეულ უფრო ადრეულ კომპლექსებისაგან თავისი შედგენილობისა და ფორმების მიხედვით მკვეთრად გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, არაა გამორიცხული, რომ სწორედ ამიერკავკასიაში უნდა ვეძიოთ ამ კულტურის საწყისები³⁴. მაგალითად, საქართველოში უკვე ცნობილია ისეთი ძეგლი (ჭიათურის რაიონში „სამელე“ კლდის ფარდულში), სადაც წარმოდგენილია „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის ტიპურ კერამიკასთან ერთად უფრო ძველი იერის თხელკეციანი ქილისებური მოყვანილობის უყურო და სხვა სახის ჭურჭელიც, რომლის ზოგიერთი ფრაგმენტი ნეოლითური ხანისათვის დამახასიათებელი ორნამენტითაა შემკული³⁵.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ გვი-თეფეზე წარმოებულნი გათხრების შედეგად დადგენილია კულტურული ფენების ისეთი თანამიმდევრობა, სადაც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის შემცველ „K“ ფენის ქვეშ უფრო ძველი მოხატული კერამიკით წარმოდგენილი „M“ ფენა მოქცეული³⁶. სწორედ ეს ქვედა ფენა შეიცავს ისეთ კერამიკას, რომელიც, როგორც სამეღე კლდის ხსენებული კურქელი, თხელკედლიანობითა და საერთოდ ლამაზი ფორმით (ოდნავ ძაბრისებურად შევიწროვებული ყელითა და მრგვალი მუცლით) ხასიათდება³⁷. დ. თუშბარამიშვილის წინასწარი განსაზღვრით, სამეღე კლდის მასალა ენეოლითურ ხანას ან უფრო სწორად მის ადრეულ საფეხურს მიეკუთვნება³⁸. აღსანიშნავია, რომ საერთოდ გამოქვაბულებში წარმოდგენილი ფენები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან სწორედ აქ შესაძლოა დადგინდეს ნეოლითურ-ენეოლითურ და „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ადრეული ფენების თანმიმდევრული განლაგება. საქართველოში უკვე შესწავლილია ერთი ისეთი მრავალფენიანი ძველი (საგვარჯილეს გამოქვაბული), სადაც „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის შემცველი ფენის ქვეშ თითქოს უშუალოდ ნეოლითური ფენაც არის³⁹.

მაგრამ, „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლთა პერიოდაზაციისა და მათი ისტორიული ადგილის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნახჭევნის ქიულ-თეფეს სტრატეგრაფიას⁴⁰. აქ აღმოჩენილია ოთხი კულტურული ფენა, რომელთა საერთო სისქე 21 მეტრს უდრის. ამთგან ორი უძველესი ფენა სტერილური შრით გამოიყოფა და ერთმანეთისაგან განსხვავებულ მასალას შეიცავს⁴¹. უძველესი (პირველი) ფენა თავის მხოვე ორი ჰორიზონტისაგან შედგება, სადაც ზედა ჰორიზონტში მოხატულ კერამიკასთან ერთად სპილენძის პატარა ნივთებიც ჩნდება. ამათგან ერთად აღმოჩენილი ანგობირებული ზედაპირის მქონე კურქელი ბუნარევი თიხისაგანაა დამზადებული და როგორც ჩანს, ზოგიერთი ტიპური წინააზიური კერამიკული ფორმითა და მოხატვით ხასიათდება. ამ ფენის ზემოთ მოქცეულია მეორე ფენა, რომელიც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის შემცველია და სისქით 8 მეტრს აღწევს. აქ ისევე, როგორც სხვა სტრატეგეირებულ ძეგლებზე, მთელი კერამიკა თავიდანვე ტიპურად კარგად ჩამოყალიბებული ფორმებითაა წარმოდგენილი⁴². იგი ძირითადად შემკულობას არ შეიცავს.

ნახჭევნის ქიულ-თეფეს მეორე ფენის უადრესი კომპლექსები, რომლებიც სხვათა შორის მელითონეობის განვითარების დამადასტურებელ მრავალრიცხოვან მასალასაც გვაწვდის, თავისი სტრატეგრაფიული განლაგებით უფრო მეტად ცხადყოფენ იმ მოსაზრების მართებულობას, რომლის მიხედვით „მტკვარ-არაქსის“ კულტურა თითქოს „ენეოლითური“ პერიოდისა კი არა, არამედ ამ პერიოდის შემდგომ კულტურად გვევლინება. გარდა ამისა, ამ აღმოჩენათა შექმნე

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლთა შედარებითი დათარიღების პირველი ცდებისთანავე უკვე გამოიკვეთა ის შესაბამისობა, რომელიც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის განსაზღვრასა და მის ნამდვილ შინაარსს შორის არსებობს⁴³. ამის გამო იყო, რომ აღ. იესენმა 1959 წელს სხვათა შორის აღნიშნა ის ტენდენცია, რომლის შედეგად ერთიმეორისაგან გათიშული პერიოდი ზოგჯერ უკვე არსებული მასალებით უმართებულად შეივსება ხოლმე⁴⁴. ჩრდილო ირანში, აღმოსავლეთ ანატოლიასა და სირიაში ახლად აღმოჩენილი სტრატოგრაფიკული ძეგლების მიხედვით კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის განვითარების წარმოდგენილი ეტაპი თავისი ქრონოლოგიური საზღვრებითა და განვითარების მაღალი დონით „ენეოლითური პერიოდის“ ცნებაში ვეღარ ექცევა⁴⁵.

ამასთან დაკავშირებით, 1956—59 წლებში აღ. იესენმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ ეს პერიოდი „სპილენძ-ბრინჯაოს ხანისა“ უნდა იყოს⁴⁶. ი. სელიმზანოვის მოსაზრებით, ამ ხანას შეიძლება ეწოდოს „სპილენძდარიშხანაიანი ხანა“, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლებით წარმოგვიდგება და ქრონოლოგიურად უშუალოდ ენეოლითურ კულტურას მოსდევს⁴⁷.

ამ თვალსაზრისითვე მნიშვნელოვანია ქვაცხელების ახლად აღმოჩენილ სტრატოგრაფიკულ კომპლექსებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება, რომ ძველი ფენები და მისი შესაბამისი სამარხები, რომელთა კერამიკული და ლითონის ინვენტარი საჩხერულ მასალებს ემსგავსება, ამ დროის მეტალურგიული წარმოების მაღალ დონეზე მიგვიტოვებს⁴⁸.


ახალციხის ამირანის გორის ძეგლები „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ასეთი გაშუქებისათვის აგოეთვე მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა⁴⁹. ამ თვალსაზრისით მათი განხილვა სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავრცობილ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრაშიაც გვეხმარება.

ამ დროისათვის აქ დასტურდება პატრიარქალური საზოგადოების განმტკიცება, რაც საგრძნობლად წინ წევს მთელ კულტურას და მეურნეობისა თუ ხელოსნობის ყველა დარგს.

სამხრეთ ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში უკვე საფუძველი ეყრება ნამდვილ მეტალურგიას, რაც აპირობებს მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და, რაც მთავარია, გაცვლა-გამოცვლის შემდგომ განვითარებას. ამის შედეგად ისახება ქონებრივი უთანასწორობა. რაზეც სხვა საერთო წესებისაგან განსხვავებული მამაკაცთა საგანგებო დაკრძალვა მიგვიტოვებს. ამის საილუსტრაციოდ შესაძლებელია მოვიყვანოთ ტყვიავის ყორღანში⁵⁰ ინსიგენიას მატარებელი ჰემატიტის ლახტის თავის და მა-

მაკაცის სამარხში სპილენძის იარაღთან ერთად ოთხი შეწირული ხარის ჩატანების ფაქტები (ამირანის გორის სამარხი № 24).

ამირანის გორის მასალების მიხედვით ჩანს, რომ მესაქონლეობა ამ დროისათვის დიდ აღმავლობას განიცდის. აქ თითქმის თანაბარი სულადობით არის წარმოდგენილი მსხვილფეხა (ხარი, ძროხა) და წვრილფეხა (ცხვარი, თხა) საქონელი. ძაღლების რაოდენობა განათხარ ფენებში მოპოვებული ძვლების მიხედვით უკვე ერთ ათეულს მიაღწევს. წვრილფეხა საქონლის მომრავლება და ნასახლარზე ძაღლების ძვლების სიმრავლე მწყემსური მესაქონლეობის განვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს.



სურ. 16

ამასთან დაკავშირებით უთუოდ მნიშვნელოვანია, რომ ამირანის გორის ნასახლარზე შინასაქმნიანობასთან და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ნივთიერი კულტურის კომპლექსებში გვხვდება არა მარტო ქვის იარაღები (კაყის ნამგლის ჩასართები, ტუფის ქვის სანაყები, რიყის ქვის აპარესები, ბაზალტის საფხეკები და მრავალრიცხოვანი ხელსაფეკავი), არამედ სპილენძის ნამგალიც (სურ. 14ს.11.23). ეს იარაღი უფრო ქმედითი უნდა ყოფილიყო კაყის ანალოგიურ იარაღთან შედარებით და მისი გამოყენება მიწათმოქმედების მაღალ დონეს გვაგულისხმებინებს. ამიტომაც მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქვრიმის მოშენებასთან ერთად (ამირანის გორა, ქვაცხელები)⁵¹ ავრეთვე დადასტურებულია შერეული თესლის (ზორბალი, ქერი) ერთად თესვა (ქვაცხელები⁵², შენგავთი⁵³), რაც მშინ გვალვის საწინააღმდეგოდ საქმაოდ ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენდა.

ამრიგად, „მტკვარ-არაქისი“ ძეგლების მიხედვით დადგენილი სამიწათ-მოქმედო კულტურის მაღალი დონე აშკარად ზღის იმ ფაქტს, რომ აღებულ ხანაში ამ კულტურის მატარებელ მიწათმოქმედ ტომებს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდათ მიწათმოქმედებაში, რომლის საწყისები უფრო ადრეულ ნეოლითურ-ენეოლითურ კულტურებში უნდა ვეძიოთ⁵⁴.

ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში დადასტურებულია უკვე ისეთი კულტურული კონტაქტები, რომლებიც სამხრეთ ამიერკავკასიის მთელ წინააზიასთან აკავშირებს; ეს უფლებას გვაძლევს დავუშვათ არა მხოლოდ ამ ორ სამყაროს შორის არსებული კულტურების სინქრონიზაცია, არამედ ეს კავშირი სწორედ სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომების მეტალურგიაში დაწინაურებით ავსნათ. ამიერკავკასიის და განსაკუთრებით მისი სამხრეთი რაიონების დაწინაურება მეტალურგიაში, როგორც დავინახეთ, უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში შეინიშნება; ამის თქმა არ შეიძლება ამიერკავკასიის დანარჩენ მეტალურგიულ საწარმოთა კერების შესახებ, რადგან ისინი სამხრეთ-დასავლეთი აზიის დიდი მეტალურგიული ცენტრების საერთო მწკრივში მხოლოდ პერიფერიულ ადგილს იკავებენ.

აღ. იესენის მოსაზრებით სამხრეთული კულტურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პონტოს მხარეში ძვ. წ. II ათასწლეულში არსებულ მეტალურგიულ კერას⁵⁵.

რ. ფორბეს ამითავე შეზღუდება აქვს შემუშავებული უფრო ადრეული ხანის სამხრეთ ამიერკავკასიის მეტალურგიული ცენტრების შესახებ. მისი სქემის თანახმად მახლობელ აღმოსავლეთში მეტალურგიის სხვა ადრეულ ე. წ. მეორად კერებს შორის წარმოდგენილია ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილში არსებული კერაც, ხოლო ე. წ. მესამე ეტაპის მეტალურგიული კერა კი ცენტრალური კავკასიონის კალთებზე მხოლოდ შემდგომ ხანაში ჩნდება⁵⁶.

ამ რაიონებში მელითონეობის დაწინაურებას დიდად უწყობდა ხელს ის სამთამადნო ნედლეული, რომლის ბაზაზე დროთა განმავლობაში იქმნებოდა განსაკუთრებული მეტალურგიული თუ ტექნოლოგიური ჩვევები და ტრადიციები. როგორც ამას ანტიკურ წყაროებიდან ვგებულობთ, ამ ტრადიციებმა მოაღწიეს იმ პერიოდამდე, როდესაც მოსინიკების თავისი წინაპრების მსგავსად მალაზიარისხოვან ბრინჯაოს მისაღებად სპილენძში კალის მაგიერ რალაც თეთრ მიწას ურევენენ⁵⁷.

თუ ამ ცნობას ჩვენი ახალი არქეოლოგიური მონაცემების სინათლეზე განვიხილავთ, მაშინ ადვილად შეიძლება დავუშვათ, რომ აქ საქმე ეხება ისეთ პოლიმეტალურ მადანს, რომლითაც განსაკუთრებით მდიდარი იყო ჩვენთვის საინტერესო მხარე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოსინიკების მიერ გამოყენებული თეთრი მიწა იყო არა ანტიმონი, როგორც ეს პროფ. ბ. ჯუფტინს ეგონა⁵⁸, არამედ

დარიშხანის შემცველი პოლიმეტალური მადანი, რომლის გამოდნობაზე ბევრი არტეოლოგიური მასალა მიკვირთებდა⁵⁹.

ი. სელმახანოვის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე ატარებული ქიმიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ კავკასიაში და კერძოდ ნახჭევანის ქიულოფეს ძვ. წ. III ათასწლეულის ფენებში აღმოჩენილია სპილენძის ისეთი ნივთები, რომლებშიც 4%-ზე მეტი დარიშხანი შედის⁶⁰. ამ ნივთების დასამზადებლად, მისი აზრით, გამოიყენება ხელოვნური შენადნობი, ე. ი. უკვე ნამდვილი ბრინჯაო, სადაც სპილენძში საგანგებოდ სუფთა მინერალი — დარიშხანი ან მისი შემცველი მადანია გამოყენებულია⁶¹. ამ საკითხების კვლევა, ცხადია, დიდად მნიშვნელოვანია ჩვენში შეგნებული მეტალურგიის საწყისების დადგენისათვის, რადგან სხვადასხვა შემადგენლობის მქონე პოლიმეტალურ მადნებზე ემპირიულად წარმოებული დაკვირვებანი ძველად ამ დარგის დაწინაურებასა და განვითარებას უწყობდნენ ხელს. მაგრამ პოლიმეტალური მადნების პირველადი გამოყენების შესწავლა ჩვენში მხოლოდ ახლა დაიწყო, რის გამოც ამ პრობლემის ირგვლივ ადრეული სხვადასხვა საკითხებისადმი ჭერ კიდევ ცოტა ნაშრომია მიძღვნილი⁶².

ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში დარიშხანიანი სპილენძის ნივთები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჭერ მრავლად აღმოჩენილი არ არის. ამიტომ მისი წარმომავლობის საკითხი ჭერჭერობით მკვეთრად არაა დასმული. მიუხედავად ამისა, როგორც ირკვევა, ასეთი ნივთები მაინც აღრიხდელ ხანიდანვე პოულობს გავრცელებას. მესოპოტამიაში დარიშხანიანი სპილენძი ადრეულ ხანაში ჩანს⁶³. უფრო ხშირია დარიშხანიანი სპილენძისაგან დამზადებული ნივთები სირიაში და ჩრდილო მესოპოტამიაში (თეფე-გავრა). ანატოლიის ნივთებში კი მათ შორის ტროას ადრეულ ნაკეთობებში დარიშხანი 8% შეადგენს. ასეთივე სურათია ეგეოსის კულტურაში, თუმცა იქ დარიშხანიანი სპილენძის ნაკეთობებთან უკვე კალიანი ბრინჯაოს ნივთებიც გვხვდება⁶⁴.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ჭერ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ყველგან დარიშხანიანი სპილენძი ამიერკავკასიური წარმოშობისა უნდა იყოს. მაგრამ უთუოდ დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის სამხრეთისაგან გავრცელებისთანავე დარიშხანიანი სპილენძი მთელ რიგ ქვეყნებში თითქოს უფრო მოკარბებულად ჩნდება. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ამ კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალების მიხედვით (ჯუღდიდე)⁶⁵.

ამასთან დაკავშირებით ეგებ ნაადრევი არ იქნება თუ აქვე „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლების გავრცელების ტერიტორიაზე არსებულ უძველეს საეპრო გზებზე გავიხსენებდით. ერთი მათგანი, ერზინჯანი — არზრუმი —

ლენინკანი — თბილისი — დარიალის ხეობაზე გადადიოდა, ხოლო მეორე კალიზმანი — სარიყამიში — ჯულფა — თავრიზი — თერჯანამდე აღწევდა⁶⁶.

ამავე თვალსაზრისით უთუოდ მნიშვნელოვანია მტკვარსა და არაქსის სათავეებიც და ამ შუამდინარეთის ცალკეული შენაკადების ხეობები, რომელთაგან საგანგებოდ გვინდა დავასახელოთ ფოცხოვის ხეობა — უღე — ახალციხე — ბორჯომი — ყვირილას დინების შუა წელი (საჩხერე), რომელიც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების ერთ-ერთი გზა უნდა ყოფილიყო.

ერთი სიტყვით, რამდენადაც ჩანს, ძვ. წ. III ათასწლეულში და, ეგებ უფრო ადრეც, წინა აზიის კულტურას მხოლოდ ცალმხრივი გავლენა არ უნდა ჰქონოდა ამიერკავკასიის კულტურაზე⁶⁷. ამ კულტურულ ურთიერთობაში „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მატარებელ ტომებსაც თავისი ღვაწლი მიუძღვით ლითონის წარმოების განვითარებაში, პირველ რიგში კი დარიზმნიანი სპილენძის გამოდნობასა და მის დამუშავებაში⁶⁸.

ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ლითონის წარმოების ადრეულ ხანაში მესოპოტამიაში (ჯემედეთ-ნასრის პერიოდი), როდესაც იქ ლითონის ნაკლოვანება მაინც იგრძნობა, „ყუადაქანებული“ არქაული ცულების მსგავსი მხოლოდ თიხის მოდელები გვხვდება⁶⁹. ამავე ტიპის ცულის ჩამოსახსნელი ყალიბები კი ამიერკავკასიაში, როგორც ჩანს, ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისშივე ფართოდ გამოიყენება, რის მეშვეობით ადგილობრივ მიღებული პროდუქცია (სურ. 14) ერთმეორისაგან საკმაო მანძილზე დაშორებულ პუნქტებშიაც იჩენს თავს (სომხეთი⁷⁰, ქვემო ქართლი⁷¹, შიდა ქართლი⁷²). თუ მრავალი კვლევა-ძიება უფრო მეტად დაგვიდასტურებს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ადრე დაწინაურებას მელითონეობაში, მაშინ, ცხადია, ზოგიერთი წინააზიური ფორმის მქონე სპილენძის „უფვიანესი“ ნაკეთობანი ადგილობრივი კულტურის დათარიღებისათვის ნაკლებად გამოდგება⁷³. ვინაიდან „მტკვარ-არაქსის“ მთელი კულტურა მახლობელ აღმოსავლეთის კულტურათა წრეში ექცევა, ჩანს, რომ სტრატოგრაფიკულ ფენებში აღმოჩენილი ყერამიკული ფორმები უფრო მტკიცე კრიტერაუმად შეიძლება მივიჩნიოთ.

როგორც დავინახეთ, ამ მიზნით მოტანილი ზოგიერთი პარალელი უკვე იძლევა იმის საფუძველს, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლები და მათ შორის ახალციხის მასალები ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში მოეპყროთ.

ამირანის გორისა და საერთოდ „მტკვარ-არაქსის“ კულტურა ხასიათდება მძირითადი ნიშნებით, რომლებიც პირველად ადრეულ ბრინჯაოს ხანაში იჩენენ თავს⁷⁴.

ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი, მელითონეობის დაწინაურებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორც დავინახეთ, ამ დროს უკვე მალაღონეზე დგას.

როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ქსოვა დაზგაზე წარმოებს⁵, სელის ქსოვილი კი თიხის ჭურჭლის დაყალიბებისათვის იხმარება და, რაც ადვილად დასაშვებია, ამ პროდუქციის სერიული დაშვადების საშუალებას იძლევა. ეს მოვლენა ჭურჭლის უჩარხოდ დამზადების ხანაში მეჭურჭლეთა დიდ დახელოვნებაზე გვანიშნებს.

მიწათმოქმედების მაღალი დონე უკვე ამ დროს შეპირობებულია მსხვილფეხა საქონლის გამოყენებით. პროფ. ბ. კუფტინმა პირველმა დაუშვა ამ ხანაშივე „გუთნური მიწათმოქმედების“ არსებობა, რადგან მან ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ძეგლებს შორის უღელმებმული ხარის თავის გამოსახულებიანი სპილენძის საკინძი იპოვა⁶. სელოსნობის, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარების ასეთი მაღალი დონე გვაგვულისხმებინებს მამაკაცის საზოგადოებრივი როლის ზრდას და საერთოდ პატრიარქალური წყობის გამტკიცებას. ამის მანიშნებელია ერთის მხრივ ოჯახისა და წინაპართა კულტში მამაკაცის დამკვიდრების ფაქტი (ყერასთან დაკავშირებული ზესადგრები)⁷, ხოლო მეორეს მხრივ კი ოჯახის ან გვარის ცალკეულ წევრთა შორის დაწინაურებული მამაკაცის საგანგებოდ დაკრძალვის შემთხვევა აკლდამაში და ამასთან დაკავშირებით დიდი რაოდენობის ცხოველების შეწირვა და ლითონის იარაღის სამარხში ჩატანებაც. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ფართო გავრცელება ჩრდილოეთით და სამხრეთით ეგებ იმ კულტურული ერთეულობის გამტკიცებით უნდა აიხსნას, რომელიც ძირითადად მაინც გაიცვალა-გამოცვლის გაფართოებას მოჰყვა. თუ აქ გამოვირიცხავთ ტომთა დიდ გადასახლებას, მაშინ ეს მოვლენაც აგრეთვე ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება დაეასახელოთ. დაბოლოს; „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მატარებელი ტომების რელიგიურ-სარწმუნოებრივი წარმოდგენებიც ამ მხრივაც საყურადღებო ჩანს.

ახალციხის ამირანის გორის № 36 სამარხის თიხის ჭურჭელი (ტაბ. V₁) შეიცავს უჩვეულო მოყვანილობის ნიშნებს (ტაბ. V₂). ამ ჭურჭელზე წარმოდგენილი „შემკულობა“ მკვეთრად განსხვავებულია „მტკვარ-არაქსის“ კულტური სათვის დამახასიათებელი ორნამენტაციისაგან და, ჩვენი აზრით, ხატოვანი დამწერლობის ნიშნების ერთგვარ მიზიდვას უნდა წარმოადგენდეს⁸. ამის დამადასტურებელია თუნდაც ერთი ნიშანი-ფრინველის (წეროს) გამოახელება, რომელსაც გრძელი კისერი გადაკვეთილი აქვს და, როგორც ჩანს, ამ ფრინველის შეწირვის იდეას გამოხატავს (ტაბ. V₂ ნიშანი 8).

საყურადღებოა, რომ ამირანის გორის თიხის ნაკეთობებზე (სურ. 3, სურ. 11₁) და „მტკვარ-არაქსის“ კულტურის „არქაული“ იერის მქონე თიხის ჭურჭლებზე ხშირად რელიეფურად გამოყვანილია წეროების გამოსახულება-

ნი⁹. წეროები გამოსახულია ზოგ შემთხვევაში პირისპირ (სურ. 11), სპირალურ ორნამენტთან ერთად (სურ. 13) ან მისგან განცალკევებით (სურ. 3, სურ. 5ა, სურ. 12) პროფ. ბ. კუფტინის აზრით პირისპირ მოქცეულ წეროების გამოსახულებები მზისა და გაზაფხულის აღორძინებული ბუნების — მიწათმოქმედების სიმბოლოებია⁸⁰. აქვე უნდა გავისვენოთ ქვის „ვეშაპებზე“ პირისპირ გამოყვანილი წეროებიც. ერთ-ერთ „ვეშაპზე“ წეროები ბოძონზე სხედან (სურ. 16-ა)⁸¹. ამ ვეშაპებზე გამოსახული ხარის ე. წ. შოლტიც აღნიშნულ მეგალითურ ძეგლებს აიღვე უფრო მეტად აახლოვებს „მტკვარ-არაქსის“ კულტურასთან, სადაც ხარის კულტი განსაკუთრებით განვითარებულია და უთუოდ მის მიწათმოქმედებასთან კავშირსაც ასახავს. უნდა აღინიშნოს, რომ ამირანის გორაზე წეროს გამოსახულება მოცემულია კერის ფილაზე. აქ იგი უთუოდ წარმოდგენილია, როგორც ოქახისათვის სიკეთის მომტანი ფრინველი (სურ. 3).


„მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლებზე გამოხატული წეროების სიუჟეტური კომპოზიცია გარკვეულ ცნებებს თუ იდეებს უკავშირდება.

პროფ. შ. ამირანაშვილი ამირანის გორის თიხის ჭურჭლის „პიკტოგრამული“ ნიშნების განხილვისას აღნიშნავს, რომ ჩვენ აქ აღრეული ხანის ნამდვილი დამწერლობის ნიმუშთან გვაქვს საქმე⁸², ფრინველის გამოსახულების შესახებ იგი აღნიშნავს, რომ იგი თავისებური სტილით უახლოვდება ურუქის, ჭემედეთ-ნასრის და ურის არქაულ დამწერლობაში მოცემულ ფრინველთა გამოსახულებებს, რომლებიც უძველეს სუმერულ თქმულებებში ღვთაებას ასახეობენ. მისივე აზრით ამირანის გორაზე ნაპოვნ თიხის ჭურჭელზე სიმბოლური ნიშნებით (მეტწილად დიაგონალური ხაზებით გადაკვეთილი სწორკუთხედებით და „გველის“ გამოსახულებით (ტაბ.: V2) წარმოსახულია იმდროინდელი მოსახლეობის წარმოდგენები მთავარი ღვთაებისა და სიციოცხლის წარმოშობის შესახებ⁸³.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ბ. კუფტინი ოზნში აღმოჩენილ ამავე დროის ერთ-ერთ თასზე გამოსახულ ხუთ ნიშანს (სურ. 15) აგრეთვე პიკტოგრამულ დამწერლობას უკავშირებს და მათ პროტო-ელამურ ნიშნებს ამსგავსებს⁸⁴. გ. გობეჯიშვილის აზრით ამ თასზე მოცემული ნიშნები შესაძლოა ეკუთვნოდეს ერთ-ერთი უძველესი ქართველთა ტომის — ტაბალების მიერ შექმნილ ხატოვან დამწერლობას⁸⁵.

ამირანის გორის ჭურჭლის მეხუთე განსხვავებული ნიშანი (ტაბ. V2) პროფ. შ. ამირანაშვილის აზრით დამწერლობის ნიშანს არ წარმოადგენს, რადგან მას პარალელი შუამდინარეთის არქაულ დამწერლობაში არ მოეპოვება. უფრო გვიანდელი ანალოგების მქონე ეს თავისებური ნიშანი, თუმცა შესაძლოა მართლაც არ იყოს დამწერლობის ნიმუში, მაგრამ იგი მაინც გვხვდება ჭემედეთ-ნასრის გვიანდელი დროის ორ ცილინდრულ საბეჭდავზე (სურ. 1622, 76)⁸⁶. სამივე

შემთხვევაში ნაკაწრით გამოყვანილი ორი ურთოერთგადაწყვეთი დიაგნოზური სახი, რომლებიც თავსა და ზოლიში ჰორიზონტალური სახეებითა შეეროებულნი იძლევა საკურობების -- ბორონი გამოსახულებას: მათი საერთო მოყვანილობა ქვის ვეშაბებზე განოყვანილ აეთთავე ნიშნებსაც ემსგავსება⁸⁷ (სურ. 16ა). მაგრამ ჩვენთვის უფრო არსებითია ასეთივე გამოსახულებანი ამირანის გორის მწვერვალზე აღმოჩენილ თიხის დიდ ღერგზე, რომელსაც ისინი ტეხილსაზოვანი ორნამენტის (ცეცსლი?) შემოთ არიან მოქცეული (სურ. 7) რამდენადაც ირკვევა, ამ ნიშნის კურტლის ერთ მხარეს გამოყვანის აქაც გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა ექნებოდა.



სურ. 17

როგორც დავინახეთ, ამირანის გორაზე აღმოჩენილ ორ სხვადასხვა კურტელზე დატანილი ნიშნები (ტაბ. V1), თითქოს ქრონოლოგიურადაც ჭეშმედონასრის გვიანი დროის ცილინდრულ საბეჭდავებზე გამოყვანილ ნიშნებს უახლოვდება⁸⁸.

მაგრამ, როგორც ჩანს, ურის უძველეს საბეჭდავებზე და ამირანის გორისა

თუ საერთოდ „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკაზე გამოყვანილი ნიშნების მსგავსება მხოლოდ ამ პარალელებით არ ამოიწურება. ამირანის გორის მწვერვალზე XVIIa ნაგებობაში (სამსხვერპლოზე?) აღმოჩენილია მეორე დიდი ჭურჭელი, სადაც რელიეფურად წარმოდგენილია ნახევარ-მთვარისებური ნიშნით შეერთებული სპირალურ-მეანდრული სახეები და ფრინველები; ამ შემკულობის ცენტრალურ ადგილას ჭურჭლის გამოწვის შემდეგ ნაკაწრით გამოყვანილია უწყისრიგოდ განლაგებულ ხაზებისაგან შემდგარი ბადე (სურ. 13ვ). სწორედ ასეთივე გაურკვეველი ნიშნებია მოცემული ურის სამეფო სანარჩების დროის ერთ-ერთ ცილინდრულ საბეჭდავზე, სადაც ამ ნაკაწრში. ლ. ლეგრენან აზრით, თევზის გამოსახულება უნდა გამოვიცნოთ (სურ. 16ა)⁸⁹.

ამავე თვალსაზრისით არა ნაკლებ მნიშვნელოვანია „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელ უძველეს კერამიკაზე მოცემული სპირალი და სხვა სახის ნიშნები, რომლებიც, საფიქრებელია, ცილინდრულ საბეჭდავებზე ამოკვეთილ სახეებს და მათ თიხის ანაბეჭდებს რელიეფურად გადმოგვცემენ. ურის გათხრებისას აღმოჩენილი რამდენიმე უძველესი ცილინდრული საბეჭდავი, რომლებიც ჭემედეთ-ნასრის გვიანდელ ხანას და ურის სამეფოს სამარხთა ხანას მიეკუთვნებიან, „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ნაყოფობებზე მოცემულ მეანდრულ-სპირალურ თუ სხვა სახის ნიშნებსაც შეიცავენ (სურ. 16ი, 17, 17ა)⁹⁰. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ზოგიერთ სტრატოფიციურებულ ძეგლებზე — ნაპევენის ქიულ-თეფე (სურ. 15ა) და გეი-თეფე (სურ. 15ა) ჭურჭლის ყურის ქვემოთ გამოყვანილი სპირალური ორნამენტები, როგორც ჩანს, ამ კულტურის უძველესი კერამიკისათვის არის დამახასიათებელი⁹¹. ასეთივე სპირალური რელიეფური შემკულობა გვხვდება ოზნის ერთ-ერთი ჭურჭლის ყურის ქვეშ (ტაბ. XI) და ქარაზის ქვედა კულტურულ ფენაში აღმოჩენილ თიხის ჭურჭლის ნატეხებზე (სურ. 16ა)⁹².

ამირანის გორის ნასანლარისა და ამ მთის მწვერვალზე აღმოჩენილ თიხის ჭურჭელს ანალოგიურ სპირალურ სახეებთან ერთად აქვს აგრეთვე ნახევარ-მთვარის ნიშანიც, რომელიც სამხრეთულ განედში წარმოდგენილი ახალი მთვარის მსგავსია (სურ. 415; 15ა-ბ, 37-41; 133-5)⁹³. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში შერწყმულია ღვთაებათა ორი ატრიბუტი — მზისა — სპირალი ან მეანდრი და მთვარისა — რქისებრ ამვერილი წვერებით დაბოლოვებული რკალი. ამ ორი სიმბოლოს ერთიანად წარმოდგენა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელი ეს რელიეფური ორნამენტიც თავისი პირველადი მნიშვნელობით უძველეს სარწმუნოებრივ თქმულებებს უკავშირდება.

ცნობილია, რომ სუმერულ საბეჭდავებზე ხშირად ასახულია „გილგამეშის“ თქმულებაში მოცემული ეპიზოდები. ჩვენი აზრით გამორიცხული არ უნდა

იყოს, რომ „მტკვარ-არაქსის“ კერამიკაზე მოცემული ნიშნები, განსაკუთრებით კი სპირალი — „მზე“ და რკალური ნიშანი — „მთვარე“, „ამირანის“ თქმულების ერთ-ერთ უძველეს რელიგიურ-სიმბოლურ მნიშვნელობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. პროფ. ნ. მარის მიერ მოცემული ამირანის სახელის ეტიმოლოგია გვიდასტურებს, რომ „ამირანი“ მზეს⁹⁴, ხოლო ქართული თქმულების მიხედვით მისი ძმობილი ბადრი — მთვარეს განასახიერებს⁹⁵.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ეგებ უფრო მეტი შესაძლებლობა გვეძლევა გამოვთქვათ ვარაუდი იმის შესახებ, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მატარებელი ტომები „ამირანის“ თქმულების შემქმნელები იყვნენ⁹⁶, ხოლო ამ თქმულების უძველესი ფრაგმენტები წარმოქმნის დროით მართლაც „გილგამეშის“ ეპოსს უნდა ეტოლებოდეს⁹⁷. თუ ეს ვარაუდი მართებულია, მაშინ უფრო ცხადად ჩანს, რომ აქ ჩვენ ლითონის მწარმოებელი ძველი ტომების მძლავრ კულტურასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, ამირანის გორის ძეგლების შესწავლასთან დაკავშირებით წამოჭრილი ზოგიერთი საკითხის გაშუქება, თითქოს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ აქ კიდევ ერთხელ დავსვათ საკითხი „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლთა პერიოდიზაციის გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ. ჩვენი აზრით, მართებული იქნება, თუ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლებს მივაკუთვნებთ არა „ენეოლითურ“ ხანას, არამედ ადრეული ბრინჯაოს ხანის დასაწყისს, რომლის თარიღი, ძირითადად, ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარზე უნდა მოდიოდეს⁹⁸.

АМИРАНИС ГОРА

(Материалы к древнейшей истории Месхети-Джавахети)

КРАТКОЕ РЕЗЮМЕ

В 1955-61 г.г. Археологическая экспедиция Института истории имени Ив. Джавахишвили, совместно с Управлением по охране и реставрации памятников Грузии и Государственным Педагогическим институтом им. Пушкина, широко развернула полевые работы в Месхети-Джавахети.

Одной из задач этой экспедиции — было выявление в Месхети-Джавахети, и в частности в отдельных микрорайонах, памятников, важных для изучения различных ступеней развития культуры. Проведенные с этой целью разведочные работы в окрестностях ахалцихского (табл. 1₁) и ахалкалакского (табл. 1₂) Амиранис Гóра завершились открытием памятников эпохи палеолита и III — I тысячелетий до н. э.

Раскопки в основном велись на поселении Амиранис Гóра, которое находится в Ахалцихском р-не Грузинской ССР в 2,5 км. к Северо-Востоку от г. Ахалцихе, на левом берегу р. Поцхови, на высоте 976 м над уровнем моря (рис. 1, табл. XII).

Поселение. (Табл. II, XII, XIII, XIV). Основная часть поселения (его площадь равна 10.000 кв. м.) находилась на Южном склоне Амиранис Гóра (табл. II) и спускалась террасами к ее подножью. Планировка Амиранис Гóра характерна для горных поселений. Здесь террасообразно расположены возведенные на глиняном растворе каменные четырехугольные сооружения, обращенные фасадом к юго-востоку (всего 22 сооружения). Они представлены однокомнатными помещениями. Их площадь колеблется от 9 до 54 кв. м, каменные сте-

ны (сохранившаяся высота которых в отдельных частях достигает 1,35 м), составлены из кладки в один или два ряда. Однако, всего этого недостаточно для суждения о конструктивной стороне сооружений. По некоторым окончательно расчищенным помещениям установлено, что часть домов на поселении была уничтожена во время пожара (табл. III).

Обнаруженные под помещениями погребения (рис. 9 и 10) указывают, что поселение на территории II участка, по всей вероятности, должно было появиться вследствие увеличения первоначального населения, и этот участок, по сравнению с верхним, где погребения не встречаются, является более поздним.

Среди многочисленных материалов Амиралис Гора следует отметить предметы (рис. 2, 4, 5, 6), найденные в жилых помещениях на уровне пола (помещения I, X и XIII). Помещение XIII — большой однокомнатный жилой дом (его площадь равна 48 кв. м.), в котором под потрескивавшимися от воздействия огня камнями и зольным слоем, обнаружен вставленный в пол большой глиняный очаг (диаметр 1,24 м, рис. 6₂₀). В углу комнаты раскопана глиняная печь, имеющая форму «ванны». Ей аналогичны овальные глиняные печи из первого, древнейшего слоя Нахичеванского Кюль-Тепе.

Найденная у основания стены комнаты часть маленькой подковообразной глиняной подставки, представляет собой небольшую скульптуру, изображающую лицо мужчины. На ней вылеплен большой нос, а отверстиями показаны глаза и рот. Скульптура книзу постепенно расширяется. Голова ее, наподобие обнаруженной в слое С₁ поселения «Квацхелеби» глиняной скульптуры мужчины, чашеобразно вогнута. Возможно, что эти мужские скульптуры олицетворяют идолов с чашами возлияний на головах (см. на обложке и рис. 6₂).

В помещении XIII представлена характерная керамика, но фрагментарно (рис. 6). В этом отношении выделяется X помещение, где обнаружено около 50 разнообразных сосудов, часть которых, как и в помещении XIII представляет собой орнаментированную посуду, а другая часть является тонкостенной, узкогорлой, сероглиняной посудой. (рис. 4, 5).

Эти два комплекса синхронизируются наличием сковородообразной посуды и антропоморфными подставками (рис. 417-22; б₁, 2, 4, 7).

В траншее II участка (здесь раскопано 260 кв. м.) обнаружен культурный слой, мощность которого колеблется от 0,3 до 0,8 м (табл. II, XIII).

Стратиграфические наблюдения на поселении (следы перестроек и пр.) позволяют говорить только о различных периодах отдельных комплексов поселения, т. к. являясь одним из крупнейших среди известных поселений «Куро-Араксской» культуры, возникших в III тыс. л. до н. э., поселение Амиралис Гёра отличается от остальных тем, что здесь, как это видно на сегодняшний день, не всюду происходило наслоение разновременных памятников. Однако, как правило, около первоначально возникшего поселения, появлялись новые участки, что должно было явиться следствием постепенного роста и увеличения оседлого земледельческо-скотоводческого племени.

Могильник (табл. II₃, IV, рис. 9, 10) обнаруженный на II и III участках Амиралис Гёра расположен в южной части поселения. На II участке раскопано 43 погребения, из которых некоторые обнаружены в помещениях под полом и предназначены для младенцев (рис. 9, 10). С точки зрения взаимоотношения могильника и поселения, следует отметить, что находящиеся около обрыва каменные ящики встречались под стелами сооружений, а на другом участке только в одном случае, под ненарушенным слоем помещения XXII обнаружено похожее на склеп погребение (№ 36), которое предшествовало указанному выше культурному слою (табл. IV₁). Это погребение, как и погребение № 16, имеет подковообразную форму, а одна его стена сложена из больших плоских камней. За этой стеной обнаружены остатки припесенного в жертву быка. В самом же погребении найдено медное лезвие ножа, а рядом с лежащим на правом боку покойником — костяное пряслице и глиняный тонкостенный сосуд с развернутым венчиком, цилиндрическим горлышком и сферическим корпусом (табл. VI, рис. 14₂₇). Этот сосуд сходен с керамикой, обнаруженной на Амиралис Гёра (в X и XIII помещениях, а также в культурном слое), и триалетских комплексах указанного периода. На поверхности сосуда после обжига вышарпано 10 разнообразных необычных для орнаментировки знаков (табл. V₂).

На первый взгляд одно из этих изображений (№ 8) имеет сходство с данным в шумерской письменности знаком, обозначающим птицу. В то же время другие знаки менее близки к знакам архаического пиктографического письма, подражанием которому они возможно и являются.

Каменные ящики (рис. 9, 10) содержали по одному скелету, обращенному головой на юго-восток. Во всех погребениях установлено захоронение на правом или левом боку, независимо от пола покойника. Краниологическое изучение черепов (Э. Джавахишвили) некоторых погребенных, позволило установить пол покойников. Выяснилось, что два скелета мужчин лежало на левом боку, а скелеты третьего мужчины и женщины лежали на правом (табл. VI — VII).

Установлены также факты принесения в жертву более одного животного в погребениях № 24 и 34. В первом, наряду с медным лезвием, кинжала и глиняным сосудом, среди множества костей животных, обнаружены кости конечностей и черепов четырех быков; во втором — вместе с глиняной посудой один череп быка и два — мелкого рогатого скота (табл. VII₃).

Только в одном случае — в погребении молодого мужчины, помимо глиняной посуды обнаружены маленький медный завиток и многочисленные агатовые и пастовые бусы (погр. № 27). Эти обстоятельства указывают на то, что здесь, как и в раскопанных под помещениями аналогичных погребениях, уже замечается выполнение различных погребальных обрядов, свидетельствующих, в частности, о зарождении имущественного неравенства.

Инвентарь погребений (медное оружие и украшения, бусы, некоторые глиняные сосуды, рис. 11, 14₂₈₋₃₁) обнаруживает сходство с многочисленными предметами того же типа из слоя С₁, поселения Квацхелеби, погребений в Сачхере и Дзагина, а также культурных слоев Озни и др. закавказских поселений; большинство же сосудов своей формой и орнаментацией находит близкую параллель с раскопанными в Иране и Анатолии памятниками, стратиграфия которых указывает на их относительную древность и может быть датирована первой половиной III тысячелетия до н. э. (табл. VII, VIII, рис. 15).

На III участке раскопано 5 погребений, стены которых сложены в яме из речных булыжников; предметы найдены только в двух могилах.

Из них следует отметить одну могилу, где покойник лежал на спине и коллективное погребение № 19 (рис. 17).

Памятники, обнаруженные на вершине горы (табл. 1з). В западной части вершины Амиранис Гора, на высоте 1060 м от уровня моря, выделяется возвышение, площадь которого превышает 60 кв. м. Здесь почти полностью смыт слой эпохи поздней бронзы и раннего железа, последние остатки которого (в основном керамика) встречаются в более древних, возведенных на скальном массиве, каменных четырехугольных помещениях (табл. IX).

В древнем слое содержатся остатки сооружений — каменные фундаменты. Из них особо отметим остатки двух сооружений, площадь которых, надо полагать, не превышала 9—12 кв. м. Помещение XVII содержит золыстый слой, перемешанный с обожженными костями животных, а сооружение XVI имеет глинобитный пол (табл. IX).

Первый из них, вместе с обгорелыми костями животного и золой, содержал пять глиняных сосудов, самый большой из которых высотой в 75—80 см. Два из них с рельефным орнаментом сюжетного характера весьма характерных для нижнего слоя Караза, относящегося к III тыс. до н. э. (рис. 13).

Среди керамических изделий из другого помещения следует отметить найденную в очаге глиняную статуэтку животного, которая представляет собой маленькую подставку (табл. XIз). Статуэтка эта олицетворяет животное (быка) с задраннойверху головой, — которая напоминает выступы очагов шенгавитского типа, а туловище — маленькие подставки, обнаруженные в очагах Квацхелеби.

Если до последнего времени типологическому изучению подвергались, в основном, только керамические изделия «Куро-Араксской» культуры, то сейчас, в связи с обнаружением на поселении синхронных погребений, стало возможным изучение всего комплекса памятников, позволяющих по новому поставить ряд вопросов. Естественно, что особый интерес для исследователей Кавказа представляет древнейшая эпоха металлопроизводства, которая, вместе с тем, еще недостаточно изучена по сравнению с другими этапами. От этого периода мы имеем, к сожалению, не все виды археологических источников (например, остатки производств и клады здесь не зафиксированы). Представление об этом периоде базируется, в основном, на материалах с поселений и, в редких случаях, из могильников.

Систематические широкие раскопки последних лет на ряде узловых памятников этого периода (Кюль-Тепе, Квацхела, Амирапис Гора и др. поселения и могильники) позволяют датовать некоторые могильники с металлическими предметами, относимых до настоящего времени к второй половине III тысячелетия, отнести к первой половине III тысячелетия.

На поселении и могильнике Амирапис Гора обнаружено 23 металлических предмета (рис. 11, 14₁₋₃). Из них 19 медных, 3 серебряных и 1 свинцовый. Особого внимания заслуживают две бочковидные бусины белесоватого цвета из подковообразного погребения № 16 (табл. X₄). В них установлено наличие мышьяка до 10%; сурьмы соответственно — 0,1% и 0,5%, свинца — 0,5 и 0,9%; следы железа 0,5%, никеля — 0,01% и очень мало цинка. По утверждению специалистов, металл, полученный из полиметаллической руды, содержит в себе от 2 до 5% мышьяка и поддается ковке, при увеличении примеси мышьяка ковкость снижается, большое наличие мышьяка позволяет предполагать, что данные бусы изготовлены из рудного металла.

О знакомстве человека данной эпохи с техникой литья ясно указывают три литейные формы для топоров, найденные в нижнем горизонте второго слоя Кюль-Тепе, Квацхелеби — слой С₁ (обе глиняные) и Шенгавите (каменная). (рис. 14, 15₂₂).

Большинство металлических предметов, обнаруженных в комплексах Амирапис гора, типологически связываются с характерными предметами Передней Азии и «Куро-Араксской» культуры (рис. 14).

В известных «энеолитических» памятниках первой половины III тысячелетия уже встречаются медные кинжальные клинки, являющиеся также одним из основных видов оружия этого времени (Амирапис гора, Квацхелеби, Тквиави, Степанакертские курганы и др.). Находки таких клинков вместе с типичной «энеолитической» посудой с Амирапис гора (погребения №№ 7, 24, 36), а также имеющиеся их изображения на «энеолитической» посуде из слоя С₁ Квацхелеби, указывают на возможность отнесения их к первой половине III тысячелетия (рис. 14₂₀). В этом отношении существенное значение имеет тот факт, что, как устанавливается, в первой половине III тысячелетия до н. э. из руды уже умели получать серебро, свинец и медь с примесью мышьяка,

из которых последняя, своей низкой точкой плавления и литейными свойствами, приближается к бронзе — сплаву олова с медью.

Из рудной меди отливалась целая серия металлических изделий (главным образом, оружие и мелкие украшения).

Среди многочисленных украшений, обнаруженных в комплексах Амранис Гора (бусы, завитки и пр.) изготовленных из металла и камня, обращают на себя внимание три бусины из стекловидной пасты зеленоватого цвета (погреб. № 16 и № 14, табл. X₃, 7). Установлено, что они изготовлены из толченого кварца с примесью медной окиси для окраски в зеленый цвет. Цементирующая масса не выяснена. По утверждению А. Лукаса и др. выясняется, что окраска бус в синий или зеленый цвет должна предшествовать опыту подогрева при высокой температуре медной и железной окиси, а также кварца и соды.

Обнаруженные 89 агатовых бусинок (погр. № 27, рис. 11₄, табл. X₈) свидетельствуют не только о высокой технике производства, но и об использовании месторождений агата у с. Шурдо, расположенного в 15 км от Амранис Гора.

Керамический материал Амранис Гора характеризуется дифференцированностью своих форм, а также разнообразием своего назначения (табл. V, VIII, рис. 2, 4, 5, 6). Общими признаками для одной части керамики можно считать полированную до блеска чернолощенную поверхность (в основном толстостенную посуду) с розово-красной или серовато-черной подкладкой (табл. VIII, рис. 13₄, 5), а для второй части (тонкостенной) — сероватую поверхность (табл. V, рис. 4₂₀₋₂₄, 5₁₇₋₁₉). Керамика эта ручной выделки (в том числе и т. н. тканевая — таб. VIII₁₋₂). При всем изобилии керамики на Амранис Гора не представляется возможным составление типологических рядов; однако, можно сказать, что она сходна, с одной стороны, с материалами Восточной Анатолии (Караз), долины р. Аракса, окрестностей озера Ван, а с другой — с материалами Триалети (Озни, Бешташени) и Шида — Картли (Квацхе-леби) (рис. 15).

Из обнаруженных глиняных изделий для датировки комплексов Амранис Гора заслуживают внимания крышки различных типов: очень тонкие, плоские, дисковидные, без ушка (рис. 4₂₁, б) и аналогичные с ушком и профилированные, крашенные в красный цвет (рис. 7₂). Кроме того, аналогичное значение для датировки имеет сосуд, очевид-

по культового назначения, овальный, сковородообразный, прямоугольный, с плоскими краями, одна сторона которого полностью открыта (рис. 4₂₀, б, 4, 7). Упомянутые крышки и сосуд помогают установить довольно узкие хронологические границы памятников Амиранис Гóра, ибо такой сосуд встречается в датированном слое С₁ Квацхелеби, а плоские крышки схожи с крышками древнейшего горизонта периода «К» Гей-Тепе. В этом же отношении примечательно, что обнаруженные на могильнике Амиранис Гóра сосуды с двумя рельефными полосками (табл. VIII₄, рис. 4₂) также находят аналогию в материалах 2-го слоя Кюль-Тепе на глубине 12 м. (рис. 14_{30,34}) и являются древнее датированного по С₁₄ (4880 ± 90 г.г.) слоя, расположенного на глубине 8,3 м. Поэтому, на основании аналогий, приведенных для датировки материалов с Амиранис Гóра, большое значение приобретает датировка поселения Квацхелеби (4760 ± 90 г.г.) и Нахичеванской Кюль-Тепе 4880 ± 90 г.г., полученная посредством метода С₁₄.

Соответствие материалов из культурных слоев Караза, Квацхелеби, Гей-Тепе и Нахичеванского Кюль-Тепе с комплексами Амиранис-Гóра помогает правильно определить характерные черты одновременных памятников «Куро-Араксской» культуры. Однако, для установления постепенного развития культуры в течение первой половины III тыс. до н. э. большое значение имело бы выделение на поселении и могильнике Амиранис Гóра, а также на других узловых памятниках, различных по времени комплексом с характерными для них признаками. Ахалцихская Амиранис Гóра принадлежит к числу тех памятников III тыс. до н. э., по которым отмечается распространение культуры, представленной в некоторой степени одними общими характерными признаками на территории Закавказья, Северного Ирана и Восточной Анатолии. Такое широкое распространение этой культуры во времени и пространстве одни исследователи объясняют популяризацией одних и тех же технологических навыков, другие ищут первоначальную родину этой культуры или в Закавказье, в бассейне рек Куры и Аракса или к юго-востоку от него, в восточной Анатолии. Так или иначе, теперь уже выясняется, что «Куро-Араксская» культура своей значимостью выходит за пределы археологии Закавказья, она попадает в круг древней культуры Ближнего Востока, где в некоторых памятниках и обретает свое стратиграфическое место (Гей-Тепе, «К», Амур «Н» фаза).

Выявленный Б. А. Куфтиным древнейший культурный пласт, относящийся к III тысячелетию до н. э., подразделялся им на два периода, первый из которых — «эпоха энеолита» — датируется временем до середины III тысячелетия до н. э., а второй — эпоха ранней бронзы — второй половиной III тысячелетия до н. э. Характерным признаком «Куро-Аракского энеолита», по Куфтину, является наличие своеобразной керамики при поразительно бедном сопровождении инвентаря, в том числе и изделий из металла, резкое увеличение которого отмечается в памятниках эпохи ранней бронзы. Однако, по вновь раскопанным многослойным памятникам Азербайджана (Нахичеванский Кюль-Тепе) и Грузии (Квацхелеби и Амиранис Гора), видно, что эти культурные слои уже содержат значительное количество металла. В некоторых случаях под этими слоями следуют более ранние слои. По ним становится возможным установление таких признаков (изделия из глины с примесью соломы, мощная традиция каменной индустрии, расписная керамика халколитического типа и малое количество медных предметов), которые характерны именно для энеолитической культуры (древнейший слой Кюль-Тепе).

Таким образом, все упомянутые данные позволяют определить хронологические границы основных комплексов Амиранис Гора первой половиной III тысячелетия до н. э.

На больших сосудах (табл. VIII, рис. 2, 3, 4, 6, 11, 13) Амиранис-Гора и отдельных черепках встречаются характерные для «Куро-Аракской» культуры и рельефные орнаменты: меандры, спирали, журавли и др. Указанный орнамент находит себе аналогию в древнейших цилиндрических печатях Месопотамии (поздний период Джемед-Насра и эпоха ранне-династического Ура), что позволяет говорить об общности религиозных верований, определивших сюжетный характер, как печатей, так и орнаментов на керамике «Куро-Аракской» культуры (рис. 16).

Приведенные выше мотивы орнамента, вероятно, отражают религиозные и магические воззрения человека того периода (спираль — солнце; журавль — весна; полумесяц рогами вверх; объединяющий двойную спираль — бык, культа которого мы касались выше). В связи с этим необходимо коснуться и подковообразных очажных подставок с изображением мужского лица (табл. X₁₀, XI, 2, 4), и подобных им, имеющих внизу, в центре, как шенгавитские подставки, чуть вздерну-

тый выступ, олицетворяющий фаллос (табл. Хю, XI). Тут, очевидно, наличие слияния культа очага и мужчины-фаллоса, т. е. характерного мировоззрения оседлого земледельца-скотовода.

Для полной характеристики эпохи возникновения «Куро-Аракской» культуры нам кажется, что может оказаться значительным и изучение всех знаков (спираль, меандр, полумесяц, журавль и др.), представленных на некоторых глиняных сосудах и каменных вышапах, обнаруженных на территории распространения этой культуры. Их сюжетный смысл, видимо, увязывается с атрибутами обожествленных персонажей и грузинского эпоса «Амирани», который должен был зародиться в эпоху, когда здесь начало развиваться производство меди—металлургия.

